United Nations Global Compact 20 years

In partnership with: accenture SAP 3M

ნიშნული (BENCHMARK)

გენდერული ბალანსი მართვის ყველა დონეზე

5 გენდერული თანასწორობა

SDG გავლენა 1, 4, 8, 10, 16

ვადა 2030

სფერო ☒ ოპერაციები ☐ პროდუქტი და მომსახურება ☐ ღირებულებათა ჯაჭვი

ინფორმაცია ნიშნულზე (BENCHMARK)

გენდერული ბალანსის ნიშნული მენეჯმენტის ყველა საფეხურზე ორგანიზაციებს ეხმარება შეაფასონ და მიაღწიონ გენდერულ თანასწორობას ლიდერობის ყველა დონეზე. ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს მთელ რიგ ქმედებებს ინკლუზიური სამუშაო ადგილების შესაქმნელად. იგი ბიზნესს ავალდებულებს იმოქმედოს ქალთა სამუშაო ძალაში მონაწილეობის ძირითად ბარიერებთან დაკავშირებით და შექმნას ინკლუზიური სამუშაო გარემო, სადაც ყველა თანამშრომელს პატივს სცემენ და აღჭურვავენ შესაბამისი უფლებამოსილებით. დასაქმების ამოცანების გარდა, მენეჯერული თანამდებობებისთვის გენდერული ბალანსის მიღწევის მიზნების დასახვა მნიშვნელოვნად აძლიერებს გენდერული ბალანსის ზოგად მაჩვენებლებს. მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი 2030 წლისთვის მოგვიწოდებს ქალთა სრული და ეფექტური ჩართულობისკენ და ლიდერობის თანაბარი შესაძლებლობებისკენ, მათ შორის, ეკონომიკურ ცხოვრებაში, კომპანიებისთვის რეკომენდირებულია დაადგინონ უფრო ამბიციური ვადები მენეჯმენტში გენდერული ბალანსის მისაღწევად.

ბიზნესის ლიდერები სულ უფრო ხშირად აცხადებენ, რომ გენდერული თანასწორობა პრიორიტეტულია, თუმცა კომპანიების 30%-ზე ნაკლებმა დაადგინა დროში განსაზღვრული, გაზომვადი ამოცანები და მიზნები.[1] ამბიციური მიზნების დასახვით და ბიზნესის ხელმძღვანელობაში გენდერული ბალანსის მისაღწევად ზომების მიღებით, კომპანიები წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის გენდერული თანასწორობის მიღწევაში.

გარდა ამისა, მტკიცებულებების სულ უფრო მზარდი რაოდენობა მიუთითებს კავშირზე მეტ გენდერულ მრავალფეროვნებასა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების გაუმჯობესებას შორის. მაგალითად, ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესის ხელმძღვანელობაში მეტი ქალი ასოცირდება სათბურის გაზების ემისიის შემცირებასთან, დასაქმებულთა მყარ ურთიერთობებთან და თაღლითობის შემცირებულ შემთხვევებთან.[2]

სხვა საკითხებთან ერთად, კვალიფიციური ქალების მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით, ბიზნესი უნდა კონცენტრირდეს სისტემატიზირებულ განვითარებაზე, შერჩევასა და დაწინაურებაზე, სამუშაო ადგილზე ინკლუზიური პოლიტიკის დანერგვასა და სამუშაოს კარგი შესრულების წახალისებაზე, სექსუალური შევიწროების ფაქტების აღმოფხვრასა და თანაბარი სამუშაოს თანაბრად ანაზღაურების უზრუნველყოფაზე.

ბიზნეს გავლენა ლიდერობაში გენდერულ ბალანსზე

პროგრესის მიუხედავად, ქალები კრიტიკულად ნაკლებად არიან წარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივა „Target Gender Equality“, მოუწოდებს და მხარს უჭერს კომპანიებს დასახონ და განახორციელონ ამბიციური მიზნები ბიზნესში ქალთა წარმომადგენლობისა და ლიდერობისთვის. გარდა ამისა, ქალთა გაძლიერების პრინციპები (WEPs) განსაზღვრავს ბიზნესის პოლიტიკასა და პრაქტიკას გენდერულად მგრძნობიარე შერჩევასა და შენარჩუნების გზით თამაშის წესების გათანაბრების, თანაბარი ანაზღაურების, ტრენინგის, კომუნიკაციისა და სწავლების თანაბარი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის, დასაქმებულ მშობელთა და აღმზრდელთა მხარდაჭერისა და ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ სამუშაო ადგილზე. ათასობით კომპანიამ უმაღლესი აღმასრულებელი პირების (CEO) მხარდაჭერის შესახებ დოკუმენტზე ხელმოწერით განაცხადა, რომ მხარს უჭერს ქალთა გაძლიერების პრინციპებს.

Fortune 500 კომპანიების 7%-ს ხელმძღვანელობენ ქალები[3]

გლობალურად კომპანიების მმართველ საბჭოებში 17%-ი ქალებს აქვთ დაკავებული[4] (2020 წლის მონაცემები)

ქალები 22%-ით ნაკლებად აღწევენ მენეჯერის ან უფრო მაღალ დონეს, ვიდრე მამაკაცები[5]

ინდუსტრიის საილუსტრაციო ზეგავლენა

სამრეწველო საქონელი და მომსახურება: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) თანახმად, ქალთა წარმომადგენლობა ამ სექტორში მხოლოდ 16%-ია.[6] თუმცა, სტაბილურად მზარდია მდედრობითი ტალანტის წილი - ქალები ახლა უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის უმრავლესობას წარმოადგენენ. ინდუსტრიის ლიდერებმა უნდა განაგრძონ მუშაობა, რათა STEM კარიერა უფრო მიმზიდველი გახდეს ქალთათვის და უნდა დანერგონ უფრო მეტად ინკლუზიური სამუშაო კულტურა.

ტექნოლოგია: დღეისათვის გამოთვლით ტექნოლოგიებში დასაქმებულთა 26%-ია ქალი, ხოლო გლობალური ტექნიკური ინდუსტრიის ხელმძღვანელობის მხოლოდ 11%-ია ქალი.[7] ტექნოლოგიური სექტორის გენდერული ბალანსის მისაღწევად ინკლუზიური გზების შექმნა შეუძლია მოქნილი სამუშაო დროის დანერგვას, თანამშრომელთა ძლიერი ქსელების შენარჩუნებას და პიროვნული განვითარების პროგრამებში ინვესტირებას.[8]

კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ

UNILEVER

Unilever-მა მიაღწია მიზანს, რომ მენეჯმენტისა და ხელმძღვანელობის დონეზე გლობალურად 50%-ი ყოფილიყო ქალი. მრავალფეროვნებისა და ჩართულობის სპეციალური ჯგუფის მიერ ჩამოყალიბდა გლობალური მრავალფეროვნების საბჭო და მრავალფეროვნებისა და ჩართულობის 100-მდე ჩემპიონისგან შემდგარი ქსელი, რომლებმაც შექმნეს ეტალონი იმისთვის, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას ინკლუზიური კულტურის განვითარება ბაზრებზე.[9]

ACCENTURE

გენდერული თანასწორობის დასაჩქარებლად Accenture-მა თამამი მიზნები დაისახა. დაგეგმილია, რომ 2025 წლისთვის გენდერულად დაბალანსებულ სამუშაო პირობებს მიაღწიოს - თანაბრად 50% ქალი და 50% კაცი მათთვის, ვისი სქესი ბინარულია, - ხოლო 2020 წლისთვის 25%-მდე უნდა გაიზარდოს ქალი მმართველი დირექტორების პროცენტული წილი.[10]

PVH

PVH-მა 2030 წლისთვის დაისახა ქალთა გაძლიერების, ჩართულობისა და მრავალფეროვნების მიზნები, რომლებიც მოიცავენ გენდერულ პარიტეტს ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მათ ქსელში ჩართული 500,000 ქალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს და უნივერსალური გაუცნობიერებელი მიკერძოებულობის შესახებ ტრენინგებს.[11]

შეფასება ნიშნულთან მიმართებით

2030 წლისთვის გენდერული ბალანსის ნიშნულის მენეჯმენტის ყველა დონეზე მიღწევის შესრულება შეიძლება შეფასდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიზნების, ქალთა გაძლიერების პრინციპებისა და გენდერული თანასწორობის ამოცანის ინიციატივასთან ერთად. WEF-ის მიერ ჩატარებული კვლევა მიუთითებს, რომ მიმდინარე ტემპით ეკონომიკაში გენდერული სხვაობის აღმოფხვრას დასჭირდება 257 წელი.[12] თუმცა, ხელმძღვანელ თანამდებობებზე გენდერული ბალანსის მისაღწევად მკაფიო მიზნების განსაზღვრამ შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს: მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ ერთი ქალის ყოლა 23%-ით ზრდის[13] ორგანიზაციებში ქალთა დაწინაურების სისწრაფეს.[14] ბიზნესი, რომელსაც არ დაუწესებია ვადები, გაზომვადი მიზნები და ამოცანები გენდერული ბალანსის დასაცავად მმართველობის ყველა დონეზე, მოექცევა SDG Ambition-ის ნიშნულის ქვემოთ.

ღირებულება ბიზნესისთვის

კომპანიები, რომლებიც გენდერული ბალანსისკენ ისწრაფვიან უფრო მომგებიანები არიან. მაგალითად, ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა 30%-იანი წარმომადგენლობის მიღწევამ აჩვენა, რომ მომგებიანობა 15%-ით იზრდება.[15] თუმცა ამ ამოცანის დასახვისთვის დამაჯერებლად მეტყველებს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის ღირებულებაზე. თანამშრომელთა შესამჩნევი მრავალფეროვნება მეტყველებს მიმზიდველ სამუშაო გარემოზე, რაც თავის მხრივ შეიძლება გახდეს თანამშრომელთა შენარჩუნებისა და ლიდერობისაკენ სწრაფვის მიზეზი. Accenture-ის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თანასწორობის კულტურის შექმნა დაეხმარება ქალებს იგრძნონ, რომ ისინი მათი გუნდის მნიშვნელოვანი წევრები არიან, გაზრდის მათი შენარჩუნების შესაძლებლობას და ამბიციას აღძრავს ქალებში, რომ მიაღწიონ ხელმძღვანელ პოზიციას.[16] იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებლები მოითხოვენ ქალთა წარმომადგენლობის გაუმჯობესებას მენეჯერულ პოზიციებზე, ბრენდები, თუკი არ გაითვალისწინებენ და პრიორიტეტს არ მიანიჭებენ გენდერულ ბალანსს ან ვერ უზრუნველყოფენ დისკრიმინაციის აღმოფხვრას, შეიძლება მაღალი რეპუტაციული და შესაძლო სამართლებრივი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. მხოლოდ 2019 წელს შეერთებულ შტატებში 25,000-ზე მეტი საჩივარი იყო შეტანილი გენდერული დისკრიმინაციის თაობაზე.[17]

წინასწარი მოქმედებები

უზრუნველყავით გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა უმაღლეს დონეზე: მაგალითად, აღმასრულებელი დირექტორის მიერ ქალთა გაძლიერების პრინციპების მხარდაჭერის თაობაზე განცხადების ხელმოწერა მნიშვნელოვან სიგნალს უგზავნის თქვენს თანამშრომლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომ გენდერული თანასწორობა პრიორიტეტულია და ამას შეუძლია უზრუნველყოს ორგანიზაციის ფარგლებში ლიდერების ჩართულობა შესაბამისი ზომების გატარებაში.

შედეგიანობის ანალიზი: რეგულარულად შეაფასეთ თქვენი კომპანიის გენდერული თანასწორობის მაჩვენებლები, რათა გაზომოთ პროგრესი ქალთა თანაბარი წარმომადგენლობისა და გაზომოთ ხელმძღვანელობის მიმართულებით და გამოავლინოთ პოტენციური ბარიერები და შესაძლებლობები ცვლილებების ტემპის დასაჩქარებლად. WEPs Gender Gap Analysis Tool არის უფასო, კონფიდენციალური, ელექტრონული და მოსახერხებელი დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია აქ: https://weps-gapanalysis.org/

ძირითადი რესურსები

- » **UNGC: Target Gender Equality**
- » **WEP Gender Gap Analysis Tool**
- » **World Economic Forum Gender Parity**

ინტეგრირების სირთულე*

ინტეგრაციის გაგება

ამ ნიშნულის ბიზნესში ინტეგრაცია გულისხმობს ორგანიზაციის მენეჯმენტში გენდერული ბალანსის ბარიერების და გამოწვევების აღმოფხვრას. კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ სრული გამჭვირვალობა გენდერული დისბალანსის ისეთი პირდაპირი ინდიკატორების მიმართ, როგორიცაა დასაქმებულთა რიცხოვნობა, ანაზღაურება და შერჩევის მექანიზმები. მნიშვნელოვანი ქმედებების განსახორციელებლად, კომპანიებმა უნდა შექმნან სისტემები, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გაკონტროლდეს რთულად გაზომვადი ბარიერებიც, როგორიცაა გაუცნობიერებელი მიკერძოებულობა და სტრუქტურული უთანასწორობა. მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, რომ ხელოვნურ ინტელექტს (AI) და სხვა ტექნოლოგიებს შეუძლიათ არამიზანმიმართულად გააძლიერონ მიკერძოებულობა, რაც სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესს ინტეგრაციასთან მიმართებით არსებითს გახდის.

ინტეგრირების მაგალითები

მოქნილი სამუშაო პირობები

პოლიტიკის შემუშავების და ბენეფიტების შეთავაზების მიღმა, კომპანიებისთვის აუცილებელია მოქნილი სამუშაო გეგმების გამოყენების და მათ ირგვლივ კულტურის ცვლილების შეფასება, როგორიცაა, მაგალითად, არსებული სტიგმები კაცის მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღებისას. კვლევის თანახმად, ორგანიზაციების მხოლოდ 34% ატრენინგებს მენეჯერებს, რათა ისინი დაეხმარონ თანამშრომლებს მოქნილი სამუშაო გრაფიკით სარგებლობაში, რაც, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ბევრს ჯერ კიდევ აკლია თავდაჯერება ამ მექანიზმებით სარგებლობისთვის.[18] კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ სისტემები პოლიტიკის მიღებასა და აღქმაზე თვალყურის დევნებისთვის, რათა უფრო ფართოდ მოხდეს ამ შეთავაზებების დანერგვა და გამოყენება, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ბიზნესში გენდერულ ბალანსზე.

გასაუბრების პანელები

უფრო მეტი ქალის დასაქმების მცდელობა შეიძლება შეფერხდეს მიკერძოების არსებული სტრუქტურებით, მაგალითად, როგორიცაა უმეტესად კაცებით დაკომპლექტებული გასაუბრების პანელები. სისტემებს აქვთ შესაძლებლობა ინტერვიუერების დივერსიფიცირება ავტომატიზებული შერჩევისა და შერჩეული თანამშრომლების ანალიზის საშუალებით გააკეთონ, რამაც შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს დასაქმების ბალანსზე. მაგალითად, Cisco-ში, მრავალფეროვანმა გასაუბრების პანელებმა 50%-ით გაზარდა გასაუბრების გავლის შანსი ლათინოამერიკელი ქალებისათვის, ხოლო აფროამერიკელი ქალებისთვის - 70%-ით.[19]

აღმასრულებელი რგოლის (C-SUITE) კუთვნილება

ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი პირი

გზა ინტეგრაციისკენ

დღეისათვის ბაზარზე არსებულ ადამიანური რესურსების (HR) წამყვან სისტემებსა და ინსტრუმენტებს შეუძლია ამ ნიშნულის ძირითად ბიზნესში ინტეგრაცია უზრუნველყოს. ახალი პროცესების სპეციფიკურ ფუნქციურ დიზაინთან და აქტივაციასთან დაწყვილებით (მაგ. სწავლა და რეკრუტირება) კომპანიებს შეუძლიათ გაუმჯობესონ პრობლემური სფეროების მონიტორინგი და გენდერული ბალანსის მიღწევისკენ სვლა წარმართონ. ბიზნესის ლიდერებმა უნდა მიიზიდონ თავიანთი ტექნოლოგიური პარტნიორები ისეთი ინტეგრაციის მიზნების მისაღწევად, როგორიცაა:

გამჭვირვალობა რეალურ დროში

რეალურ დროში მიღებული მონაცემების საფუძველზე გენდერული მრავალფეროვნებისა და თანასწორობის შესახებ სრული და ხელმისაწვდომი ხედვის შექმნა.

მიკერძოების პროგნოზირება და მართვა

მონაცემთა დამუშავებითა და ანალიზით მიკერძოების წყაროებისა და მაჩვენებლების იდენტიფიცირების უზრუნველყოფა, რაც რეალურ დროში შესწორებების საშუალებას გააჩენს.

ზეგავლენის გაზომვა და უწყვეტი გაუმჯობესება

ინიციატივების წარმატების თვალყურის დევნება და სამუშაო ძალის გენდერული ბალანსის შემდგომი განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა.

58%

აშშ-ს ორგანიზაციების მხოლოდ 58% ითვლის მონაცემებს შერჩევის, დაწინაურებისა და გათავისუფლების შესახებ სქესის მაჩვენებლების მიხედვით.[20]

42%

ევროპაში დასაქმებულთა მხოლოდ 42% სარგებლობს მოქნილი სამუშაო შეთავაზებებით.

SDG AMBITION-ის მიდგომა

ამბიციის გაზრდა

განსაზღვრეთ შესაბამისი ნიშნული პრიორიტეტების მიხედვით

ნიშნულის ამბიციის დონესთან შესაბამისი ახალი მიზანი

	სამუშაო ძალის გათანაბრება	შენარჩუნება და პროგრესი	შერჩევა
გზები	არსებული ანაზღაურების სტრუქტურების და პაკეტების ანალიზი და თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფა	დისკრიმინაციისა და მიკერძოების გარეშე თანამშრომლების შენარჩუნებისა და დაჯილდოების მიზნით ნიჭის ფოკუსირებული მენეჯმენტი	სტრატეგიული საკადრო კამპანიის აპლიკაციით და გასაუბრებაზე გადაწყვეტილების მიღებით გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად შესაძლებლობის გაძლიერება
მოქმედების მაგალითები	დაადგინეთ თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისთვის სპეციალური კორპორაციული პოლიტიკის შექმნით ჩაატარეთ წლიური ანაზღაურების და შესაძლებლობების მიმოხილვა და აკრედიტებული აუდიტი ჩამოაყალიბეთ პროტოკოლების დარღვევის შეტყობინების / გამოსწორების პროცესები	დანერგეთ პოლიტიკები, რომლებიც მიმართულია ინკლუზიის სისტემურ ბარიერებზე (მაგ. მოქნილი სამუშაო გეგმები) ჩაატარეთ პერსონალის ტრენინგი ჩართულობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ხელმძღვანელობიდან ქვედა რგოლების ჩათვლით შექმენით ინიციატივები, რომლებიც წაახალისებს პროგრესს (მაგ. ლიდერობის პროგრამები)	დანერგეთ მოთხოვნები გენდერული თანასწორობისთვის კანდიდატთა კითხვარებსა და გასაუბრებების პროცესში ინვესტიცია ჩადეთ მიზანმიმართულ განვითარებასა და ტრენინგებში, რათა გაზარდოთ ქალთა ნიჭის მოზიდვის შესაძლებლობა ცალკეულ სფეროებში, როგორიცაა STEM
ქვემიზნები	**აღმოფხვერით შრომის ანაზღაურების გენდერული სხვაობა**	**გაზარდეთ დასაქმებულთა გენდერული მრავალფეროვნების წილი დონეების და ფუნქციების მიხედვით**	**გაზარდეთ ბალანსი შერჩევის პროცესში**
საზომი*	**ფუნდამენტური:** ხელფასი და პრემია სქესისა და საფეხურის მიხედვით **სასურველი:** თანამშრომელთა ბენეფიტები სქესის და გეოგრაფიის მიხედვით (მაგ. ჯანმრთელობის დაზღვევა, სუბსიდირებული ტრანსპორტი და ა.შ.)	**ფუნდამენტური:** დაწინაურება სქესის და საფეხურის მიხედვით; თანამშრომელთა ცვლა კატეგორიის მიხედვით **სასურველი:** მოქნილი სამუშაო გეგმები სქესის მიხედვით; I&D გენდერული ტრენინგის საათები; თანამშრომლის ღირებულება ტრენინგის მიხედვით	**ფუნდამენტური:** განაცხადები საფეხურისა და სქესის მიხედვით; ახალი შერჩევები სქესისა და საფეხურის მიხედვით **სასურველი:** გასაუბრების პანელის შემადგენლობა; კანდიდატებთან გასაუბრება სქესის მიხედვით; ინვესტიცია გარე სწავლებაში

ბიზნეს პროცესი

ადამიანური რესურსები	დრო და ხარჯები (T&E) / გამომუშავებით გადახდა (PAYE)	ტრენინგი და განვითარება	კორპორაციული მოქალაქეობა	მარკეტინგი

	ჰოლისტური ანაზღაურების სხვაობის ინტეგრირება და ვიზუალიზაცია	ნიჭის მენეჯმენტის და სტრუქტურის მიკერძოებულობის გამოწვევები	შერჩევის აქტივობების ბალანსზე ორიენტირება
სისტემური შესაძლებლობები	თანამშრომელთა ანაზღაურების მონაცემები (მაგ. ხელფასი, პრემიები, შეღავათები), სხვადასხვა სისტემაში შესაძლოა, იყოს ფრაგმენტული. ადამიანური რესურსების პროგრამულ უზრუნველყოფას შეუძლია გასაგები მონაცემების წარმოება.	ახალი პროცესები და ანალიტიკური საშუალებები მიკერძოების შესაძლო წყაროებზე დასაკვირვებლად (მაგ. მიმოხილვითი პანელები, მოქნილი სამუშაო გეგმების ათვისება) და სასწავლო სისტემებზე გავლენა თანამშრომლების გადაწყვეტილებებზე და შესაძლო პროგრესზე ხედვის შესაძენად.	HR-ის ძირითად სისტემებში „რეკრუტირების“ ფუნქციონალი საშუალებას აძლევს ბიზნესს, საზოგადოების ჩართულობით (გარე ტრენინგი, მარკეტინგი) თვალყური ადევნოს შერჩევასთან დაკავშირებულ მონაცემებს, რათა დააკვირდეს აქტივობების შედეგებს.
მთავარი გადაწყვეტილები (KDD)	**KDD1** **როგორ შეგიძლიათ შეიქმნათ ჰოლისტური წარმოდგენა თანამშრომელთა ანაზღაურებაზე რეალურ დროში?** გამოყენებადი მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრა და დეტალების სწორი დონე საშუალებას მოგცემთ გაიაზროთ თანამშრომლების ჯამური ბენეფიტები (და არა მხოლოდ ხელფასი) და დაადგინოთ, არსებობს თუ არა სხვაობები ანაზღაურებასა და ლიდერობაში.	**KDD2** **როგორ შეიძლება მთელს ბიზნესში მიკერძოებულობის შეფასების ავტომატიზება?** საზედამხედველო პროცესებისა და სისტემების შექმნა საქმიანობის იმ სფეროებზე ზედამხედველობისთვის, სადაც ადგილი აქვს მიკერძოებას (მაგ. გენდერული ბალანსი პანელებზე, თანამშრომელთა ჩართულობა სწავლებებში - გაუცნობიერებელ მიკერძოებულობაზე), რათა გავლენის მქონე გადაწყვეტილების მიღება და მიმდინარე ინიციატივების კორექტირება შესაბამის ინფორმაციას ეყრდნობოდეს.	**KDD3** **როგორ შეიძლება დასაქმებულთა შერჩევის ოპტიმიზაცია, რათა გაზარდოთ ერთიანი დივერსიფიკაცია?** ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც გამოავლენს და მოახდენს აქტივობების ოპტიმიზაციას ქალ აპლიკანტთა რაოდენობის გასაზრდელად. აღნიშნული მოიცავს დასაქმების ინიციატივების შესაბამის განსაზღვრას, როგორიცაა კარიერული ღონისძიებები, რათა სისტემაში თვალყურის დევნება იყოს შესაძლებელი თანამშრომლების გავლენის მქონე ჩართულობაზე.

ბიზნესში ინტეგრაცია

* აქ მოცემული ყველა ძირითადი ინდიკატორი (KPI) და საზომი მითითებითია და გამომდინარეობს არსებული ანგარიშგების სტანდარტებიდან. ყველა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს მიზნის შესამუშავებელი მექანიზმები საკუთარი ანგარიშგების მეთოდოლოგიის და ბიზნეს კონტექსტის შესაბამისად.

ბიზნეს სისტემების დიზაინი

როგორ შეგიძლიათ შეიქმნათ ჰოლისტური წარმოდგენა თანამშრომელთა ანაზღაურებაზე რეალურ დროში?

KDD1

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

გენდერულ ბალანსზე თვალყურის დევნება მოითხოვს მრავალ საზომ მონაცემს, შესაბამისი მონაცემებით, რომლებიც ხშირად გვხვდება სხვადასხვა ბიზნეს სისტემაში. დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ მონაცემები (ჩანაცვლებები, დაწინაურება), სავარაუდოდ ინახება ცენტრალურ HR სისტემებში, ხოლო ანაზღაურების შესახებ მონაცემები (ხელფასები, პრემიები, სარგებელი) შეიძლება ხელფასების ან დროისა და ხარჯების პლატფორმებზე იყოს.

ანალიტიკური შესაძლებლობებით აღჭურვილი საწარმოო პროგრამული ინსტრუმენტები საშუალებას აძლევს კომპანიებს უფრო დეტალიზებულად დაამუშაონ თანამშრომელთა შესახებ მონაცემები რეალურ დროში და მათი ვიზუალიზაცია ხელმისაწვდომ საინფორმაციო პანელებზე გააკეთონ.

როგორ შეიძლება მთელს ბიზნესში მიკერძოებულობის შეფასების და მენეჯმენტის ავტომატიზება?

KDD2

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

ორგანიზაციაში გენდერული ბალანსის მრავალი ბარიერი კულტურული და სტრუქტურულია, შესაბამისად, მათი გამოაშკარავება ტრადიციული HR ინდიკატორებით ვერ ხერხდება. ასეთებია გაუცნობიერებელი მიკერძოებულობა ნიჭის მენეჯმენტსა და სამუშაოს აღწერილობებში, განსხვავებული სტანდარტები და მოლოდინები შრომასა და მშობელთა შვებულებებისადმი, ასევე სამუშაო ადგილების კულტურების გაუცხოება.

კომპანიებსა და პლატფორმების მიმწოდებლებს შეუძლიათ ასეთი ბარიერების იდენტიფიცირება და მოგვარება ავტომატიზებული სწავლების საშუალებით. AI-ის შეუძლია ვაკანსიის განაცხადში მიკერძოების ენის იდენტიფიცირება და ალტერნატივების შემოთავაზება.[21]

მცირე ბიზნესებში შეიძლება გარდამავალი შუალედური ნაბიჯების გადადგმა, მაგალითად, გამსაუბრებლების მრავალფეროვნების კონტროლი და თანამშრომლების ტრენინგი გაუცნობიერებელ მიკერძოებაში.

როგორ შეიძლება დასაქმებულთა შერჩევის ოპტიმიზაცია, რათა გაზარდოთ ერთიანი დივერსიფიკაცია?

KDD3

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

გენდერული ბალანსის დაცვა მოითხოვს ინვესტიციებს შერჩევასა და საკადრო პოტენციალის განვითარებაში, დაწყებული უნარ-ჩვევების განვითარებით (მაგ. ქალთა ინიციატივებით) დამთავრებული კადრების მიზნობრივი არჩევით (მაგ. on-campus ასოციაციები). ისევე, როგორც ნებისმიერი ბიზნეს ინიციატივა, ამ საქმიანობის გავლენის გაზომვაც შესაძლებელია. ვიდეო თამაშების გამომცემელმა Blizzard Entertainment-მა, რომელიც World of Warcraft-ის შემქმნელია, შეძლო სტაჟიორთა რაოდენობაში ქალ სტაჟიორთა 166%-ით გაზრდა, on-campus ქალთა მიერ მართულ ჯგუფებზე მიმართვის საშუალებით, როგორიცაა კლუბი „ქალები კომპიუტერულ მეცნიერებაში“.

კომპანიებს შეუძლიათ შერჩევის მოდულები გამოიყენონ მათ ძირითად HR სისტემებში, რათა ყურადღება გაამახვილონ ამ მიმართულებით გარე აქტივობებზე და შეაფასონ გავლენა, ასევე დამატებითი ძირითადი ინდიკატორები, როგორიცაა თანამშრომელთა წარმომადგენლების გენდერული ბალანსი კარიერულ ღონისძიებებზე. კომპანიებმა უნდა ითანამშრომლონ ტექნოლოგიურ პარტნიორებთან, რათა ჩამოაყალიბონ ჭკვიანი სისტემები, ქალთა მიერ მართული ჯგუფების იდენტიფიცირებისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფით ინვესტიციის უკუგებაში პოტენციალის შესაფასებლად.

[1] The Women's Empowerment Gender Gap Analysis Tool, UN Global Compact et al.

[2] IFC

[3] "The Fortune 500 has more female CEOs than ever before," Fortune, 2019

[4] Women on Corporate Boards: Quick Take, Catalyst, 2020

[5] Global Gender Gap Report 2020, World Economic Forum

[6] The Future of Jobs, World Economic Forum, 2016

[7] Closing the tech gender gap through philanthropy and corporate social responsibility, McKinsey & Company, 2018

[8] Creating a culture of equality in the workplace, Accenture

[9] Advancing diversity and inclusion, Unilever

[10] Accenture

[11] PVH Announces Forward Fashion, PVH, 2019

[12] The Global Gender Gap Report, 2020, World Economic Forum

[13] "Fast-track" rapid advancement is considered if typically reaching manager level within five years in terms of advancement in the workplace

[14] When She Rises, We All Rise: Getting to Equal 2018: Creating a culture where everyone thrives, Accenture

[15] Study: Firms with More Women in the C-Suite are More Profitable, Harvard Business Review, 2016

[16] The Hidden Value of Culture Makers, Accenture, 2020

[17] Sex-Based Charges, 1997–2019, U.S. Equal Employment Opportunity Commission

[18] When Women Thrive 2020, Mercer

[19] Diverse Representation Framework & Diverse Interview Panels, CEO Action

[20] When Women Thrive 2020, Mercer

[21] Textio Hire

[22] Harvard Business Review

United Nations Global Compact 20 years

In partnership with: accenture SAP 3M

ნიშნული (BENCHMARK)

წყლის დადებითი წარმადობის გავლენა წყალ-დეფიციტურ აუზებზე

SDG გავლენა
11, 12, 13, 14, 17

ვადა
50% 2030-მდე
100% 2050-მდე

სფერო ■ ოპერაციები ■ პროდუქტი და მომსახურება ■ ღირებულებათა ჯაჭვი

ინფორმაცია ნიშნულზე (BENCHMARK)

ამ ნიშნულის მიღება ხელს უწყობს ბიზნესს, შეაფასოს წყლის მოხმარება და იქონიოს დადებითი გავლენა წყალზე, განსაკუთრებით ადგილებში, სადაც წყლის დეფიციტი მაღალია. მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის (WRI) მიერ დეფიციტური ადგილი განისაზღვრება ტერიტორიად, სადაც ყოველწლიურად არსებული წყლის რესურსებიდან 40%-ის ან მეტის მოხმარება ხდება. SDG Ambition-ის ეს ნიშნული ბიზნესებს აწვდის სტრატეგიულ ხედვებსა და ტექნიკურ ნოუ-ჰაუს, რათა მათ შეაფასონ მტკნარ წყალზე საკუთარი ზეგავლენა მარაგის, ხარისხისა და ხელმისაწვდომობის კუთხით. იგი მოუწოდებს ბიზნესებს, გასცდნენ ოპერაციულ ქმედებებს და მიმართონ გაზომვად გაუმჯობესებებს წყალშემკრებთან მიმართებით, ადგილობრივი წყლის მოხმარებისა და ეკონომიკური გავლენის პროპორციულად, რათა ხელი შეუწყონ მდგრადი განვითარების მე-6 მიზანს, „სუფთა წყალი და სანიტარია“. კომპანიებმა უნდა დაადგინონ მოკლევადიანი პერსპექტივით პირდაპირ ოპერაციებთან მიმართებით წყლის მოხმარების ამოცანები, რაც ხელს შეუწყობს წყლის დადებითი წარმადობის 50%-ის 2030 წელს და 100%-ის 2050 წელს მიღწევას.

შეფასება ნიშნულთან მიმართებით

ნიშნულის - 2030 წლისთვის მტკნარი წყლის მდგრადი მოხმარება და მომარაგება - შესრულება შეიძლება შეფასდეს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნის SDG 6, „სუფთა წყალი და სანიტარიასთან“ მიმართებით. გაეროს გლობალური შეთანხმების აღმასრულებელი დირექტორის მანდატი და წყლის გამძლეობის კოალიცია (Water Resilience Coalition) დამატებით უწევენ ადვოკატირებას ბიზნესებს, რათა 2050 წლისთვის მათ განავითარონ წყალზე დადებითი წარმადობის ზეგავლენა და წყლის გამძლე ღირებულებათა ჯაჭვი.[1] ვინაიდან, მტკნარი წყლის გლობალური მოხმარების თითქმის ორი მესამედი დაკავშირებულია კორპორაციული ქსელების ინგრედიენტების წარმოებასთან, კომპანიებმა პასუხისმგებლობა უნდა გააფართოვონ წყლის მოხმარებაზე მთელს ღირებულებათა ჯაჭვში.[2] ბიზნესებს, რომელთაც 2050 წლისთვის არ აქვთ დასახული შესაბამისი მიზნები, რათა მიაღწიონ წყლის დადებითი წარმადობის გავლენას წყალ-დეფიციტურ აუზებზე, აღმოჩნდებიან SDG Ambition-ის ნიშნულის ქვემოთ.

ბიზნეს გავლენა წყალზე

ბიზნესი წყლის ყველაზე დიდი მომხმარებელია, რადგან თითქმის ყველა ოპერაცია და მომარაგების ჯაჭვი დამოკიდებულია წყლის ხელმისაწვდომობაზე. კომპანიების 45%-ის ანგარიშის მიხედვით წყლის უსაფრთხოების არარსებობამ გამოიწვია 425 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ზიანის რისკი.[3] 175-ზე მეტი კომპანია მხარს უჭერს აღმასრულებელი დირექტორების წყლის მანდატს (CEO Water Mandate), გაუმკლავდეს წყლის გლობალურ გამოწვევებს წყლის კორპორაციული ზედამხედველობის მეშვეობით გაეროსთან, მთავრობებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. დირექტორების მანდატის წყლის მდგრადობის კოალიცია წარმოადგენს ინდუსტრიის მიერ მართულ ინიციატივას, რომელიც ამბიციურ ვალდებულებებსა და ერთობლივ მოქმედებებზეა ორიენტირებული.

მაღალშემოსავლიან ქვეყნებში წყლის
59% სამრეწველო მოხმარებისთვის გამოიყენება

მსოფლიო მტკნარი წყლის
70% მოიხმარება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით

2016 წელს ნახშირბადის ემისიის პროექტის (CDP) რესპონდენტთა 25%-მა გამოცადა უწყლობის მძიმე გავლენა

ინდუსტრიის საილუსტრაციო გავლენა

სოფლის მეურნეობა: წყლის გლობალური მოხმარების 70% სოფლის მეურნეობას მიეკუთვნება.[4] სასმელისა და საკვების წარმოებისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ხარჯები თითოეული სასმელი და საკვები ერთეულისთვის შესაძლოა ასობით გალონი წყლის ხარჯზე ავიდეს.[5] წყლის დეფიციტის მქონე რეგიონებში სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის გაუმჯობესება არის უმთავრესი ფაქტორი წყლის უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად.

ნავთობი და გაზი: გლობალური წყლის გამოყენების 19% ინდუსტრიულია.[6] ნავთობისა და გაზის მრეწველობაში წყალს იყენებენ მოპოვებისა და ჰიდრავლიკური ბურღვის დროს. საინტერესოა, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტად უწყლო რეგიონები არიან ნავთობისა და გაზის ძირითადი მწარმოებლები. ინდუსტრიის ლიდერებმა აქტიურად უნდა მართონ წყლის რისკები, წარმოების უწყვეტი უზრუნველყოფის მიზნით.

კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ

NOVARTIS

NOVARTIS-მა მიზნად დაისახა 2016 წელთან შედარებით 50%-ით შეამციროს წყლის მოხმარება 2025 წლისთვის, 2030 წლამდე კი განახორციელოს ყველა ღონისძიება წყლის ნეიტრალიტეტისკენ. მან ასევე აიღო ვალდებულება, გაუმჯობესოს წყლის ხარისხი ყველა სამოქმედო ტერიტორიაზე. [7]

LEVI STRAUSS & CO

LEVI STRAUSS & CO-მ აიღო ვალდებულება, წყალნაკლულ ტერიტორიებზე 2018 წელთან შედარებით 50%-ით შეამციროს წყლის მოხმარება წარმოებაში 2025 წლისთვის. მათი მიმწოდებლის ამოცანა “Water<Less” გამოყენებული იქნება ყველა მომწოდებლის მიმართ, რომლებიც LS & Co-ს წარმოების 80%-ს შეადგენენ, სამიზნე მაჩვენებლების გამოყენებით, რაც მიმართულია ადგილობრივი წყლის დეფიციტის მოგვარებაზე.[8]

INTEL

INTEL-მა გადააჭარბა თავის 2025 წლის მიზანს და მიაღწია წყლის 100%-იან აღდგენას. 2030 წლისთვის კი ახალი მიზანი დაისახა, გაზარდოს წყლის კონსერვაცია და მიაღწიოს წყლის მოხმარებას დადებითი წარმადობით. ეს გეგმა მოიცავს გარე წყლის აღდგენის პროექტების დაფინანსებას. [9]

ღირებულება ბიზნესისთვის

კომპანიებს შეუძლიათ შეამცირონ ხარჯები წყალთან დაკავშირებული რისკების შეფასების ჩატარებით და წყლის მოხმარების შემცირებით. სასმელების ერთ-ერთმა გლობალურმა კომპანიამ რისკის შეფასების შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში დაზოგა 300 მლნ აშშ დოლარი.[10] გარდა ამისა, კომპანიებს შეუძლიათ დაზოგონ ხარჯები და შეამცირონ რისკები ჩამდინარე წყლების გამწმენდის მოწყობასა და პირდაპირ ოპერაციებში ან მათსავე ეკოსისტემაში წყლის ხელახლა გამოყენებაში ინვესტირებით. ამ რისკების შემცირება ასევე შესაძლებელია რეგიონული პარტნიორობის შექმნით და აკვატორიების სიჯანსაღის ინიციატივებში ინვესტიციით. ერთ-ერთმა საყოფაცხოვრებო კომპანიამ კოლუმბიაში დანერგა წყლის მართვის ინტელექტუალური გეგმა, რამაც წყლის ხელახალი გამოყენების 10 სისტემა შექმნა, 160 მონაკვეთზე ტყის აღდგენას შეუწყო ხელი და წამოიწყო ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობით შექმნილი 27 ჯგუფის ოპერირება, რომლებიც ფერმერებს ასწავლიან კლიმატის მდგრადობას 25 მდინარის აუზში. [11]

ძირითადი რესურსები

- » **CEO Water Mandate**
- » **AQUASTAT**
- » **Aqueduct Alliance**
- » **Pacific Institute**
- » **International Institute for Sustainable Development**

წინასწარი მოქმედებები

სტანდარტიზებული გაზომვებისა და განმარტებების შემოღება: კომპანიები იყენებენ სხვადასხვა განმარტებას და ჩარჩოს წყლის მოხმარებისა და ჩამდინარე წყლების შესახებ ინფორმაციის შესახებ ანგარიშგებისთვის, რაც ართულებს მონაცემების შედარებასა და შეფასებას.

წყლის რაციონალური ზედამხედველობის ჩართვა მატერიალურ შეფასებაში: ინფორმირებული სტრატეგიების შემუშავება ხელს უწყობს თქვენს ობიექტებთან და მომწოდებლებთან დაკავშირებული წყლის რისკების, შესაძლებლობებისა და ზემოქმედების შეფასება.

ინტეგრირების სირთულე*

ინტეგრაციის გაგება

წყლის დადებითი წარმადობის გავლენის მისაღწევად ინტეგრაციის პროგრესის გაცნობიერება მოითხოვს წყლის, როგორც ბიზნესის, პარტნიორების და საზოგადოების რესურსის, გაფართოებულ მონიტორინგსა და მართვას. ოპერაციული ეფექტიანობის ზრდისკენ სწრაფვა მოპოვების შემცირებისთვის, თუმცა ამავდროულად ხელმისაწვდომობისა და ხარისხის დასაცავად შესაძლებლობების დადგენა იქ, სადაც ბიზნესი გავლენას ახდენს წყლის წყაროებზე, ემყარება მონაცემებით მართულ ანალიზს. ტექნოლოგიებში მიღწევები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეალურ დროში მონაცემთა ნაკადების მოძრაობას, როგორიცაა ნივთების ინტერნეტი (IoT), ხელოვნური ინტელექტი (AI) და გეო სივრცული რუკების შედგენა, ხელს შეუწყობს ბიზნესს, გაუმკლავდეს თავის გავლენას წყლის მოხმარებაზე და ამავდროულად გაზარდოს მომგებიანობა. წყლის ხარისხის მონიტორინგის გამარტივება წყლის ჭკვიანი ტექნოლოგიების საშუალებით სტანდარტულ კომუნალურ კომპანიას დაუზოგავს ყოველწლიურად 600 მილიონ აშშ დოლარამდე, ან ხარისხის მონიტორინგის ხარჯების 70%-ს. [12]

ინტეგრირების მაგალითები

გაჟონვა

წყლის მილსადენებში სენსორების დაწყვილებით რეალურ დროში მართვის საშუალებებით, როგორიცაა ცვლადი სიჩქარის დრაივები (წნევის გასაკონტროლებლად), ბიზნესს შეუძლია წნევის შემცირების ავტომატიზაცია და წყლის გაჟონვის შედეგად დანაკარგის მკვეთრი შემცირება. წნევის მხოლოდ 20%-ით შემცირებამ შეიძლება გაჟონვა შეამციროს 30%-ით. [13]

წყალნაკლულობა და რისკი

წყლის რისკისა და ადგილობრივი წყლის გამოწვევების სფეროების დაგეგმარება ხელს უწყობს წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის ინიციატივების ეფექტიან პრიორიტეტიზაციას. Tyson Foods იყენებს Aqueduct-ს, მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის (World Resources Institute) ღია წყაროს ინსტრუმენტს. კომპანია ამ ინსტრუმენტს მონაცემების შესატანად იყენებს თავისი ობიექტის პრიორიტეტების მინიჭების პროცესში, რომელიც განსაზღვრავს წყლის მმართველობის გეგმისა და მიზნების საჭიროების დონეს. ეს მონაცემები ასევე საფუძველს უყრის კომპანიის გარე აქტივობებს, რადგან ისინი რეაგირებენ წყლის საერთო გამოწვევებზე წყალგამყოფებში, სადაც საქმიანობს და მასალებს მოიპოვებს Tyson Foods. [14]

აღმასრულებელი რგოლის (C-SUITE) კუთვნილება

ოპერაციების მთავარი ოფიცერი

გზა ინტეგრაციისკენ

კომპანიებმა უნდა შეაფასონ წყლის მართვის სტრატეგიებსა და სისტემებში ციფრული ტექნოლოგიებისა და ჭკვიანი გადაწყვეტილებების ინტეგრირების შესაძლებლობა. ტექნოლოგიურ პარტნიორებთან და გარე მომსახურების მიმწოდებლებთან თანამშრომლობით, ბიზნესს შეუძლია მიაღწიოს:

გაზომვის და პროგნოზირების ავტომატიზება

ციფრული ხელსაწყოების გამოყენება წყლის გამოყენებისა და მასზე ზემოქმედების ავტომატური მონიტორინგისთვის, რეალურ დროში კორექტირებასა და მოქმედებაზე გადასვლისათვის, როგორიცაა მილის წნევის შეცვლა ან სარემონტო ჯგუფების გაფრთხილება გაჟონვის თავიდან ასაცილებლად.

წყლის მოხმარების ეფექტიანობის ოპტიმიზაცია და ხარისხის შენარჩუნება

წყლის გამოყენებისას მისი შენარჩუნება, ექსპლუატაციის პროცესში ან გამოყენების შემდეგ მისი ხარისხის გაუმჯობესებით ადგილობრივ წყაროებში დასაბრუნებლად.

მიზნობრივი მოქმედებისთვის პროგნოზირება

ზუსტი საოპერაციო და გეოგრაფიული წყლის მონაცემების შეგროვება, პრიორიტეტულობისა და კაპიტალის განაწილების შესახებ რისკის შეფასებისა და მოდელირების ინფორმირების მიზნით.

$14
მილიარდი

მსოფლიო ბანკის შეფასებით, წყალმომარაგების კომპანიების ისეთი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია მომხმარებლებისთვის წყლის მიწოდების პროცესში არსებული წყლის დანაკარგებით დაახლოებით 14 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს

$25,6
მილიარდი

მოსალოდნელია, რომ 2025 წლისთვის წყლის მართვის ჭკვიანი ბაზარი, სავარაუდოდ, 25.6 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს

SDG AMBITION-ის მიდგომა

ამბიციის გაზრდა

განსაზღვრეთ შესაბამისი ნიშნული პრიორიტეტების მიხედვით

ნიშნულის ამბიციის დონესთან შესაბამისი ახალი მიზანი

გზები

წყლის ოდენობა
ბიზნეს საქმიანობისთვის საჭირო წყლის ოდენობის შემცირება, ხელახლა გამოყენების, გადამუშავების და ეფექტიანობის გზით

წყლის ხარისხი
წყლის ხარისხის აღსადგენად წყლის გაწმენდის გაუმჯობესება, საკვები დატვირთვის შემცირება და დაბინძურების თავიდან აცილება

წყლის ხელმისაწვდომობა
ადგილობრივი წყლის წყაროების დაცვა, რათა გაუმჯობესდეს სასმელად, სანიტარიისთვის და ჰიგიენისთვის წყალზე ხელმისაწვდომობა

მოქმედების მიმართულებები

წყლის ოდენობა:
- გააუმჯობესეთ წყლის ეფექტურობა მთლიან ოპერაციებში და ინვესტირება გააკეთეთ გადაწყვეტებში, რომლებიც წყალს დააბრუნებს წყაროსთან (მაგ. ოპტიმიზაცია, რეციკლირება, ხელახლა გამოყენება, IoT-ით ოპტიმიზება)
- გააუმჯობესეთ პროდუქტის ეფექტიანობა და მასალების შერევა წარმოების და მოხმარების დროს
- დანერგეთ მიმწოდებლებისთვის გაიდლაინები, რათა ხელი შეუწყოთ წყლის მენეჯმენტის უფრო ეფექტურ პროცესებს

წყლის ხარისხი:
- დანერგეთ ამოცანები და გადაწყვეტები, რათა გაზარდოთ წყლის წმენდა და დაიქირავეთ მაღალი დონის ტექნოლოგიები / გამყიდველები ამოცანების მისაღწევად
- ამოიღეთ (პროცესის შედეგად) მავნე ქიმიური ნივთიერებები პროდუქციასა და წარმოებაში

წყლის ხელმისაწვდომობა:
- დანერგეთ პოლიტიკები და პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს სუფთა წყალს, სანიტარიას და ჰიგიენას (WASH) ბიზნეს ოპერაციებში
- დანერგეთ პრაქტიკები ადგილობრივი თემის WASH-ზე ბიზნეს გავლენის გასააზრებლად და საპასუხოდ
- ჩართეთ ადგილობრივი თემი, სამოქალაქო სექტორი და მთავრობა უკეთესი WASH შედეგების გასააზრებლად და წასახალისებლად

ქვემიზნები

წყლის საერთო მოხმარება	წყლის გაწმენდის მაჩვენებელი	სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა

საზომი*

წყლის საერთო მოხმარება
ფუნდამენტური: წყლის მოხმარება წყაროს მიხედვით (მტკნარი ან სხვა); წყლის მოხმარება ნაკლულ რეგიონებში / მიმწოდებლები ნაკლულ რეგიონებში; წყლის რეციკლირების დონე
სასურველი: წყლის მოხმარება პროდუქციის ერთეულის მიხედვით; წყლის დანაკარგი მიზეზის მიხედვით, მიმწოდებლის წყლის მოხმარება და პოლიტიკა

წყლის გაწმენდის მაჩვენებელი
ფუნდამენტური: წყალში საერთო ჩადინება; საერთო ჩადინება კანონით დაშვებულ ზღვარს მიღმა; წლის გაწმენდის დონე
სასურველი: წყლის ხარისხი (მაგ. ქიმიური შემცველობა) ყველა დაბრუნებულ წყალზე; დესტინაციის მიხედვით გაწმენდილი წყალი; წყლის ხარისხისთვის მოქმედი მიმწოდებლები

სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა
ფუნდამენტური: მოსახლეობა, რომელსაც სუფთა წყალზე აქვს წვდომა; დასაქმებულები, რომელთაც აქვთ უსაფრთხო წყალზე წვდომა
სასურველი: წყლით გადამდები დაავადებების ადგილობრივი მაჩვენებელი; მიმწოდებლები, რომლებიც ნაბიჯებს დგამენ WASH-ზე

ბიზნეს კონტექსტი

წარმოების ოპერაციები და უსაფრთხოება	შესყიდვები და მიწოდების ჯაჭვი	ლოჯისტიკა, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია	ნარჩენების მართვა	გაყიდვების და დისტრიბუციის მენეჯმენტი	გარემოს დაცვითი მენეჯმენტი

სისტემური შესაძლებლობები / მთავარი გადაწყვეტილებები (KDD)

მოხმარების თაობაზე ვიზუალიზაციის ზრდა
გამოიყენეთ წყლის მართვის ჭკვიანი სისტემები უკეთესი ხილვადობისთვის, მაგ. დანაკარგის მიზეზებზე, პროგნოზირებაზე გადართვასა და მოქმედებების ავტომატიზებაზე, მათ შორის, რეციკლირების და ხელახლა გამოყენების პროცესებზე.

KDD1
როგორ შეიძლება ჭკვიანი მართვის ტექნოლოგია წყლის მართვის სისტემაში საუკეთესოდ ინტეგრირდეს?
განსაზღვრეთ ყველაზე ეფექტიანი წყლის ნაკადი და ჭკვიანი სისტემის დანერგვის და მართვის პროცესი და დაამუშავეთ მონაცემები

მიმწოდებლის გაუმჯობესების ხელშეწყობა
შექმენით უკეთესი ჩართულობა და გამჭვირვალობა მიმწოდებლებთან მიწოდების ჯაჭვის მართვის მექანიზმების და ტექნოლოგიის გამოყენებით.

KDD2
როგორ შეიძლება გაამარტივოთ მიმწოდებლის შეფასება და ხელი შეუწყოთ გაუმჯობესებას?
განსაზღვრეთ ინსტრუმენტები, რომლებიც მიმწოდებლის წყლის მონაცემების ინტეგრირებას აკეთებს, ასევე გააზიარეთ მდგრადი პრაქტიკები, წაახალისეთ გაუმჯობესება

მომსახურების მიმწოდებლებთან თანამშრომლობა მოვლის / გადამუშავების გასაუმჯობესებლად
გააუმჯობესეთ გარე პირების, მაგ. წყლის მოვლის და გადამუშავების კომპანიები, გადაწყვეტების ინტეგრაცია, რათა დაარეგულიროთ გავლენა და სხვადასხვა ეტაპზე გადაწყვეტილებები ინფორმირებული იყოს.

KDD3
როგორ გააუმჯობესებთ მონაცემთა მიწოდებას მომსახურების მიმწოდებლებსა და წყლის მართვის მთავარ სისტემებს შორის?
მონაცემთა ცვლა მოიცავს წყლის ხარისხის ანალიზს, რეციკლირებული წყლის ფასს და მოცულობას, რათა განისაზღვროს წყლის მოხმარების და რეციკლირების გაუმჯობესების შესაძლებლობები

რისკების და შესაძლებლობების ანალიზისთვის ადგილების და ობიექტების განსაზღვრა
გააუმჯობესეთ ოპერაციების და პროცესების ტერიტორიის გააზრება, რათა ხელი შეუწყოთ წყალნაკლული აუზების ხელშეწყობის სტრატეგიებს და განსაზღვროთ მოპოვების და აღდგენის შესაძლებლობები.

KDD4
როგორ ჩამოაყალიბებთ ერთიან სურათს ადგილობრივი წყლის გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ?
გამოიყენეთ გეო-სივრცითი მექანიზმები წყალნაკლული ადგილების რუკების შესაქმნელად და შიდა ან მიმწოდებელთა ოპერაციების კვალის საჩვენებლად

ბიზნესში ინტეგრაცია

* აქ მოცემული ყველა ძირითადი ინდიკატორი (KPI) და საზომი მითითებითია და გამომდინარეობს არსებული ანგარიშგების სტანდარტებიდან. ყველა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს მიზნის შესამუშავებელი მექანიზმები საკუთარი ანგარიშგების მეთოდოლოგიის და ბიზნეს კონტექსტის შესაბამისად.

ბიზნეს სისტემების დიზაინი

როგორ შეიძლება ჭკვიანი მართვის ტექნოლოგია წყლის მართვის სისტემაში საუკეთესოდ ინტეგრირდეს?

KDD1

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

წყლის მართვის ჭკვიანი სისტემები შეიძლება წყლის მოპოვებისა და მოხმარების ანომალიების დასადგენად გამოიყენოთ, მაგალითად, მილსადენის წნევის ვარდნა გაჟონვის გამო ან წყალში დამბინძურებლების ან ბაქტერიების გამოვლენა. ამ მონაცემების მონიტორინგისა და რეალურ დროში რეაგირების მიზნით სისტემების შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წყლის დანაკარგის შემცირებას და ხელს შეუშლის დაბინძურებული წყლის გარემოში მოხვედრას.

ეს გადაწყვეტილებები ეყრდნობა ციფრულ ტექნოლოგიებს, როგორიცაა სენსორები და IoT. ბიზნესებმა ამით მოგება რომ მიიღონ, მათ უნდა შექმნან ძირითადი სისტემები მონაცემთა შეგროვებისა და შენახვის ახალი პროცესებისათვის, მონაცემთა მზარდი მოცულობის გათვალისწინებით. ამის შემდეგ შეიძლება ანალიზი და ხელოვნური ინტელექტის საშუალებების გამოყენება შეიძლება ქმედითი შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის და საბოლოოდ, პროგნოზირებასა და ავტომატიზებულ მოქმედებაზე გადასასვლელად.

როგორ გააუმჯობესებთ მონაცემთა მიწოდებას მომსახურების მიმწოდებლებსა და წყლის მართვის მთავარ სისტემებს შორის?

KDD3

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

კომპანიები შეიძლება დაეყრდნონ მომსახურების მიმწოდებლებს ისეთი საქმიანობის მენეჯმენტში, როგორიცაა წყლის ხელახალი გადამუშავება და გასუფთავება. მონაცემთა ნაკადების შექმნა შიდა პროცესებსა და მომსახურების მიმწოდებლებს შორის მნიშვნელოვანია როგორც ანგარიშგების, ისე გადაწყვეტილების მიღებისათვის.

წყლის რესურსების მართვისთვის მონაცემების ინტეგრირება ამ გარე პარტნიორებთან იძლევა ინფორმაციას დამუშავებული წყლის მოცულობაზე, დამუშავებამდე არსებულ დამბინძურებლებზე, აგრეთვე წყლის მოცულობასა და ხარისხზე გასუფთავების შემდეგ. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ წყლის ხელახალი გამოყენების შესაძლებლობის დადგენაში, ასევე გამოკვეთს წარმოების პროცესების ან პროდუქტის დიზაინის შეცვლის შესაძლებლობას დამბინძურებელი თანმხლები პროდუქტების შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად.

როგორ შეიძლება გაამარტივოთ მიმწოდებლის შეფასება და ხელი შეუწყოთ მიმწოდებლების წყლის პრაქტიკების გაუმჯობესებას?

KDD2

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

მიწოდების ჯაჭვის მართვის ახალი საშუალებები იძლევა მომწოდებლებთან უფრო სწრაფი კავშირის საშუალებას, რათა შეუმსუბუქონ მიმწოდებლებს შეფასების ტვირთი, ასევე მისცენ საშუალება კომპანიებს თავიანთ მომწოდებლებს გაუზიარონ საუკეთესო პრაქტიკა.

მაგალითად, Nestle მუშაობდა წყლის ინფორმატიკის ინსტიტუტთან LUMS უნივერსიტეტში, პაკისტანში, რათა შეემუშავებინა ეფექტური სმარტ სენსორი ფერმერებისთვის, თავის მიწოდების ჯაჭვში. მოწყობილობის შესავსებად, მათ შექმნეს უფასო პროგრამული უზრუნველყოფა საერთო გამოყენებისთვის, რომელიც ფერმერებს რეალურ დროში რეგულარულად აწვდის რწყვის სიახლეებს პირდაპირ მათ ჭკვიან მოწყობილობებზე.

როგორ ჩამოაყალიბებთ ერთიან სურათს ადგილობრივი წყლის გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ?

KDD4

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

რუკების შედგენის ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც თქვენს წყლის გამოყენების მონაცემებთან არის დაწყვილებული, დაგეხმარებათ იმ ადგილების იდენტიფიცირებაში, სადაც ოპერაციებმა დიდი გავლენა მოახდინა წყლის ხელმისაწვდომობაზე (მაგ., წყალნაკლულ აუზებში) და საშუალებას მოგცემთ განსაზღვროთ პრიორიტეტები მიზნობრივი შემცირებისა და შევსების მოქმედებებისთვის.

ანალოგიურად, იმის გაგებას, თუ სად ოპერირებენ თქვენი მომწოდებლები, შეუძლია ხელი შეუწყოს თქვენი მომწოდებლის მენეჯმენტის სტრატეგიას, მაგალითად, წყალნაკლულ რეგიონებში მომუშავე მომწოდებლების აუდიტის გაზრდილი სიხშირით.

[1] Global Business Leaders Unite for Water Resilience, UN Global Compact, 2020

[2] Corporate water use, The Nature Conservancy

[3] CDP Global Water Report 2019

[4] AQUASTAT - FAO's Global Information System on Water and Agriculture, UN Food and Agriculture Organisation

[5] Water Footprint Network

[6] AQUASTAT, UN FAO

[7] Water, Novartis

[8] 2025 Water Action Strategy, Levi Strauss & Co.

[9] "Intel pledges ambitious water-use goal by 2030: To go "net-positive," Fortune, 2020

[10] Sustainable Investing: Revolutions in Theory and Practice, Cary Krosinsky, Sophie Purdom, 2016

[11] CEO Water Mandate

[12] Water 20/20: Bringing Smart Water Meter Networks Into Focus, Sensus, 2012

[13] Digital technologies ready to impact water industry efficiency, Waste and Water Treatment, 2019

[14] How Tyson Foods Uses Aqueduct, World Resources Institute

United Nations Global Compact 20 years

In partnership with: accenture SAP 3M

ნიშნული (BENCHMARK)

ორგანიზაციაში დასაქმებულთა 100% გამოიმუშავებს საარსებო მინიმუმს

SDG გავლენა 1, 2, 3, 4, 5, 10, 13

ვადა 2030

სფერო ■ ოპერაციები ☐ პროდუქტი და მომსახურება ■ ღირებულებათა ჯაჭვი

ინფორმაცია ნიშნულზე (BENCHMARK)

ეს ნიშნული მოუწოდებს ბიზნესს გადაუხადოს საარსებო მინიმუმი ყველა მის თანამშრომელს - მიუხედავად მათი სტატუსისა. აღნიშნული განიმარტება შემდეგნაირად: „სტანდარტული სამუშაო კვირის სანაცვლოდ მიღებული შრომის ანაზღაურება, საკმარისია დასაქმებულისა და მასზე დამოკიდებული პირების ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველყოფისთვის. ღირსეული ცხოვრების დონის ელემენტებია საკვები, წყალი, საცხოვრებელი ფართი, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, ტრანსპორტი, ტანსაცმელი და სხვა აუცილებელი საჭიროებები, მათ შორის მოულოდნელი მოვლენების უზრუნველყოფა.“ [1]

ამ მიზნის მისაღწევად კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ და დანერგონ სამართლიანი ანაზღაურების პოლიტიკის სხვადასხვა ელემენტი. სტრატეგიის განხორციელების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად კომპანიის ყველა დეპარტამენტი ჩართული უნდა იყოს ამ პროცესში. საარსებო მინიმუმი ემყარება მდგრადი განვითარების რამდენიმე მიზანს (SDG), კერძოდ, მდგრადი განვითარების მიზანი 1 „სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა ყველგან“ და მდგრადი განვითარების მიზანი 8 „სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის“. ხელფასი არის სამუშაოს ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა და კოლექტიური შეთანხმების მთავარი საგანი.

მთავრობებს აკისრიათ მნიშვნელოვანი როლი სექტორულ დონეზე ხელფასების განსაზღვრის მექანიზმების შემუშავებასა და მათ მხარდაჭერაში. 170-ზე მეტ ქვეყანაში დაწესებულია ერთი ან მეტი მინიმალური ხელფასი, რომელიც განისაზღვრება კანონმდებლობით ან სავალდებულო კოლექტიური ხელშეკრულებებით. ბევრ ქვეყანაში, კომპანიებმა მინიმალური ხელფასის შესახებ არსებული კანონმდებლობის უგულვებელყოფა უნდა მოახდინონ, რადგან მინიმალური ხელფასი ყოველთვის არ არის საკმარისი ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად. ბიზნესებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ მათ ყველა თანამშრომელს, მიუხედავად მათი სახელშეკრულებო შეთანხმებისა, ჰქონდეს შემოსავალი მათი და მათზე დამოკიდებული პირების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სტანდარტების ამაღლების გზით. 2030 წლის დღის წესრიგის შესაბამისად კომპანიები უნდა მიისწრაფოდნენ ამ ნიშნულის 2030 წლისთვის მიღწევისაკენ.

ამ ნიშნულში (benchmark) იგულისმება კომპანიის მიერ უშუალოდ დაქირავებული თანამშრომლები და კონტრაქტორები. ამასთან, ნიშნული თანდათან უნდა გავრცელდეს კომპანიის მთელი ქსელის ყველა დასაქმებულის სამართლიანი ანაზღაურების ვალდებულებაზე. აღნიშნული მოითხოვს კომპანიებისგან, მიიღონ ან გააუმჯობესონ შესყიდვების პრაქტიკა და შეუერთდნენ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის კოლეგებს ინდუსტრიიდან, მომწოდებლებს, მთავრობებს, მშრომელთა ორგანიზაციებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ინვესტორებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

ბიზნეს გავლენა საარსებო მინიმუმზე

დიდ ბრიტანეთში 6000-ზე მეტი დამსაქმებელი აკრედიტირებული და სერტიფიცირებულია საარსებო მინიმუმის ფონდის მიერ (Living Wage Foundation), როგორც საარსებო მინიმუმის გადამხდელი. ეს წამყვანი დამსაქმებლები და მომსახურების მიმწოდებლები საჯაროდ უერთდებიან ორგანიზაციების, ბიზნესის და ადამიანების დამოუკიდებელ მოძრაობებს, რომლებიც ითხოვენ ღირსეულ, ცხოვრებისთვის სამყოფ ანაზღაურებას და ასევე სთავაზობს მათ აკრედიტაციას.

ACT (მოქმედება, თანამშრომლობა, ტრანსფორმაცია) წარმოადგენს ნოვატორულ შეთანხმებას გლობალურ ბრენდებს, საცალო ვაჭრობასა და პროფკავშირებს შორის, ტანსაცმლის, ტექსტილისა და ფეხსაცმლის ინდუსტრიის გარდაქმნისა და მუშებისთვის საარსებო მინიმუმის მისაღწევად, ინდუსტრიის დონეზე კოლექტიური მოლაპარაკებების საშუალებით, რაც შესყიდვების პრაქტიკასთან კავშირშია. ACT არის 20 გლობალური კომპანიის თანამშრომლობა, რომლებიც წარმოადგენენ ბრენდებისა და ეტიკეტების ფართო სპექტრს და IndustriALL გლობალურ კავშირს, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ტანსაცმლის, ტექსტილისა და ფეხსაცმლის მუშაკებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

მსოფლიოში მუშების
19% ვერ გამოიმუშავებს სიღარიბის დაძლევისთვის საკმარის თანხას. [2]

ნორმირებული ყოველკვირეული ხელფასის
-3,7%-იანი კლება დაფიქსირდა აშშ-ში 2000 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე მუშახელში.[3]

გაეროს გლობალური შეთანხმების რესპონდენტთა
19% მუშაობს საარსებო მინიმუმის მისაღწევად მათი საქმიანობის ყველა სფეროში.[4]

კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ

INDITEX

INDITEX -ის მიზანია, უზრუნველყოს თავის მიწოდების ჯაჭვში დასაქმებულები საარსებო მინიმუმით. 2019 წელს კომპანიამ წამოიწყო სტრატეგია „მუშაკები ცენტრში 2019-2022“. იგი ემყარება მიწოდების ჯაჭვის მუშაკთა, მათი ოჯახის წევრებისა და მათი საჭიროებების გაზრდას და რეაგირებას, რათა ხელი შეეწყოს მათ ღირსეულ შრომას და მდგრად პროდუქტიულ გარემოს.

საარსებო მინიმუმი ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა, რომელიც განისაზღვრება ამ სტრატეგიის ფარგლებში და იგი ოთხი მიმართულებით არის შემუშავებული:

- კოლექტიური მოლაპარაკებების ხელშეწყობა და ფასილიტაცია
- პასუხისმგებლიანი შესყიდვის ეფექტიანი დანერგვა
- ორგანიზაციული სისტემებისა და მეთოდების წარმოების გაძლიერება
- მენეჯმენტის სისტემების გაუმჯობესება და ხელფასების გაციფრულება

Inditex არის ACT (მოქმედება, თანამშრომლობა, ტრანსფორმაცია) საარსებო მინიმუმის აქტიური წევრი

L'ORÉAL

2020 წელს L'ORÉAL ჯგუფმა აიღო ორი ვალდებულება საარსებო მინიმუმთან დაკავშირებით:

1) დასაქმებულთა ადამიანის უფლებების პოლიტიკით, L'ORÉAL ვალდებულია, რაც შეიძლება სწრაფად გადაუხადოს ყველა თანამშრომელს სულ მცირე, საარსებო მინიმუმი, რომელიც ფარავს მათ ძირითად საჭიროებებს და დაანგარიშებულია საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

2) პროგრამაში L'ORÉAL მომავლისთვის, L'ORÉAL იღებს ვალდებულებას, 2030 წლისთვის თავისი სტრატეგიული მომწოდებლების თანამშრომლების 100%-ს გადაუხადოს სულ მცირე, საარსებო მინიმუმი, რაც ფარავს მათ და მათზე დამოკიდებული პირების ძირითად საჭიროებებს და დაანგარიშებულია საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

L'ORÉAL– მა განავითარა პარტნიორობა ექსპერტებთან, დამოუკიდებელი ორგანიზაციის სამართლიანი ხელფასების ქსელის (Fair Wage Network) ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ და განახლებულ მონაცემთა ბაზას, იგი გამოიყენება საარსებო მინიმუმის სტრატეგიის განსაზღვრის, შექმნისა და განსახორციელებლად.

L'ORÉAL საარსებო მინიმუმის დასაანგარიშებლად ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა ადგილობრივი შობადობის მაჩვენებელი და შინამეურნეობის საშუალო შემოსავლების რაოდენობა. საარსებო მინიმუმის სტრატეგია ავსებს L'ORÉAL- ის უკვე არსებულ "Share & Care" პროგრამებს, რომლებიც თანამშრომლებს მთელს მსოფლიოში აძლევს სოციალურ შეღავათებს, მათ შორის მშობიარობის გამო და მამობის გამო შვებულებას, ანაზღაურებად სამედიცინო მკურნალობას, შშმ პირთა დაზღვევას.

L'ORÉAL გეგმავს თავისი სტრატეგიული მომწოდებლების ჩართვას, როგორც მათი „გაფართოებული კომპანიის“ ნაწილის, რათა უზრუნველყოს საარსებო მინიმუმი მათი თანამშრომლებისთვის, ისევე, როგორც მდგრადი მიწოდების სტრატეგიის სხვა საყრდენებისათვის (სოციალური აუდიტი, გარემო, ინკლუზიური წყაროები).

საარსებო მინიმუმის სტრატეგიის განხორციელება მსოფლიო გამოწვევაა და L'ORÉAL იყენებს თავის ბერკეტებს სხვა კომპანიებისა და დაინტერესებული მხარეების ჩასართავად ამ გზაზე, მათ შორის ერთობლივი პლატფორმების საშუალებით, როგორიცაა ბიზნესი ინკლუზიური ზრდისთვის (B4IG).

SCHNEIDER ELECTRIC

ადამიანის უფლებათა საკუთარი პოლიტიკის და პასუხისმგებლობის პრინციპების შესაბამისად, Schneider Electric-ს მიაჩნია, რომ ღირსეული ხელფასის გამომუშავება ადამიანის ძირითადი უფლებაა. Schneider ერთგულია დაბალანსაღაურებადი თანამშრომლებისთვის საარსებო მინიმუმზე მეტის გადახდის ვალდებულების, რაც დაფარავს მათი ოჯახების საბაზისო საჭიროებებს. საბაზისო საჭიროებებში ჯგუფი მოიაზრებს საკვებს, საცხოვრისს, სანიტარიას, განათლებას, ჯანდაცვას და დამატებით თავისუფალ შემოსავალს ადგილობრივი ცხოვრების სტანდარტის შესაბამისად.

2018 წელს Schneider Electric-მა დამოუკიდებელ მრჩეველთან ერთად - ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობისთვის (BSR) დაიწყო მუშაობა საარსებო მინიმუმის დანერგვის მიზნით. Schneider Electric-მა დაიწყო გლობალური პროცესი ადგილობრივი საარსებო მინიმუმის სტანდარტთან BSR-ის მიერ დადგენილი ხელფასების დონისა და დასაქმების პრაქტიკის შედარებითი გაანალიზებისთვის. დღემდე ანალიზმა მოიცვა 63 ქვეყანა, რაც კომპანიის ტერიტორიის 99%-ს შეადგენს. ეს პარტნიორობა და პროცესი გაგრძელდება და Schneider ეტაპობრივად გააფართოებს მის ფარგლებს მიმწოდებელ ქსელზე.

UNILEVER

2014 წელს UNILEVER-მა მიზნად დაისახა შეექმნა სტრუქტურირებული გზა, რათა განესაზღვრა და შეეფასებინა, თუ როგორ ხდება მისი კომპენსაციის პაკეტის ელემენტების დაყვანა თითოეული თანამშრომლის ანაზღაურებამდე, რაც ღია, სამართლიანი, თანმიმდევრული და ახსნადია. 2019 წლის ბოლოს Unilever იხდიდა საარსებო მინიმუმს ან მეტს უმეტეს ადგილებში და აქტიურად მუშაობდა მცირე რაოდენობით დარჩენილი პრობლემების გადასაჭრელად იმ ადგილებში, სადაც რთული სქემებით ხდებოდა ანაზღაურება.

შედეგი იყო სამართლიანი კომპენსაციის ჩარჩო და საარსებო მინიმუმის გადახდის ვალდებულება, რაც მათ თანამშრომლებს აძლევს შესაძლებლობას, რათა „უზრუნველყონ მათზე დამოკიდებული პირების ძირითადი საჭიროებები, საკვები, საცხოვრებელი, განათლება და ჯანდაცვა, აგრეთვე თავისუფალი შემოსავალი“.

2015 წლიდან Unilever მჭიდროდ თანამშრომლობს სამართლიანი ხელფასის ქსელთან, როგორც საარსებო მინიმუმის ღირებულების ობიექტური გარე წყარო დასაქმებულთა თითოეული ქვეყნისთვის. Unilever იყენებს ამ ბარიერებს რათა შეაფასოს, შეესაბამება თუ არა თითოეულ ქვეყანაში მუდმივი შტატიანი თანამშრომლებისთვის (მათ შორის ქარხნისა და ქარხნის გარე თანამშრომლებისთვის) გადახდილი ფიქსირებული კომპენსაცია საარსებო მინიმუმის სტანდარტს.

სამართლიანად გამომუშავებული ანაზღაურების თავის პოლიტიკაში ჩასმით, მომმარაგებლების პასუხისმგებლობით არჩევით, ისეთი შემთხვევების იდენტიფიცირებით, როდესაც არ ხდება სამართლიანად გამომუშავებული თანხის ანაზღაურება, Unilever ასევე ხელს უწყობს ღირებულებათა ჯაჭვში სამართლიანად გამომუშავებული თანხის ანაზღაურებას. დღეისათვის საარსებო მინიმუმის მიღწევა არის პასუხისმგებლიანი მოპოვების (Responsible Sourcing) პოლიტიკის კარგი პრაქტიკული ნიშნული, რომლის მისაღწევადაც მოსალოდნელია, რომ მომწოდებლები აქტიურად იმუშავებენ.

კოლექტიური მოლაპარაკებები

სახელფასო შკალა ხშირად დგინდება კოლექტიური შეთანხმებებით. ის განისაზღვრება დასაქმებულებთან ან დასაქმებულთა წარმომადგენლებთან კონსულტაციებით, კოლექტიური მოლაპარაკებების გზით. ჯანსაღი კოლექტიური მოლაპარაკებების პრაქტიკა უზრუნველყოფს დამსაქმებლებისა და დასაქმებულთა თანაბარ ხმას მოლაპარაკებებში და შედეგებიც სამართლიანი და თანაზომიერია. აღნიშნული ორივე მხარეს აძლევს საშუალებას, აწარმოონ მოლაპარაკებები სამართლიანი შრომითი ურთიერთობისა და სამართლიანი ანაზღაურების შესახებ. კოლექტიური მოლაპარაკებები შეიძლება ჩატარდეს საწარმოს ან სექტორულ დონეზე. პრინციპში, კოლექტიური შეთანხმებებით დადგენილი ხელფასის დონე ტოლია ან მეტია საარსებო მინიმუმზე, რაც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, შეძლონ მინიმუმ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილება. მაგრამ შესაძლებელია, კოლექტიური მოლაპარაკებები ძალიან სუსტი იყოს, მაგალითად, იმიტომ, რომ დასაქმებულები არ არიან საკმარისად ორგანიზებულნი, წარმოადგენონ თავიანთი ხმა მოლაპარაკებების მაგიდასთან. ამან შეიძლება გამოიწვიოს კოლექტიური შეთანხმებებით განსაზღვრული ხელფასის იმ დონემდე დაცემა, რომ რთული იქნება მისი საარსებო მინიმუმად ჩათვლა.

შეფასება ნიშნულთან მიმართებით

ნიშნულის - ორგანიზაციის მასშტაბით თანამშრომლებისთვის საარსებო მინიმუმის დანერგვა 2030 წლისთვის - შესრულება უნდა შეფასდეს მიმდინარე ხელფასსა და საარსებო მინიმუმს შორის არსებული სხვაობის ყველა იმ რეგიონში გაანგარიშებით, სადაც მიმდინარეობს საქმიანობა. საარსებო მინიმუმის საანგარიშო ღირებულება ან საარსებო მინიმუმის ზღვრული ოდენობა ქვეყნდება რეგიონებში სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ საკუთარი მეთოდოლოგიის გამოყენებით. ბევრ რეგიონში, ამ საარსებო მინიმუმის ზღვრები უფრო მაღალია, ვიდრე კანონით დადგენილი საარსებო მინიმუმი ან სიღარიბის ზღვარი. ნიშნულის მიღწევა იქნება კომპანიების პასუხისმგებლობის ნაწილი, პატივი სცენ დასაქმებულთა უფლებებს და ხელი შეუწყონ ღირსეული შრომის პირობების შექმნას შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.[6]

დასაქმება არ გამორიცხავს სიღარიბეში ცხოვრებას. 2019 წელს მსოფლიოში 630 მილიონზე მეტმა მუშაკმა - დასაქმებულთა თითქმის მეხუთედმა ვერ მიიღო იმდენი ფული, რომ თავი და ოჯახები დაეხსნა უკიდურესი სიღარიბისგან.[7] ბიზნესები, რომელთაც ყველა თანამშრომლისთვის 2030 წლისთვის საარსებო მინიმუმის გადასახდელად არ აქვთ დადგენილი დროული, გაზომვადი მიზნები და ამოცანები , SDG Ambition-ის ნიშნულს ვერ შეასრულებენ.

საარსებო მინიმუმის განსაზღვრის შესახებ დამატებით გაეცანით საარსებო მინიმუმის დამხმარე მასალას.

ღირებულება ბიზნესისთვის

დამქირავებელი, რომელიც დასაქმებულებს უხდის სულ მცირე, საარსებო მინიმუმის შესაბამის ანაზღაურებას, ინარჩუნებს ბედნიერ, ჯანმრთელ და პროდუქტიულ სამუშაო ძალას, ამცირებს თანამშრომელთა გადინების ხარჯებს და ამსუბუქებს მომხმარებელთა, კლიენტთა, ინვესტორთა და აქციონერთა შიშებს კომპანიის მიერ მუშათა უფლებების დაცვის შესახებ.

ერთმა კომპანიამ მას შემდეგ, რაც ქვე-კონტრაქტორებისთვის საარსებო მინიმუმის შესაბამისი ანაზღაურება დააწესა, აღმოაჩინა, რომ ერთი წლის შემდეგ დასუფთავების თანამშრომელთა გადინება 44-დან 27%-მდე შემცირდა. სამსახურში გამოუცხადებლობა ასევე შემცირდა 10%-ით.[8] Living Wage Foundation-ისა და კარდიფის ბიზნეს სკოლის მიერ ბრიტანეთში 800 აკრედიტირებული ბიზნესის საარსებო მინიმუმთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის თანახმად, საარსებო მინიმუმის შემოღებას შეუძლია უფრო პროდუქტიული სამუშაო ძალის შექმნა: კომპანიების 57%-მა განაცხადა, რომ მათი თანამშრომლების პასუხისმგებლობა და მოტივაცია გაიზარდა; 86% თვლის, რომ ამან გააუმჯობესა კომპანიის რეპუტაცია; 64%-მა თქვა, რომ აღნიშნული განასხვავებს მათ ორგანიზაციას სხვებისგან.[9]

ძირითადი რესურსები

- » International Labour Organization
- » The Anker Methodology
- » IDH
- » The Global Living Wage Coalition
- » Oxfam
- » The Fair Wage Network
- » BSR
- » Ethical Trading Initiative
- » ACT
- » Ergon Associates
- » Wage indicator Foundation

ინდუსტრიის საილუსტრაციო გავლენა

საცალო ვაჭრობა: IndustriALL-ის თანახმად, ტექსტილის ინდუსტრიის მუშების 90%-ზე მეტს არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები ხელფასების ან სამუშაო პირობების შესახებ.[10] ტანსაცმლის ინდუსტრია ტრადიციულად დაბალ ანაზღაურებადი ინდუსტრიაა, ცუდი სამუშაო პირობებით. აუცილებელია, ყველა დაინტერესებული მხარის მიერ თანამშრომლობითი მოქმედება ინდუსტრიის მასშტაბით დასაქმებულთათვის ფუნდამენტური ცვლილებების ხელშეწყობისთვის, რათა დასაქმებულებმა შეძლონ მინიმალური ანაზღაურებიდან და სამუშაო საათების შემცირებიდან თავის დახსნა.

სტუმარმასპინძლობა: სტუმარმასპინძლობისა და ტურიზმის სექტორი 330 მილიონ სამუშაო ადგილს ქმნის, რაც ნიშნავს, რომ მსოფლიოში ყოველი 10 დასაქმებულიდან ერთი ამ სფეროშია.[11] ინდუსტრიას აქვს სამუშაო ადგილებზე მინიმალური ხელფასის გადამხდელის ყველაზე მეტი წილი, სექტორის დაახლოებით 30%.[12] იმის გათვალისწინებით, რომ მინიმალური ხელფასი ყოველთვის არ იძლევა ღირსეული ცხოვრების საშუალებას, საარსებო მინიმუმის შემოღება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ცხოვრების დონეზე, სარგებელსა და დასაქმებულთა სხვა უფლებების დაცვაზე სტუმარმასპინძლობის სფეროში.

წინასწარი მოქმედებები

შეიმუშავეთ სამართლიანი ანაზღაურების ერთიანი სტრატეგია: საარსებო მინიმუმის ნიშნული კომპანიის ანაზღაურების პოლიტიკის ნაწილია. სამართლიანი ანაზღაურების პოლიტიკა მოიცავს მდგრადობის ტიპურ პარამეტრებს, როგორიცაა საარსებო მინიმუმი და თანაბარი ხელფასი, მაგრამ ბევრად უფრო ყოვლისმომცველია და და ასევე მოიცავს ანაზღაურების სისტემების სხვა მეთოდებსა და მაჩვენებლებს. მაგალითად, ხელფასები ეკონომიკურ და სოციალურ მაჩვენებლებთან შესაბამისობაში უნდა იყოს, ხელფასის გადახდა სრულად უნდა ხდებოდეს რეგულარულად და ოფიციალურად, მუშები სრულყოფილად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი თავიანთი ხელფასების შესახებ, ხელფასები საწარმოს გაყიდვების და მოგების ზრდის პროპორციულად უნდა გაიზარდოს, გამომუშავებული ანაზღაურება უნდა გაიზარდოს სამუშაოს ინტენსივობის ცვლილების, ტექნოლოგიური განვითარებისა და სამუშაო ძალის უნარებისა და დავალებების განვითარების შესაბამისად.[13]

ჩაატარეთ კომპექსური შემოწმება თქვენი პირდაპირი და არაპირდაპირი საქმიანობის გათვალისწინებით: ბიზნესის პასუხისმგებლობის ნაწილში ადამიანის უფლებების დაცვა და პატივისცემა, რომელიც განსაზღვრულია გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებში (UN Guiding Principles on Business and Human Rights), სიღარიბე დასაქმებულთა შორის სამუშაო ადგილზე და მიწოდების ჯაჭვში, რაც გამოწვეულია სამუშაოს ადგილზე დაბალი ანაზღაურებით უნდა აისახოს ბიზნესის ადამიანის უფლებათა სათანადო ზრუნვის (human rights due diligence) მიდგომებში.[14]

ჩაერთეთ სოციალური დიალოგის პროცესში: ამ ამოცანის მისაღწევად საჭიროა სისტემური შეფასება და ძლიერი სოციალური დიალოგი, გამომუშავებული ხელფასის გადახდის დონეზე ყველა იმ ადგილას, სადაც ბიზნესი ოპერირებს, აღნიშნულით განისაზღვრება ანაზღაურება საარსებო მინიმუმის ოდენობით ან მასზე მაღალ ნიშნულზე.

გაიაზრეთ მომარაგების ჯაჭვის მართვის გავლენა ხელფასებზე: კომპანიისთვის შეიძლება რთული იყოს გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში საარსებო მინიმუმის გადახდა მრავალი მიზეზის გამო. ხშირ შემთხვევაში იგი არ წარმოადგენს სამართლებრივად დამსაქმებელს; დამსაქმებელი ასეთ დროს პირველი ან მეორე დონის მიმწოდებელია. მყიდველებსა და მომწოდებლებს შორის შესყიდვების პრაქტიკა გავლენას ახდენს ანაზღაურებასა და სამუშაო პირობებზე.[15] მყიდველებს შეუძლიათ ზეწოლა მოახდინონ მომწოდებლებზე ვადების, ფასების, ტექნიკური მახასიათებლებისა და მიწოდების თვალსაზრისით, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მიმწოდებლების შესაძლებლობებზე, უზრუნველყონ საარსებო მინიმუმი და ღირსეული სამუშაო. მნიშვნელოვანია, უკეთ გავიაზროთ, თუ როგორ უკავშირდება შესყიდვის ფასები ანაზღაურებას. დარგობრივ დონეზე თანამშრომლობა, აგრეთვე ძირითადი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა და თანამშრომლობა, გადამწყვეტია ეროვნულ დონეზე ბერკეტის შესაქმნელად, რათა ყველა დასაქმებული უზრუნველყოფილი იყოს საარსებო მინიმუმით.

ინტეგრირების სირთულე*

ინტეგრაციის გაგება

ამ ნაწილში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები ტექნოლოგიური სისტემების განვითარების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს საარსებო მინიმუმის მეთოდოლოგიისა და გაანგარიშების კორპორაციულ სტრატეგიაში ასახვას. ამის მისაღწევად კომპანიამ უნდა გადადგას მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, დაწყებული დეფინიციის იდენტიფიცირებით და გაანგარიშების მეთოდოლოგიის განსაზღვრით, დამთავრებული მენეჯმენტის მხარდაჭერითა და ბიუჯეტის დამტკიცებით. გარდა ამისა, კომპანიები უნდა ისწრაფოდნენ ახალი ბარიერის დამკვიდრებისათვის, რომელიც დაეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ გაანგარიშების მეთოდოლოგიას, და ჩაშენდება ადამიანური რესურსების მართვისა და რესურსების დაგეგმვის პროგრამულ უზრუნველყოფაში, ისე, რომ ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღებოდეს საქმიანობის ყველა სფეროში და ყველა ბაზარზე საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით.

ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორებიცაა ანალიტიკა და მანქანური სწავლება, კომპანიებს არა მარტო შეუძლიათ შემოიღონ თავის სახელფასო სტრატეგიაში საარსებო მინიმუმი, არამედ ასევე შეუძლიათ გაანგარიშების ავტომატიზაცია მაკროეკონომიკური მონაცემების შეცვლასა (მაგალითად, ცხოვრების ღირებულება) და ბიზნესის მასშტაბის შესაბამისობის შეფასების საფუძველზე. ამ პროცესების გამარტივება ხელს უწყობს ნიშნულის განხორციელებას და ანგარიშვალდებულებას მიმართავს შესაბამისობისა და წინსვლისკენ.

გზა ინტეგრაციისკენ

ტექნოლოგიური პარტნიორების ჩართვით, კომპანიებს შეუძლიათ შექმნან სისტემები, რომლებიც საარსებო მინიმუმს აქცევს იმ პროცესების ნაწილად, რაც საფუძვლად უდევს კორპორაციულ სახელფასო სტრუქტურებს. ამასთან, თქვენი მისწრაფება უნდა იყოს:

კომპენსაციების დინამიური სისტემა

ადამიანური რესურსების ანაზღაურების სისტემების გადაწყობა, რაც სტატიკურ სახელფასო შეფასებებს გარდაქმნის პერიოდულ, დინამიურ ხელფასის მდგენელებზე მთელი სამუშაო ძალისათვის.

ქმედების გამომწვევი სიღრმისეული ხედვები

გამოიყენეთ ანალიტიკური საშუალებები, რათა სწრაფად მიიღოთ ინფორმაცია ფუნქციების და გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით საარსებო მინიმუმის მიღწევის პროგრესის შესახებ, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების ინფორმაციაზე დამყარებულ პროცესს.

დასაქმებულთა ჩართულობა და მგრძნობელობა

განავითარეთ საარსებო მინიმუმის ვალდებულების თაობაზე თანამშრომლებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის სტრატეგია, რათა მიაღწიოთ გლობალურ დაფარვას და უზრუნველყოთ, რომ არც ერთი ახალი დასაქმებულის ანაზღაურება არ იყოს საარსებო მინიმუმს ქვემოთ.

აღმასრულებელი რგოლის (C-SUITE) კუთვნილება

ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი პირი

ინტეგრირების მაგალითები

შეფასების შეუფერხებელი პროცესი

როგორც კი შეირჩევა საარსებო მინიმუმის ნიშნულისთვის დაანგარიშების მეთოდოლოგია ბიზნესების ოპერაციების სხვადასხვა სივრცისთვის, გლობალურად ყველა პირდაპირ დასაქმებული თანამშრომლის ხელფასების შეფასებაა საჭირო, რათა დადგინდეს, თქვენი რამდენი თანამშრომელი იღებს საარსებო მინიმუმს ან მეტს. ეს ნიშნავს, რომ თქვენ უნდა განსაზღვროთ თქვენი თანამშრომლები და მათი მოქმედი ანაზღაურების დონე ყველა ტიპის ხელშეკრულებისათვის (სრულ-განაკვეთიანი, ნახევარ-განაკვეთიანი და დროებითი თანამშრომლების, თქვენი კომპანიის სივრცეში მომუშავე კონტრაქტორების დასაქმებულების და სხვათა არსებული ხელფასის დონე). ეს მოიცავს კონსულტაციას სხვადასხვა ერთეულთან ქვეყნის დონეზე და ამ პროცესის წამოწყება შეიძლება გამოკითხვის მეშვეობით. მისაღები იქნება გადაწყვეტილება, როგორ განისაზღვრება და გამოითვლება ხელფასის დონეები, მაგალითად, იღებს თუ არა გაანგარიშება მხედველობაში არასავალდებულო სარგებელს, როგორიცაა გაფართოებული ჯანდაცვის სარგებელი, რასაც იხდის დამსაქმებელი, პრემიები და არაფინანსური ანაზღაურებები.

ბიზნესებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ადამიანური რესურსების სისტემების ინტელექტუალურ ფუნქციონირებაზე. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების და ზღვრის ამ მექანიზმებში მყარად ჩაშენება ხელს შეუწყობს ეფექტიან შეფასებებს, რითაც გადაწყვეტილებები ინფორმაციას დაეყრდნობა იმ პირობებში, როდესაც ბიზნესი ცდილობს ნებისმიერი იმ დასაქმებულის ხელფასის ზრდას, რომელიც ამჟამად ვერ გამოიმუშავებს საარსებო მინიმუმს.

გადახედვის და განახლების ავტომატიზება

რამდენადაც საარსებო მინიმუმი ეყრდნობა ბაზარზე სხვადასხვა ცვალებად ინდიკატორებს, როგორიცაა რეგიონული ცხოვრების ღირებულება, გადასახადები, საჯარო სერვისების ღირებულება და ხელმისაწვდომობა, სასიცოცხლოდ მნიშნველოვანია, კომპანიებმა დანერგონ საარსებო მინიმუმის მონიტორინგისა და განახლების პროცესები, ამ ცვლილებების ასახვის უზრუნველსაყოფად. კომპანიებმა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორიცაა მანქანური სწავლება, უნდა შექმნან სისტემები, რომლებიც ავტომატიზებას გაუკეთებენ ამ ინდიკატორების შესახებ მონაცემთა დინებას, რათა განახლება რეგულარულად და სათანადოდ გაკეთდეს.

8% მოდის რევოლუციის მოდის გამჭვირვალობის ინდექსის ანგარიშის მიერ შეფასებული 200 ბრენდიდან მხოლოდ 8%-მა განაცხადა საარსებო მინიმუმისკენ წლიური პროგრესის შესახებ. [16]

SDG AMBITION-ის მიდგომა

ამბიციის გაზრდა

განსაზღვრეთ შესაბამისი ნიშნული პრიორიტეტების მიხედვით

ნიშნულის ამბიციის დონესთან შესაბამისი ახალი მიზანი

ბიზნეს პროცესი

სამუშაო ძალის მართვა

ქვეგზანები

საზომი*

მოქმედების მაგალითები

გზები

სამუშაო ძალის მართვა

ქვეგზანები: შეაფასეთ საარსებო მინიმუმი ოპერაციების ყველა სეგმენტში და გაზარდეთ ხელფასი ყველა იმ თანამშრომლისთვის, ვინც შესაბამის მინიმუმს ქვემოთ მოექცა

მოქმედების მაგალითები:

- მიიღეთ გადაწყვეტილება განსაზღვრის და დაანგარიშების მეთოდოლოგიაზე, შეარჩიეთ სანდო გარე პარტნიორი ოპერაციული პროცესების დანერგვის ხელშესაწყობად
- განავითარეთ შიდა მართვის პროცედურები, შექმენით სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა ფუნქციებით, როგორიცაა, ადამიანური რესურსები, იურიდიული, შესყიდვები და ტენდერები
- აწარმოეთ მიმდინარე მონიტორინგი საარსებო მინიმუმის დონეებზე, რათა ცხოვრების ფასის, გადასახადების, კრედიტების და საჯარო სერვისების ღირებულების და ხელმისაწვდომობის ცვლილებები ასახოთ

დასაქმებულები იღებენ საარსებო მინიმუმს

საზომი:

ფუნდამენტური: დასაქმებულები, რომლებიც იღებენ საარსებო მინიმუმზე ნაკლებს; თანამშრომლები, რომლებიც იღებენ საარსებო მინიმუმს

სასურველი: საარსებო მინიმუმის პოლიტიკის წლიური დარღვევის შემთხვევები

პოლიტიკის გაფართოება და ადვოკატირება

ქვეგზანები: გლობალური მოქმედება შესაბამისი მასშტაბით უნდა განხორციელდეს, კომპანიის პოლიტიკა უნდა გასცდეს პირდაპირ დასაქმებულებს, რათა გავლენა მოახდინოს ბიზნეს პარტნიორებზე, კონტრაქტორებსა და სხვა კომპანიებზე

მოქმედების მაგალითები:

- აწარმოეთ კამპანიები ცნობიერების ასამაღლებლად და კომუნიკაცია საარსებო მინიმუმთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე თანამშრომლებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან, გლობალური დაფარვის უზრუნველსაყოფად
- ჩაერთეთ კონტრაქტორების საქმიანობაში მათ სახელფასო პოლიტიკებთან დაკავშირებით
- ჩაერთეთ შესყიდვების და მიწოდების ჯაჭვის დეპარტამენტების საქმიანობაში, რათა განიხილოთ შესყიდვების პრაქტიკების გავლენა ხელფასებზე მიწოდების ჯაჭვში
- ჩართეთ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, ინდუსტრიის სხვა წარმომადგენლები, მიმწოდებლები, მთავრობები, მუშათა ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ინვესტორები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

შესყიდვების თანამშრომლები გადამზადებულნი არიან მდგრადი მოპოვების და შესყიდვის პრაქტიკებს და ხელფასებს შორის კავშირის შესახებ

საზომი:

ფუნდამენტური: მდგრადი შესყიდვების პრაქტიკის მიღება დეპარტამენტის მიერ; კონტრაქტორები, რომლებიც ჩართულნი არიან საარსებო მინიმუმის პოლიტიკებში; მიმწოდებლები, რომლებიც ჩართულნი არიან საარსებო მინიმუმის პოლიტიკებში

სასურველი: მიმწოდებლები, რომლებიც იხდიან საარსებო მინიმუმს; კონტრაქტორები, რომლებიც დასაქმდნენ საარსებო მინიმუმის ან მეტი ოდენობის ანაზღაურებით

ბიზნეს პროცესი

ანაზღაურების ადმინისტრირება	ადამიანური რესურსების ადმინისტრირება	შესყიდვები და მიწოდების ჯაჭვი	იურიდიული და შესაბამისობის საკითხები

სისტემური შესაძლებლობები

ნიშნულის დაანგარიშების ავტომატიზება რეალურ დროში გადახედვით და განახლებებით

ინსტრუმენტები და ძირითადი სისტემები შეიძლება ისე აიგოს, რომ გამოთვლები გააკეთოს ყველა დასაქმებულზე, ასევე გადახედვის ავტომატიზება მოახდინოს და რეალურ დროში აღმოაჩინოს საარსებო მინიმუმის პოლიტიკის შესაძლო დარღვევები

მიმწოდებლის შეფასების და რისკის კატეგორიზაციის მანქანური სწავლება

მიმწოდებელთა მონაცემებს და მახასიათებლებს შეუძლიათ შერჩევის პროცესს დაეხმაროს, ისეთი პარტნიორების ან მიმწოდებლების განსაზღვრაში, რომელთაც მაღალი რისკი აქვთ, არ გადაიხადონ საარსებო მინიმუმი

მთავარი გადაწყვეტილები (KDD)

KDD1

როგორ შეიძლება ჩააშენოთ საარსებო მინიმუმის დაანგარიშება ადამიანური რესურსების ძირითად სისტემებში და განახლების ავტომატიზება მოახდინოთ რეალურ დროში მიღებული მაკროეკონომიკური მონაცემებით?

როგორც კი მიღებული იქნება საარსებო მინიმუმის მეთოდოლოგია და განსაზღვრება გაანგარიშების საზომი ერთეულები, კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ანალიტიკით და მანქანური სწავლებით გამყარებული მექანიზმები, რათა ნიშნულის გაანგარიშება, დარღვევების შესახებ შეტყობინებები და რეალურ დროში ინდიკატორების შესახებ მონაცემების, როგორიცაა რეგიონული ცხოვრების ღირებულება, მოპოვება ავტომატიზებული გახდეს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება, რომ გაანგარიშება განახლებადია ოპერაციების ყველა დონეზე.

KDD2

როგორ შეიძლება შეაფასოთ თქვენი მიმწოდებლების ქსელის ანაზღაურების პოლიტიკები და ხელი შეუწყოთ მიმწოდებლების გაუმჯობესებას?

კომპანიებს შეუძლიათ ებრძოლონ გაუმჭვირვალე მიწოდების ჯაჭვებს ციფრული მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც შექმნიან რისკის პროფილებს მიმწოდებლების შესახებ, მოქმედების სფეროების და გაყიდული პროდუქციის მიხედვით. მიმწოდებელთა გაუმჯობესების პროგრამა შეიძლება შემუშავდეს მიწოდების ჯაჭვის მართვის ინსტრუმენტებზე, რათა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორების შესაძლებლობები გამოყენებული იყოს მათი ანაზღაურების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად და, საბოლოოდ, საარსებო მინიმუმის ანაზღაურების მისაღწევად.

ბიზნესში ინტეგრაცია

* აქ მოცემული ყველა ძირითადი ინდიკატორი (KPI) და საზომი მითითებითია და გამომდინარეობს არსებული ანგარიშგების სტანდარტებიდან. ყველა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს მიზნის შესამუშავებელი მექანიზმები საკუთარი ანგარიშგების მეთოდოლოგიის და ბიზნეს კონტექსტის შესაბამისად.

ბიზნეს სისტემების დიზაინი

როგორ შეიძლება ჩააშენოთ საარსებო მინიმუმის დაანგარიშება ადამიანური რესურსების ძირითად სისტემებში და განახლების ავტომატიზება მოახდინოთ რეალურ დროში მიღებული მაკროეკონომიკური მონაცემებით?

KDD1

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

როგორ შეიძლება შეაფასოთ თქვენი მიმწოდებლების ქსელის ანაზღაურების პოლიტიკები და ხელი შეუწყოთ მიმწოდებლების გაუმჯობესებას?

KDD2

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

როგორც კი მიღებული იქნება საარსებო მინიმუმის მეთოდოლოგია და განისაზღვრება გაანგარიშების საზომი ერთეულები, კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ანალიტიკით და მანქანური სწავლებით გამყარებული მექანიზმები, რათა ნიშნულის გაანგარიშება, დარღვევების შესახებ შეტყობინებები და რეალურ დროში ინდიკატორების შესახებ მონაცემების, როგორიცაა რეგიონული ცხოვრების ღირებულება, მოპოვება ავტომატიზებული გახდეს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება, რომ გაანგარიშება განახლებადია ოპერაციების ყველა დონეზე.

ანაზღაურების ზღვრის ადამიანური რესურსების მართვის ძირითად სისტემებში ჩაშენება არსებითია საარსებო მინიმუმისა და სახელფასო საჭიროებების შესახებ ცნობიერების გასაზრდელად როგორც დასაქმების (რეკრუტირების) ჯგუფებში, ისე დასაქმებულებს შორის. საარსებო მინიმუმის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაქირავების შემსრულებლებთან და სხვა დაქირავებისთვის (რეკრუტირებისთვის) მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად პირველი ნაბიჯია, რომელიც ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, შეადარონ საკონკურსო მოთხოვნები საარსებო მინიმუმის მიზანს და შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ, რათა ყველა ახალი დასაქმებული უზრუნველყოფილი იყოს საარსებო მინიმუმით ან მეტით.

ეს ნიშნული ფოკუსირებულია პირდაპირ დამსაქმებლებზე და არ ფარავს საარსებო მინიმუმის გაფართოებას ბიზნეს პარტნიორებსა და მიმწოდებლებზე. თუმცა, კომპანიებს ნამდვილად აქვთ შესაძლებლობა, ისე ჩამოაყალიბონ ბიზნეს სისტემები, რომ ხელი შეუწყონ პარტნიორებსა და კოლეგებში უკეთესი ანაზღაურების პოლიტიკას, და ასეც უნდა მოიქცნენ, როდესაც ეს შესაძლებელია. მაგალითად, ციფრული რისკების შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით, კომპანიებს შეუძლიათ შექმნან მიმწოდებლების რისკის პროფილები და განსაზღვრონ პარტნიორები, რომლებიც ადამიანის უფლებების დარღვევის მაღალი რისკით გამოირჩევიან, ამ გზით კი მოპოვების გადაწყვეტილებებს შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე მიიღებენ და გადადგამენ პრევენციულ და შემამსუბუქებელ ნაბიჯებს.[17]

გარდა ამისა, კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ სწავლების მართვის სისტემები, რათა ჩართონ შესყიდვების გუნდები ისეთი შესყიდვების პრაქტიკების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს უფრო პროგრესული ანაზღაურების სტრუქტურებს მიმწოდებლებში. ACT-ის ანგარიშვალდებულებისა და მონიტორინგის ჩარჩო საშუალებას აძლევს ACT-ის წევრ ბრენდებს შეასრულონ საკუთარი შესყიდვების პრაქტიკებთან დაკავშირებული ვალდებულებები შეთანხმებული ინდიკატორების და მონიტორინგის ინსტრუმენტებით, რაც შეიძლება გაერთიანდეს მათ შესყიდვების სისტემებსა და სატრენინგო პროცესებში. [18]

[1] There is no universally agreed definition of a living wage as a concept and there is no universally accepted amount that defines such remuneration. The definition used in this document is based on the definition of the Global Living Wage Coalition and incorporates the main ideas found in over 60 living wage descriptions and definitions from human rights declarations; national constitutions; NGO, multinational, and corporate codes of conduct; International Labour Organization (ILO) documents; and statements of major historical figures (Anker 2011).

[2] International Labour Organization (ILO)

[3] Pew Research Center

[4] UN Global Compact, DNV GL (2020) Anniversary Report -Calculation: 22 per cent of companies report to priorities SDG 1, of these, 85 per cent implement and promote a living wage.

[5] The Sustainable Trade Initiative (IDH) has developed a set of objective criteria for the minimum elements a Living Wage benchmark methodology should include to be reliable.

[6] See also "Decent Work Toolkit for Sustainable Procurement", developed by the UN Global Compact Decent Work in Global Supply Chains Action Platform.

[7] International Labour Organization (ILO)

[8] Livingwage.org

[9] Living Wage Foundation

[10] IndustriALL

[11] World Travel and Tourism Council

[12] Deutsche Bank Market Research

[13] Fair Wage Network — 12 Fair Wage Dimensions

[14] Earning a living wage is a basic human right as included in the Universal Declaration of Human Rights: "Everyone who works has the right to just and favourable remuneration ensuring for himself and his family an existence worthy of human dignity, and supplemented, if necessary, by other means of social protection" (Article 23: 1,3).

[15] Purchasing practices and working conditions in global supply chains: Global Survey results, ILO, 2017 — http://ilo.org/travail/info/ fs/ WCMS_556336/ lang--en/ index.htm

[16] Fashion Revolution

[17] OECD

[18] ACT

United Nations Global Compact 20 years

In partnership with: accenture SAP 3M

ნიშნული (BENCHMARK)

100% მდგრადი მასალის გამოყენება, რომელიც განახლებადი, გადამუშავებადი და მრავალჯერადი გამოყენებისაა

SDG გავლენა 6, 9, 11, 13, 14 15, 17

ვადა 2030

სფერო ■ ოპერაციები ■ პროდუქტი და მომსახურება □ ღირებულებათა ჯაჭვი

ინფორმაცია ნიშნულზე (BENCHMARK)

ეს ნიშნული ხელს უწყობს ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკის დანერგვას მასალის შერჩევასა და პროდუქტის დიზაინში. იგი კონკრეტულად ეხება პროდუქტისა და შეფუთვის დიზაინს - კერძოდ, აკონტროლებს, რომ მასალები და ნედლეული მაქსიმალურად გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისი და 100%-ით მდგრადია - ბიზნეს ოპერაციების, პროდუქტებისა და მომსახურების ფარგლებში. ნიშნულის მიზანია მასალის უწყვეტი გამოყენება იმ-დაგვარად, რომ ეკონომიკური საქმიანობა არ მოითხოვდეს რესურსების მოპოვებას. ეს ნიშნული მოიცავს მდგრადი განვითარების მე-12 მიზანს: მდგრადი მოხმარება და წარმოება.

შეფასება ნიშნულთან მიმართებით

ნიშნულის - მდგრადი მასალის პროცენტული წილი 2030 წლისთვის - შესრულება შეიძლება შეფასდეს SDG 12-ით განსაზღვრული ინდიკატორებით და მიწოდების ჯაჭვის მდგრადობის შესახებ გაეროს გლობალური შეთანხმების მრჩეველთა ჯგუფის მითითებების შესაბამისად. კომპანიები უნდა შეეცადონ თავიანთი პროდუქტის დიზაინის სრულყოფას ისეთი არხების საშუალებით, როგორიცაა რესურსების ეფექტიანობა, მასალების გადამუშავება, მაქსიმალურად განახლებადი საშუალებების იდენტიფიცირება და შერჩევა და ამ შედეგების სერტიფიცირება წამყვანი მესამე პირების სერტიფიცირების პროგრამებით. ბიზნესი, რომელსაც არ აქვს დასახული მიზნები 2030 წლისთვის 100%-ით მდგრადი ნედლეულის მიზნის მისაღწევად 2030 წლის დღის წესრიგის შესაბამისად, SDG Ambition-ის ნიშნულის ქვემოთ აღმოჩნდება.

ღირებულება ბიზნესისთვის

ცირკულარული მოდელები განსაკუთრებით მიმზიდველია ბიზნესისთვის ფინანსური თვალსაზრისით: მაგალითად, მოდის ინდუსტრიაში ცირკულარულ რესურსებზე გადასვლა იძლევა 30-დან 90-მდე მილიარდი აშშ დოლარის (პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე შემოსავლის (EBITDA) 3-დან 8%-მდე) გამომუშავების შესაძლებლობას 2030 წლისთვის.[1] ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიებს შეუძლიათ შეამცირონ შესყიდვების ხარჯები ტრადიციული მასალების განახლებადი ალტერნატივებით ჩანაცვლების გზით. ავეჯის ერთ-ერთი გლობალური კომპანია ნედლეულად იყენებს წარმოების შედეგად დარჩენილ პროდუქტს - ბრინჯის ჩალას, რაც ამცირებს ამ ბოჭკოს დაწვას, რაც სხვაგვარად ნარჩენად ჩაითვლებოდა და ამცირებს ჰაერის დაბინძურებას და წარმოების ხარჯებს.[2] მდგრადი მასალების გათვალისწინებით პროდუქციის დიზაინი ასევე შეიძლება გახდეს ინოვაციურიც, რაც ხელს უწყობს ზრდას: ცოტა ხნის წინ მცენარეული ხორცის ერთი კომპანია 4 მილიარდ დოლარად შეფასდა, რაც მიუთითებს ბაზარზე ალტერნატიული ცილებისადმი ინტერესის ზრდაზე.[3]

ბიზნეს გავლენა მდგრად შენატანებზე

გლობალური რესურსების ყოველწლიური მოხმარება მიემართება იქით, რომ 2050 წლისთვის სამჯერ გადააჭარბებს პლანეტის არსებული რესურსების რაოდენობას.[4] პროდუქტის დიზაინში ხშირად გამოყენებულია ერთჯერადი შეფუთვა: მსოფლიოში პლასტმასის 40% გამოიყენება ერთჯერად შეფუთვაში.[5] თუმცა, ამ ნიშნულის შესრულებისკენ მუშაობა იძლევა ცირკულარულ ეკონომიკაზე (CE) გადასვლის შესაძლებლობას, რაც სარგებელს მოუტანს მომხმარებლებს, ინვესტორებს და პლანეტას. Accenture-მა დაადგინა, რომ ცირკულარულმა ბიზნეს მოდელებმა შესაძლოა 2030 წლისთვის 4,5 ტრილიონი აშშ დოლარი გამოიმუშაონ.[6] ელენ მაკარტურის ფონდი (EMF) აერთიანებს ბიზნესის წარმომადგენლებს, ინოვატორებს, ქალაქებსა და მთავრობებს, უნივერსიტეტებსა და ლიდერებს ცირკულარული ეკონომიკის საკითხების ირგვლივ. იგი მოიცავს 130-ზე მეტ წევრ კომპანიას.

ყოველწლიურად ეკონომიკაში ჩართული 92,8 მილიარდი ტონა მინერალური ნივთიერებების, წიაღისეული საწვავის, ლითონისა და ბიომასის მხოლოდ **9%** გამოიყენება ხელმეორედ.[7]

საშუალოდ პროდუქტის გარემოზე ზემოქმედების **90%** წარმოიშობა მასალების მოპოვებისა და გადამუშავების პროცესში.[8]

ევროკავშირის ბიზნესებს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის გზით შეუძლიათ 2030 წლისთვის პირველადი რესურსების ხარჯებში **600** მლრდ ევროს დაზოგვა.[9]

კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ

IKEA

IKEA-ს მისიაა 2030 წლისთვის გახდეს 100%-ით ცირკულარული კომპანია და იღებს ვალდებულებას შეიმუშაოს ყველა პროდუქტის დიზაინი იმგვარად, რომ მხოლოდ განახლებადი ან გადამუშავებადი მასალების გამოყენებით დაამზადოს ისინი. კომპანიის მიზანია, 2020 წლის ბოლოსთვის ერთჯერადი პლასტმასის ხმარებიდან სრული ამოღება. [10]

SCHNEIDER ELECTRIC

SCHNEIDER ELECTRIC-მა დაისახა მიზანი, რომ ყველა ახალი პროდუქტი იყოს „ეკოლოგიურად სუფთა“: შექმნილი ისე, რომ მათი შეკეთება, მოდერნიზაცია და დემონტაჟი მათი სასიცოცხლო ციკლის ბოლომდე მოხდეს მარტივად. ისინი მომხმარებელს აწვდიან პროდუქტის შესახებ ინფორმაციას, რათა მომხმარებლებმა გაიგონ პროდუქტის ნახშირბადის ნაკვალევი (carbon footprint), რომელიც ასევე შეიცავს სასიცოცხლო ციკლის დასასრულის (end-of-life) ინსტრუქციასაც.[11]

MATTEL

MATTEL-ის მიზანია 2030 წლისთვის ჰქონდეს 100%-ით გადამუშავებული, გადამუშავებადი ან ბიოპლასტიკისგან წარმოებული პროდუქცია და შესაფუთი მასალები. ისინი თანამშრომლობენ ტყის სამეურვეო საბჭოსთან (Forest Stewardship Council) ქაღალდისა და ხის მასალების მოსაძიებლად; ამჟამად მათი პროდუქციისა და შეფუთვის 93% FSC სერტიფიცირებულია და 2020 წელს ისინი წარადგენენ პირველ 100%-ით მდგრადი წყაროდან დამზადებულ პროდუქტს, შაქრის ლერწმის პლასტმასისგან.[12]

ინდუსტრიის საილუსტრაციო გავლენა

ელექტრონიკა: მსოფლიოში 53,6 მლნ მეტრული ტონა ელექტრონული ნარჩენები წარმოიქმნება, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში 21%-იანი ზრდაა.[13] აღნიშნული საზიანოა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის: 50 ტონა ვერცხლისწყალი და 71 ტონა ბრომირებული ცეცხლგამძლე პლასტიკი (BFR) ყოველწლიურად გვხვდება მსოფლიოში ელექტრონული ნარჩენების არადოკუმენტირებულ ნაკადებში, რომლებიც გამოიყოფა გარემოში და ხვდება სამუშაო გარემოში. ამ ნიშნულის მიღწევის რამდენიმე გზაა ელექტრო-ინდუსტრიაში ნარჩენების შემცირება, მასალების მომარაგების დახურული ჯაჭვი და შემცირებული პირველადი მასალები.

საცალო ვაჭრობა და მოდა: ტანსაცმელში გამოყენებული მასალების 87% იგზავნება ნაგავსაყრელზე ან იწვის საბოლოო გამოყენების შემდეგ; ახალი ტანსაცმლის დასამზადებლად გადამუშავდება 1%-ზე ნაკლები.[14] ამჟამად ინდუსტრია უპირატესობას ანიჭებს მასალების შერევას და ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას, რაც ართულებს მასალის ღირებულების შენარჩუნებას. პროდუქტები, რომლებიც შექმნილია მდგრადი მასალებით, ისეთი ბოჭკოვანი მასალების გამოყენება, რომელსაც ახასიათებს გარემოზე უფრო დაბალი ზემოქმედება და ნახმარი ტანსაცმლის დაბრუნება, ის რამდენიმე გზაა, რომლითაც მოდის ბიზნესს შეუძლია ცირკულარული ეკონომიკის ინტეგრაცია თავის საქმიანობაში.

საყოფაცხოვრებო საქონელი: ერთჯერადი პლასტმასის შეფუთვაზე მსოფლიოში პლასტმასის ნარჩენების დაახლოებით ნახევარი მოდის.[15] შეფუთვა არის სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელი კომპანიების მიერ ცირკულარული ეკონომიკის შემოღების ერთ-ერთი მთავარი შესაძლებლობა; შეფუთვა უნდა იყოს აღდგენადი და გადამუშავებადი. ნახშირბადის ემისიის პროექტის (CDP) რესპონდენტთა 63%-მა განაცხადა, რომ ინვესტიცია ჩადო დახურულ ტექნოლოგიებში, როგორიცაა დეპოლიმერიზაცია, რომელსაც შეუძლია მზა ბოჭკოების დაშლა ნედლეულად გამოყენებისთვის.[16]

წინასწარი მოქმედებები

შეაფასეთ დიზაინის პროცესები: საჭიროა პროდუქტის დიზაინის მეთოდოლოგიის გადასინჯვა, მასალების ცირკულარული შეტანის შესაძლებლობის ინკორპორირებისათვის. მასალების სპეციფიკაცია შეიძლება ადაპტირდეს უფრო მდგრადი მიწოდებისთვის (input), არსებული და ახალი პროდუქტების კატეგორიისათვის.

სასიცოცხლო ციკლის შეფასება გარემოზე ზემოქმედების დასადგენად: შეაფასეთ სასიცოცხლო ციკლი, რათა განსაზღვროთ მასალების გარემოზე ზემოქმედება მთელი ციკლის განმავლობაში, კლიმატზე ზემოქმედების, გადამუშავების სიმარტივისა და მასალის აღდგენის პოტენციალის ჩათვლით. განსაზღვრეთ მასალების შეტანის პოტენციური ალტერნატივები, რომლებსაც არ გააჩნიათ ხელახლა გამოყენების და გადამუშავების პოტენციალი.

განსაზღვრეთ მოცულობა: შეაფასეთ თქვენი მიწოდების ჯაჭვი, რათა განსაზღვროთ, რამდენად გაქვთ შესაძლებლობა შექმნათ ნედლეულის დახურული ჯაჭვები პირველადი მასალის გადამუშავებისა და ხელახლა გამოყენებისთვის. შედეგად, მიღებული მასალები შეიძლება გაიყიდოს გარე პირებზე და ხელახლა ჩაერთოს არსებულ ბიზნესში.

ძირითადი რესურსები

- » **The Circular Economy Handbook**
- » **Ellen MacArthur Foundation**
- » **Platform for Accelerating the Circular Economy**
- » **World Resources Institute**
- » **Circular Design Guide**

ინტეგრირების სირთულე*

ინტეგრაციის გაგება

რესურსის გამოყენებიდან ეკონომიკური ზრდის გამოყოფით და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის მიზნით, კომპანიებმა პროდუქტის დიზაინს საფუძვლად მდგრადი განვითარება უნდა დაუდონ. უმრავლესობისთვის პროდუქტისა და შეფუთვის შემუშავებისას ცენტრალურ ფაქტორად რჩება პროდუქტიულობა და მომგებიანობა. თუმცა, ისეთ თემებზე, როგორიცაა ერთჯერადი პლასტმასის გამოყენება, მომხმარებლებისა და პოლიტიკის მხრიდან მზარდი ზეწოლის ფონზე და, იმის გამო, რომ სულ უფრო მეტი კომპანია აღიარებს ცირკულარული ბიზნეს მოდელების გამოყენების შესაძლებლობას, წარმოიშვა საჭიროება, დადგინდეს გავლენა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლზე, დაწყებული ნედლეულის მოპოვებიდან პროდუქტის საბოლოო მოხმარებამდე. იმის გამო, რომ ეს მოსაზრებები ინტეგრირებულია პროდუქტის დიზაინისა და მასალების მართვის სისტემებში, სიცოცხლის ციკლის შეფასების (LCA) მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ინსტრუმენტების გამოყენებით, ბიზნესს შეუძლია შექმნას პროდუქტებისა და შეფუთვის სახელმძღვანელო მითითებები, ხელი შეუწყოს ინოვაციებს და გავლენა მოახდინოს მომწოდებლებზე.

გზა ინტეგრაციისკენ

ტექნოლოგიური პარტნიორების ჩართვით, კომპანიებს შეუძლიათ შექმნან სისტემები, რომლებიც საარსებო მინიმუმს აქცევს იმ პროცესების ნაწილად, რაც საფუძვლად უდევს კორპორაციულ სახელფასო სტრუქტურებს. ამასთან, თქვენი მისწრაფება უნდა იყოს:

ცირკულარული პრინციპების ჩართვა პროდუქტის შეფასების პროცესში

ინსტრუმენტების ინტეგრაცია პროდუქტების ცირკულარობისა და მდგრადობის გასაგებად.

სახელმძღვანელო პრინციპებისა და მიზნების განსაზღვრა ინდივიდუალური პროდუქტებისა და მთელი პორტფელისთვის

მოპოვების სტრატეგიისა და რეკომენდაციების განახლება მასალებისთვის, რომლებიც გამოიყენება პროდუქციასა და შეფუთვაში.

მომწოდებლებისა და ნედლეულის შესახებ ინფორმაციის ხილვადობა

მომწოდებელთა შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდების შემუშავება მდგრადი მასალების მოპოვების პოლიტიკის შესაბამისობის დასადგენად.

აღმასრულებელი რგოლის (C-SUITE) კუთვნილება

დიზაინის აღმასრულებელი ოფიცერი

ინტეგრირების მაგალითები

პროდუქტის შეფასება

ბაზარზე არსებობს მრავალი გადაწყვეტილება ცირკულარული პროდუქტის დიზაინის მხარდასაჭერად, მათ შორის უფასო LCA პროგრამული უზრუნველყოფა.[17] პროდუქტების გადამუშავების შეფასება შეიძლება განსაკუთრებით რთული იყოს მახასიათებლების კომპლექსურობის გამო, მაგალითად, როგორიცაა, მასალების შენარევები. ძირითადი სისტემების შემუშავება პროდუქტის შეფასების რთული ინსტრუმენტების ინტეგრირების მიზნით, უზრუნველყოფს უფრო ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას მდგრადი პროდუქტის პორტფელისთვის. ელენ მაკარტურის ფონდის ცირკულარული ეკონომიკის ექსპერტებმა Granta Design-თან პარტნიორობით შეიმუშავეს Material Cycle Indicator (MCI) ინსტრუმენტი, რომელიც ზომავს რამდენად აღდგენადია პროდუქტის მასალის ნაკადები და შესაძლებელია თუ არა მათი დაჯგუფება პროდუქტის პორტფელისთვის და კომპანიის დონეზეც კი.[18]

მასალის შერჩევა

პირველად და არამდგრად ნედლეულზე უარის თქმა მოითხოვს ცირკულარული პრინციპების ინტეგრირებას შესყიდვებისა და მიმწოდებლების მართვის პროცესებში. Google აწყობს ინსტრუმენტს მოდის ბრენდის Stella McCartney-სა და World Wildlife Fund (WWF)-თან პარტნიორობით, რომელიც იყენებს მონაცემთა ანალიზს და Google Cloud-ზე მანქანურ სწავლებას, რათა ბრენდებმა უკეთ გაიცნონ თავიანთი მიწოდების ჯაჭვი, განსაკუთრებით ნედლეულის წარმოების დონეზე. Google-ის ციფრული ინსტრუმენტების მათი პარტნიორების შესაბამის ცოდნასთან და გამოცდილებასთან გაერთიანება ქმნის შესაძლებლობას, შეიქმნას ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვების გამჭვირვალობას. [19]

39%

კომპანიების 39% მიიჩნევს, რომ ისინი აკეთებენ ყველაფერს პროდუქტებისა და მომსახურების შესაქმნელად, რაც ხელს უწყობს SDG-ების მიღწევას.[20]

$2-3 მლრდ

მდგრადი საბოლოო გამოყენებისათვის OECD კომპანიებში შეფუთვის დიზაინში 2-3 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების შესაძლებლობაა საუკეთესო პრაქტიკების სახით.

SDG AMBITION-ის მიდგომა

ამბიციის გაზრდა

განსაზღვრეთ შესაბამისი ნიშნული პრიორიტეტების მიხედვით

ნიშნულის ამბიციის დონესთან შესაბამისი ახალი მიზანი

გზები

პროდუქტის შეფასება

ხელახალი გამოყენების და გადამუშავების ჩართვა დიზაინისა და მასალის შერჩევის პროცესებში

მოპოვება

გადამუშავებული და განახლებადი მასალებისა და ნედლეულის ჩართვა მასშტაბის შესაბამისად

მოქმედების მაგალითები

ჩაატარეთ პროდუქციის / მომსახურების შეფასება, სასიცოცხლო ციკლის ბოლოს გადარჩევის, გადამუშავებისა და აღდგენის უნარის გადამოწმების მიზნით

დანერგეთ პროდუქტის დიზაინის კრიტერიუმები, რომელიც მოითხოვს გადამუშავებას და განახლებადი მასალების გამოყენებას, პროდუქტების გამძლეობისა და გადამუშავების უნარის გათვალისწინებას

დანერგეთ შესყიდვების მოთხოვნები მიმწოდებელთა ბაზის გაფართოების მიზნით, მიმწოდებლის ახალი კრიტერიუმების შესაბამისად

გაზარდეთ ნარჩენების შეგროვება ღირებულების ჯაჭვის ფარგლებში პარტნიორებთან (მაგ. მწარმოებლებთან, საცალო მოვაჭრეებთან) თანამშრომლობით, გადამუშავებული მასალების შეგროვებისა და პროდუქტებად გადამუშავების ხელშესაწყობად

ქვემიზნები

ისეთი პროდუქციის რაოდენობის გაზრდა, რომელმაც მიაღწია 100%-იან მდგრად ან ცირკულარულ წარმოებას

მდგრადი მატერიალური შენატანების (inputs) ზრდა ხარჯებისა და მოცულობის მიხედვით

საზომი*

ფუნდამენტური: პროდუქციის წარმოების, და შეფუთვისთვის და მომსახურებისთვის გამოყენებული მასალები, განახლებადი და არა-განახლებადი მასალების მიხედვით (ტონა); ჯამური განახლებადი მასალები პროდუქტის მიხედვით

სასურველი: პროდუქტის გადამუშავების შეფასება; მოხმარების ვადის მქონე პროდუქტები (და წარმატების მაჩვენებელი); პროდუქტში შეტანილი არა-აღდგენადი მასალები; პროდუქტის საშუალო სიცოცხლე

ფუნდამენტური: ჩაბარებული პროდუქტებისა და მათი შესაფუთი მასალების პროცენტული მაჩვენებელი თითოეული პროდუქტის კატეგორიისთვის; გადამუშავებული ნედლეულის პროცენტი, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის ძირითადი პროდუქტებისა და მომსახურების წარმოებისათვის

სასურველი: გადამუშავებადი და განახლებადი მასალების მომწოდებელთა ბაზა

ბიზნეს პროცესი

მიწოდების ჯაჭვი და შესყიდვები	პროდუქტის დიზაინი	კვლევა და განვითარება	წარმოება და ოპერაციები

სისტემური შესაძლებლობები

პროდუქტებისა და წარმოების პროცესში მდგრადი მასალის გამოყენების შესაძლებლობების იდენტიფიცირება

პროდუქტის შეფასების ინსტრუმენტებს (მაგალითად, LCA) შეუძლიათ გააანალიზონ წარმოების პროცესის მონაცემები და გამოავლინონ შესაძლებლობები, რომლებშიც შესაძლებელია მდგრადი მასალების დანერგვა.

მასალების შესახებ მითითებების დანერგვა და შესაბამისობის უზრუნველყოფა

შესაძლებელია სისტემების გამოყენება მდგრადობის სახელმძღვანელო მითითებების სამართავად, რომლებიც შეეხება პროდუქტის დიზაინს და განვითარებას. სისტემებს უნდა შეეძლოთ აკონტროლონ ამ სახელმძღვანელო მითითებების დაცვა.

მიმწოდებელთა ქსელის ინტეგრაცია და თანამშრომლობა

ისეთი საიმედო მიმწოდებელთა ქსელის განვითარება, რომელიც განახლებადი ან გადამუშავებადი მასალების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა

მთავარი გადაწყვეტილებები (KDD)

KDD1

როგორ შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ მდგრად შენატანებს მასალის განსაზღვრისა და პროდუქტის დიზაინში?

შეიძლება სხვადასხვა საშუალების გამოყენება პროდუქციის კლასიფიცირებისთვის მდგრადი შენატანების მიხედვით, ასევე არსებული მასალების ცირკულარული ალტერნატივების დადგენისა და განხორციელებისთვის.

KDD2

როგორ შეიძლება PLM ინსტრუმენტების გამოყენება მდგრადი ინვესტიციების სახელმძღვანელო პრინციპების დადგენისა და შენარჩუნებისთვის?

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მართვის (PLM) საშუალებები ფართოდ გამოიყენება დიზაინისა და წარმოების პროცესში გადაწყვეტილების მისაღებად. ეს საშუალებები შეიძლება გამოიყენებოდეს არჩევანის განსაზღვრისთვის, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს მდგრად რესურსებს სხვა ფაქტორებთან ერთად, როგორიცაა ღირებულება და წარმოების დრო.

KDD3

როგორ შეიძლება მართოთ ხილვადობა მოპოვებული მასალისა და მიმწოდებლების მიმართ, რათა განსაზღვროთ და წაახალისოთ განახლებადი და გადამუშავებადი მასალა?

მდგრადი შესყიდვების სტრატეგიის მიმწოდებელთა მართვის სისტემასა და პროცესში გაერთიანებით შეგიძლიათ უზრუნველყოთ მასალების მიღება, რომლებიც ხელახლა გამოყენებადი და გადამუშავებადია, ასევე მიმწოდებლების ისეთი პროდუქტის შერჩევა, რომლებიც გადამუშავებული მასალისგან დამზადდა.

ბიზნესში ინტეგრაცია

* აქ მოცემული ყველა ძირითადი ინდიკატორი (KPI) და საზომი მითითებითია და გამომდინარეობს არსებული ანგარიშგების სტანდარტებიდან. ყველა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს მიზნის შესამუშავებელი მექანიზმები საკუთარი ანგარიშგების მეთოდოლოგიის და ბიზნეს კონტექსტის შესაბამისად.

ბიზნეს სისტემების დიზაინი

როგორ შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ მდგრად შენატანებს მასალის განსაზღვრისა და პროდუქტის დიზაინში?

KDD1

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

მიწოდების ჯაჭვიდან მდგრადი შენატანის უზრუნველყოფის რამდენიმე მეთოდია ცნობილი. LCA-ები, მომარაგების რისკის ანალიზი და პროდუქტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება არის პროცესები, რომლებიც იყენებენ საბაზისო მონაცემებს პროდუქტის მასალების გაგებისა და შერჩევის, ასევე პროდუქტის დიზაინის დაგეგმვისთვის.

კომპანიებს შეუძლიათ დაიწყონ იმის შეფასებით, თუ რამდენად იძლევა მათი ამჟამინდელი მასალების განსაზღვრა და პროდუქტის დიზაინის პროცესები მდგრადი რესურსების ინტეგრირების საშუალებას, შემდეგ კი აღნიშნული შენატანები გახადონ ხილვადი ტრადიციულ ალტერნატივებთან ერთად.

როგორ შეიძლება PLM ინსტრუმენტების გამოყენება მდგრადი ინვესტიციების სახელმძღვანელო პრინციპების დადგენისა და შენარჩუნებისთვის?

KDD2

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

პროდუქტის სახელმძღვანელო მითითებები მრავალი მდგრადი შენატანისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების საფუძველია. პროდუქტის დიზაინსა და განვითარებაში მდგრადი შენატანების დანერგვით კომპანიებს შეუძლიათ განსაზღვრონ ალტერნატიულ მასალებზე გადასვლის შესაძლებლობები. სისტემები, რომლებიც გამოიყენება ამ კრიტერიუმების სამართავად, ამ მიდგომისთვის საკვანძოა და იძლევა საშუალებას, მონიტორინგი გაეწიოს ახალი მდგრადი სახელმძღვანელო პრინციპების დაცვას.

როგორც პირველი ნაბიჯი, შეაფასეთ თქვენი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მენეჯმენტი (PLM), გამოიყენეთ ინსტრუმენტები, რათა ნახოთ, რამდენად შეიძლება ჩართულობის კრიტერიუმების დამატება, საშუალო მიზნის - მდგრადი საშუალებების შეტანის, - მისაღწევად, სხვა ისეთ ფაქტორებთან ერთად, როგორიცაა ღირებულება და დრო.

როგორ შეიძლება მართოთ ხილვადობა მოპოვებული მასალისა და მიმწოდებლების მიმართ, რათა განსაზღვროთ და წაახალისოთ განახლებადი და რეციკლირებული მასალა?

KDD3

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

მდგრადი წყაროების სტრატეგიის განსახორციელებლად კომპანიებმა ხელი უნდა შეუწყონ მათი მომწოდებლებისა და მათ მიერ შეძენილი მასალების შესახებ უფრო მეტად ინფორმირებულობას. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია მასალების წარმოშობის, მდგრადობის სერტიფიკატების, აგრეთვე ცირკულარობის სერტიფიკატების, გადამუშავების და განახლებადობის შესახებ, გადამოწმების მიზნით.

ციფრული ტექნოლოგიები ქმნის ახალ შესაძლებლობებს მასალების კონტროლისთვის რთულ მიწოდების ჯაჭვებში. მაგალითად, ბლოკჩეინის საშუალებით წარმოებული საბუღალტრო ბაზა უზრუნველყოფს მასალების მართვის ჯაჭვს, მატერიალური ატრიბუტების საიმედო გადამოწმების გზით. SAP-ის GreenToken არის მიწოდების ჯაჭვის გადაწყვეტა, რომელიც კომპანიებს სთავაზობს მათი ახალი ნედლეულისთვის მიწოდების ჯაჭვის გამჭვირვალობის ახალ დონეს. ბლოკჩეინზე მომუშავე ღრუბლოვან პლატფორმას შეუძლია აკონტროლოს პლასტმასის ნარჩენების წარმოშობა და გადამუშავებული პლასტმასის პროცენტული წილი ახალი რგოლის პოლიმერებში, ასევე სოფლის მეურნეობის მასალის მართვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს წყაროდან მომხმარებლამდე.

[1] The Circular Economy Handbook, Accenture, 2020

[2] Clean air is good for business, World Economic Foundation, 2019

[3] Bloomberg

[4] With resource use expected to double by 2050, better natural resource use essential for pollution-free planet, UN Environment Programme, 2017

[5] "The world's plastic crisis explained," National Geographic, 2019

[6] The Circular Economy Handbook, Accenture, 2020

[7] The Circularity Gap Report 2019, European Union

[8] Environmental benefit, Terracycle

[9] Circular Economy: Closing the loop, European Commission

[10] IKEA, 2020

[11] Schneider Electric wins global award for contribution to the circular economy, PRNewswire, 2019

[12] Mattel announces goal to achieve 100 per cent recycled, recyclable or bio-based plastic materials in all products and packaging by 2030, Businesswire, 2019

[13] UN Global E-Waste Monitor

[14] Make fashion circular, Ellen MacArthur Foundation

[15] Single-use plastics: A roadmap to sustainability, UN Environment, 2018

[16] Fast moving consumers, CDP, 2019

[17] The open source Life cycle and assessment software, openLCA

[18] Material circularity indicator, Ellen Macarthur Foundation

[19] WWF and Google Partner on Fashion Sustainability Platform, Google, 2020

[20] UNGC 2019 Progress Report

United Nations Global Compact 20 years

In partnership with: accenture SAP 3M

ნიშნული (BENCHMARK)

სახიფათო დამაბინძურებლების და ქიმიური ნივთიერებების ნულოვანი გადინება

SDG გავლენა 3, 6, 9, 11, 13, 14, 15, 17

ვადა 2030

სფერო ■ ოპერაციები ☐ პროდუქტი და მომსახურება ■ ღირებულებათა ჯაჭვი

ინფორმაცია ნიშნულზე (BENCHMARK)

ეს ნიშნული მიზნად ისახავს აღმოფხვრას სახიფათო ინდუსტრიული დაბინძურება, მათ შორის, ქიმიური ნივთიერებებით, მასალებით და ჩამდინარე წყლებით. ნიშნული ასევე ფარავს დამაბინძურებლებს, რომლებიც იფრქვევა ჰაერში (როგორიცაა მტვრის მყარი ნაწილაკები), ჩაედინება წყალში (როგორიცაა ჩამდინარე წყლებით ან სასუქებით დაბინძურებული მიწისქვეშა წყლები) და ნიადაგში (როგორიცაა მოპოვებითი ინდუსტრიის სახიფათო თანმდევი პროდუქტები). გლობალურად დაბინძურებას შორს მიმავალი უარყოფითი შედეგები აქვს: მაგალითად, ატმოსფერული და საყოფაცხოვრებო ჰაერის დაბინძურება ყოველწლიურად შვიდი მილიონი ადამიანის სიკვდილს იწვევს,[1] სოფლის მეურნეობის შედეგად სასუქების და პესტიციდების ჩამონადენი აბინძურებს წყლის კალაპოტებს,[2] ხოლო ინდუსტრიული საქმიანობა იწვევს ნიადაგის დეგრადირებას, ამცირებს ნარგავების მეტაბოლურ მოქმედებას და სასოფლო-სამეურნეო მოსავალს.[3] ამ ნიშნულის სფერო მოიცავს ინდუსტრიულ დაბინძურებას, რაც უშუალო ოპერაციებით და მთლიანი მიწოდების ჯაჭვში წარმოიქმნება. ნიშნულის ვადა განსაზღვრულია მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესაბამისად, 2030 წლამდე.

ბიზნეს გავლენა სახიფათო დამაბინძურებლებზე

ამ ნიშნულის მიმართ ვალდებულების აღება 2030 წლის დღის წესრიგს მთლიანად უკავშირდება, განსაკუთრებით კი SDG 12-ს, „მდგრადი მოხმარება და წარმოება". „საგზაო რუკა ნულისკენ" (RoadMap to Zero) წარმოადგენს ფორუმს, რომელიც ინდუსტრიებთან ერთად მუშაობს, რათა დაეხმაროს მათ ქიმიური კვალის შემცირებაში. მათ 70 მონაწილე ჰყავთ, მათ შორის 23 ხელისმომწერი ბრენდი, 33 ღირებულების ჯაჭვში ჩართული მხარე და 14 ასოცირებული წევრი.

გლობალური ეკონომიკიდან
$225 მილიარდის წლიური ხარჯები იკარგება შრომის შემოსავალში, რომელიც ჰაერის დაბინძურებას შეიძლება უკავშირდებოდეს.[6]

მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების
59% გამოიყენება ინდუსტრიული პროცესისთვის, ხოლო დაბალი შემოსავლების ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 8%-ია.[7]

გლობალური ჩამდინარე წყლების
80% არ იწმინდება. [8]

შეფასება ნიშნულთან მიმართებით

ნიშნულის - სახიფათო დამაბინძურებლების და ქიმიური ნივთიერებების ნულოვანი გადინება - შესრულება შეიძლება შეფასდეს გაეროს ორგანოების, როგორიცაა გაეროს გარემოს დაცვითი პროგრამის (UNEP) გლობალური გარემოსდაცვითი ხედვის (Global Environment Outlook)[4] და გლობალური მოქმედების პროგრამის ინიციატივების, მათ შორის, საზღვაო გარემოს მიწიდან მომავალი დაბინძურებისგან დაცვის პროგრამის,[5] შესაბამისად. ბიზნესებს, რომელთაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ამოცანები, ჰაერში, წყალში და ნიადაგში ჩამდინარე დამაბინძურებლების აღმოსაფხვრელი გზების შესაქმნელად, 2030 წლისთვის SDG Ambition-ის ნიშნულს ვერ მიაღწევენ.

ინდუსტრიის საილუსტრაციო გავლენა

ქიმიური ნივთიერებები: მოსალოდნელია, რომ ქიმიური ნივთიერებების წარმოების რესურსი 2030 წლისთვის 4.6 მილიარდ ტონამდე გაიზრდება.[9] ქიმიური წარმოების ბიზნესები წარმოქმნიან ნარჩენებს, რომელთაც გარემოზე მავნე გავლენა შეიძლება ჰქონდეთ, ასეთია პროცესის ნარჩენები, გამოყენებული კატალიზატორები ან გამხსნელები, ჩამდინარე წყლების გამწმენდი შლამი და დაბინძურებული ქიმიური კონტეინერები. ბიზნესებს შეუძლიათ ინვესტირება გააკეთონ დაბინძურების საწინააღმდეგო კვლევებსა და განვითარებაში, მართონ ნარჩენები ნულოვანი გადინების პროცესებით და გამოიყენონ ინოვაციები ქიმიური წარმოების პროცესის თანმდევი პროდუქტის შემცირების ან სხვა მიზნით გამოსაყენებლად.

ტექსტილი/აპარატურა: ტექსტილის საწარმოები წყლის გლობალური დაბინძურების 20%-ზეა პასუხისმგებელი და წარმოების პროცესში იყენებს 20,000 ქიმიურ ნივთიერებას.[10] საღებავის გადინების შემცირება, მოხმარებული წყლის ხელახლა გამოყენება და არა-ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების შერჩევა რამდენიმე მეთოდია, რომლითაც ინდუსტრიას შეუძლია გლობალურ დაბინძურებაში საკუთარი წვლილი შეამციროს.

კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ

FAST RETAILING

Fast Retailing იღებს ვალდებულებას, საკუთარ მიწოდების ჯაჭვში და პროდუქტის სიცოცხლის მანძილზე სახიფათო ქიმიური ნივთიერებების გადინება ნულამდე დაიყვანოს. იგი მუშაობს სხვა ბრენდებთან და კომპანიებთან აპარატურის სექტორში, მასალის მიმწოდებლებთან, ფართო ქიმიურ ინდუსტრიასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და სხვა მხარეებთან ამ მიზნის მისაღწევად.[11]

LEVI STRAUSS & CO

Levi Strauss & Co-ის შემოწმებული ქიმიის (Screened Chemistry) ინიციატივის ფარგლებში ვალდებულება აქვს აღებული, ყველა პროდუქტსა და მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული სახიფათო ქიმიური ნივთიერებების გადინება 2020 წლისთვის ნულოვანი იყოს. 2019 წელს მათ განაცხადეს, რომ ეკო პასპორტით სერტიფიცირებული გახდებიან, რასაც მესამე პირი, OKO-TEX უზრუნველყოფს.[12]

ADIDAS

Adidas-ი მიზნად ისახავს სახიფათო ქიმიური ნივთიერებების ნულოვან გადინებას (ZDHC) 2020 წლისთვის მიაღწიოს მთელს მიწოდების ჯაჭვში, რისთვისაც მართავს ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას საწყისიდან დასრულების წერტილამდე მიდგომით (end-to-end-approach), აკვირდება მიმწოდებელთა პროგრესს და აკონტროლებს დასრულებულ შექმნილ პროდუქტს.[13]

ღირებულება ბიზნესისთვის

კომპანიებს შეუძლიათ შეამცირონ საკუთარი ხარჯები ქარხნებსა და აპარატურაზე დამაბინძურებლების კონტროლის მექანიზმების პროაქტიულად დაყენებით; ერთ-ერთმა კვლევამ დაადგინა, რომ ბურღულეულის მწარმოებლებს შეეძლოთ 12 მილიონი აშშ დოლარის დაზოგვა სასუქების ჩადინების შემცირებით.[14] კომპანიები, რომელთაც უკეთესი დაბინძურების კონტროლის მაჩვენებლები აქვთ, ადგილობრივ ჯგუფებთან და სახელმწიფო გარემოს დაცვით უწყებებთან კონფლიქტში ნაკლებად შევლენ, რაც ამცირებს ჯარიმების და სანქციების რისკებს. მაგალითად, ევროკავშირში მოქმედი ავტომობილების მწარმოებლები მილიარდობით დოლარის ოდენობის ჯარიმების გადახდის წინაშე იქნებიან, თუ 2020 წელს შემოღებულ, ახალ, გაფრქვევების სტანდარტებს არ დააკმაყოფილებენ.[15]

წინასწარი მოქმედებები

განსაზღვრეთ დამაბინძურებლების წყაროები: განსაზღვრეთ სახიფათო გადინების წყაროები მთელს მიწოდების ჯაჭვში და შეაფასეთ მათი გავლენა წყალზე, ნიადაგზე და საცხოვრებელ გარემოზე.

განსაზღვრეთ და კლასიფიცირება გაუკეთეთ ქიმიურ ნივთიერებებს და ჩაატარეთ პროცესის აუდიტი: წინასწარ განსაზღვრეთ გამოყენებული ქიმიური ყველა ნივთიერება, მათი ოდენობა და გადინება და გაუკეთეთ ამ ნივთიერებებს კლასიფიცირება ადგილობრივი სახელმწიფო გაიდლაინების ან სხვა სტანდარტების მიხედვით, მაგალითად, Greenpeace-ის მიერ იდენტიფიცირებული სახიფათო ქიმიური ნივთიერებების 11 კლასის მიხედვით. კომპანიებს შეუძლიათ აუდიტის პროტოკოლი სტანდარტიზების პროცესს დაუახლოვონ და არსებული სტანდარტები და მონაცემები სათანადო ნიშნულებს შეუსაბამონ.

ძირითადი რესურსები

- **» UN Environment Programme**
- **» Environmental Defense Fund**
- **» Natural Resources Defense Council**
- **» FAO Global Symposium on Soil Pollution**
- **» European Environment Agency**
- **» Roadmap to Zero**

ინტეგრირების სირთულე*

ინტეგრაციის გაგება

ნულოვანი გადინების მისაღწევად პროგრესისთვის, კომპანიებს უნდა ესმოდეთ რა ქიმიური ნივთიერებებს იყენებენ პროდუქტებში და წარმოების პროცესში და რა გავლენა აქვს მათ გადინებას. ახალ სისტემებს და ტექნოლოგიებს შეუძლია სახიფათო ნარჩენების ამოცნობასა და მართვაში ხელშეწყობა მთელს ორგანიზაციაში, როგორიცაა პროდუქციის დიზაინის ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სახიფათო ქიმიური ნივთიერებების ნულოვანი გადინების (ZDHC) პრინციპებს სახიფათო ნარჩენის აღმოფხვრისთვის. გარდა ამისა, მომსახურების პლატფორმები, რომლებიც არჩევენ მყიდველებს და განსაზღვრავენ უსაფრთხო გაწმენდის და გადაყრის ტექნიკებს, დამატებით ეხმარება ბიზნესებს სახიფათო ნარჩენების ნაკადების მონიტორინგის და მართვის პროცესის დანერგვაში.

ინტეგრირების მაგალითები

პროდუქტის დიზაინი

პროდუქტის პორტფელის შეფასება, რათა გაიაზროთ სახიფათო ქიმიური ნივთიერებების წყარო და მათი გავლენა დაგეხმარებათ მიზანმიმართული მოქმედებების სტრატეგიის განსაზღვრაში. GreenScreen არის პლატფორმა, რომელსაც იყენებენ ბიზნესები საკუთარი ქიმიური ბალანსის მონიტორინგისა და ქიმიური ნივთიერებების, მასალების და პროდუქციის სახიფათო მახასიათებლების შესადარებლად.[16] Apple-მა ქიმიური ნივთიერებების ნულოვანი გადინება ძირითად საქმიანობაში გააერთიანა, რისთვისაც GreenScreen ინსტრუმენტის გამოყენებით განსაზღვრა ქიმიური ნივთიერებები, შეზღუდა მათი გამოყენება რეგულირებული ნივთიერებების სპეციფიკაციის სიით და გარემოს შემოწმების ლაბორატორიაში (Environmental Testing Lab) პროდუქციის ალტერნატივების ინოვაცია წამოიწყო.[17]

გადინების გამჭვირვალობა და წმენდა

ორგანიზაციაში მოქმედი ციფრული სისტემები, რომლებიც აკვირდებიან სახიფათო ნარჩენებს, როგორიცაა, ლაბორატორიული საინფორმაციო მართვის სისტემა (LIMS) და წმენდის, დასაწყობების და გადაყრის ობიექტების (TSDF) შემძენთა განსაზღვრა, ეხმარება ბიზნესებს ქიმიური ნარჩენის წყაროს დადგენაში ან შესაბამისი გაწმენდითი ტექნოლოგიის შერჩევაში, რათა სახიფათო ნივთიერებების გადინება აიცილონ თავიდან ისეთი სისტემების დანერგვით, რომელიც განსაზღვრავს TSDF-ის ტრანზაქციებს, მაგალითად, ინვოისებს, იძლევა ყველაზე დეტალურ (გრანულარულ) დეტალებს გადინებული ნივთიერებების შესახებ. გარდა ამისა, სახიფათო ნივთიერებების ჯამური გადინების კატეგორიზება პროდუქტის, რეგიონის და საბოლოო განთავსების ლოკაციის მიხედვით, ხელს უწყობს ეფექტიანი ჩარევების და კონტროლის მექანიზმების განხორციელებას.

აღმასრულებელი რგოლის (C-SUITE) კუთვნილება

ოპერაციების მთავარი ოფიცერი

გზა ინტეგრაციისკენ

კომპანიებმა უნდა შეაფასონ საკუთარი მდგომარეობა არსებული ქიმიური ნივთიერებების და დამაბინძურებლების გააზრების შესახებ. აქედან, მათ უკვე შეუძლიათ ტექნოლოგიური პარტნიორების ჩართვით, განსაზღვრონ სისტემები, რათა მიაღწიონ შესაბამის შედეგებს:

პროდუქტში გამოყენებადი ქიმიური ნივთიერებების სრული სია და მათი გარემოზე ზემოქმედება

ქიმიური ნივთიერებების განსაზღვრა, რომლებიც გამოიყენება პროდუქტის პორტფელის მთელს ციკლში, ისევე, როგორც ნარჩენების ნაკადების შეფასება, რათა შეირჩეს მოქმედების არეალი.

გადინების და დაკავშირებული ხარჯების გაზრდილი ხილვადობა

მთელს ორგანიზაციაში მონაცემების ჩამოყალიბება, მათ შორის, TSDF-თან დაკავშირებული ინვოისებით, სახიფათო ნარჩენების გადინების გამიჯვნა პროდუქტის, რეგიონის და საბოლოო განთავსების მიხედვით ერთ მონაცემთა ბაზაში.

სახიფათო ნარჩენების ნაკადის ოპტიმიზებული მართვა

ციფრულ გადაწყვეტებს შეუძლიათ სახიფათო ქიმიური ნივთიერებების კონტროლისა და გაწმენდისთვის საჭირო ადგილების, პროცესების და აპარატურის განსაზღვრაში დახმარება.

47

მსოფლიოს გარშემო სახიფათო ქიმიური ნივთიერებების ნულოვანი გადინების (ZDHC) მიერ წარმოებისთვის შეზღუდული ნივთიერებების სიის (MRSL) შესაბამისობის ინდიკატორების მიხედვით დადასტურებული 47 სერტიფიცირების სტანდარტი და ტესტირების ლაბორატორიაა.[18]

SDG AMBITION-ის მიდგომა

ამბიციის გაზრდა

განსაზღვრეთ შესაბამისი ნიშნული პრიორიტეტების მიხედვით

ნიშნულის ამბიციის დონესთან შესაბამისი ახალი მიზანი

გზები

შემცირება

შეამცირეთ ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში წარმოებული იმ ნარჩენების და დამაბინძურებლების მოცულობა, რომლებიც გარშემო წყლის სათავეებში შეიძლება ჩაედინოს

პრევენცია

უზრუნველყავით დამაბინძურებლებისგან წმენდა და რეციკლირება, რათა თავიდან აიცილოთ გაჟონვა და გარემოს დაზიანება

მოქმედების მაგალითები

- შეაფასეთ ქიმიური ნივთიერებების გამოყენება (input) მთელს ოპერაციებში
- განსაზღვრეთ ოპერაციებსა და პროდუქტის კატეგორიებში გაჟონვის რისკები
- დანერგეთ შემცირებისაკენ მიმართული სტრატეგია, მაღალი რისკის, მაღალი მოცულობის დამაბინძურებლების უსაფრთხო ალტერნატივებით ჩანაცვლების შესახებ

- დანერგეთ ჩარევების და კონტროლის მექანიზმები მავნე დამაბინძურებლების გაჟონვის თავიდან ასაცილებლად (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ჩადინების გამოჭერა; ჩამდინარე წყლების რეციკლირება)

ქვემიზნები

პროდუქციასა და ოპერაციებში სახიფათო ქიმიური ნივთიერებების შემცირება (მ.შ. სხვა დამაბინძურებლები)

წყლის გაწმენდის მაჩვენებლის ზრდა

სიზუსტე*

ფუნდამენტური: ქიმიური შენატანები - მოცულობის და რისკის ფაქტორი პროდუქციის/სერვისის კატეგორიის მიხედვით, შესაბამისი შემცირების გეგმებით

სასურველი: განსაზღვრული რისკების ჯამური მაჩვენებელი ტრანზაქციის დასრულებამდე

ფუნდამენტური: სახიფათო ქიმიური ნარჩენების ჯამური გადინება ლოკაციის ტიპის მიხედვით; ჩამდინარე წყლის წმენდა და პრიორიტეტული სახიფათო ნივთიერებები

სასურველი: გადინებიდან მიღებული მასალა; გარემოში მავნებლის გადინება და გაჟონვა; ჩამდინარე წყალი და მასალა, რომელიც ნარჩენის ნაკადისგან წარმოიშვა

ბიზნეს პროცესი

სახიფათო ქიმიური ნივთიერებების მართვა	პროდუქტის შესაბამისობა	გარემოსდაცვითი მართვა	ნარჩენების მართვა

სისტემური შესაძლებლობები

პროდუქტში და წარმოების პროცესში დამაბინძურებლების მთავარი წყაროს განსაზღვრა

პროდუქტის კატეგორიის ჩამოყალიბება გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების ან დამაბინძურებელი თანმდევი პროდუქტების მიხედვით შეიძლება ჩაშენდეს ინოვაციურ პროცესში, რათა ალტერნატიული მასალების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება შესაბამის ინფორმაციას ეყრდნობოდეს

სერვისის მიმწოდებლის ინტეგრირება გადინების გამჭვირვალობაში

ისეთი სისტემების დანერგვა, რომელიც განსაზღვრავს გაწმენდის, დასაწყობების და განთავსების ობიექტების მყიდველების ტრანზაქციებს, როგორიცაა ინვოისები, იძლევა გრანულარულ მონაცემებს გადინებული ნივთიერებების შესახებ.

IOT ადრეული შეტყობინების და გაჟონვის აღმოსაჩენად

საზომების და სენსორების გამოყენებას შეუძლია ადრეული შეტყობინება დამაბინძურებლების და სახიფათო მასალების გარემოში პოტენციურ გაჟონვებსა ან გადინებებზე.

მთავარი გადაწყვეტები (KDD)

KDD1

როგორ შეიძლება გააერთიანოთ ქიმიური ან დამაბინძურებელი ნივთიერებების შეფასება პროდუქციის დიზაინისა და წარმოების პროცესში უარყოფითი გავლენის აღმოსაფხვრელად?

მასალის შესახებ მონაცემები უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ჩართული პროდუქციის ან წარმოების დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა ხელი შეეწყოს ინოვაციას, რომელიც სახიფათო ქიმიურ ნივთიერებებსა და დამაბინძურებლებზე იქნება ფოკუსირებული.

KDD2

როგორ შეგიძლიათ უზრუნველყოთ და ავტომატიზება გაუკეთოთ მონაცემთა დინებას გამწმენდი მომსახურების მიმწოდებლებისგან, არსებული მდგომარეობის უკეთ გაგებისათვის?

გამოიყენეთ მანქანური სწავლება იმისათვის, რომ მესამე პირებისგან, რომლებიც თქვენს სახიფათო ნარჩენებს მართავენ, ავტომატურად მოაგროვოთ მონაცემები და უზრუნველყოთ იმისათვის, რომ ნარჩენების ნაკადებში ქიმიურ ნივთიერებებსა და დამაბინძურებლებზე გაქვთ ხელმისაწვდომი და განახლებული მონაცემები.

KDD3

როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ ჭკვიანი ტექნოლოგიები გადინების თავიდან აცილების ავტომატიზებისათვის?

საზომები და სენსორები შეიძლება იყოს გამოყენებული მდგომარეობის მონიტორინგისთვის და ანომალიების აღმოსაჩენად, ისეთ ადგილებშიც კი, სადაც ოპერაციები მოშორებითაა. ეს მექანიზმები საშუალებას იძლევა, გაჟონვა სწრაფად იყოს აღმოჩენილი, რაც თუ დაწყვილებული იქნება სხვა ტექნოლოგიასთან (მაგ. დისტანციური საოპერაციო სარქველებთან), შეიძლება გამოიყოს და გაჩერდეს ისე, რომ ადამიანის ფიზიკურად ადგილზე ყოფნა არ იყოს საჭირო.

ბიზნესში ინტეგრაცია

* აქ მოცემული ყველა ძირითადი ინდიკატორი (KPI) და საზომი მითითებითია და გამომდინარეობს არსებული ანგარიშგების სტანდარტებიდან. ყველა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს მიზნის შესამუშავებელი მექანიზმები საკუთარი ანგარიშგების მეთოდოლოგიის და ბიზნეს კონტექსტის შესაბამისად.

ბიზნეს სისტემების დიზაინი

როგორ შეიძლება გააერთიანოთ ქიმიური ან დამაბინძურებელი ნივთიერებების შეფასება პროდუქციის დიზაინისა და წარმოების პროცესში უარყოფითი გავლენის აღმოსაფხვრელად?

KDD1

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

რაც უფრო იხვეწება და ძვირდება გარემოს დაბინძურების კონტროლის ტექნოლოგია, მით უფრო მზარდია ინტერესი პროდუქტის დიზაინსა და წარმოების პროცესისადმი, რომელიც თავშივე აღმოფხვრის სახიფათო ნარჩენს. არსებული დამაბინძურებლების შეფასება კომპანიებს საშუალებას აძლევს შეაფასოს პოტენციური საფრთხეები, რაც იძლევა ინფორმაციას ნარჩენების ზუსტი განსაზღვრისათვის და მართვის, მინიმიზაციის და გადაყრის შესაბამისი სტრატეგიების განხილვისთვის.

ქიმიური და პოტენციურად ტოქსიკური შენატანების (input) სიღრმისეული კვლევა საქმიანობის ყველა მიმართულებით საბაზისო ნაბიჯია, რომელიც საშუალებას მისცემს ბიზნესს, გაიაზროს რამხელაა დაბინძურების რისკი.

როგორ შეგიძლიათ ავტომატიზება გაუკეთოთ მონაცემთა დინებას გამწმენდი მომსახურების მიმწოდებლებისგან, არსებული მდგომარეობის უკეთ გაგებისათვის?

KDD2

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

კომპანიებს, რომლებიც იყენებენ ნარჩენების მართვის მიმწოდებელ ორგანიზაციებს სახიფათო ნარჩენების გასაწმენდად, შეუძლიათ მიიღონ ქიმიურ და დამაბინძურებელ ნივთიერებებზე სიღრმისეული ხედვა, ამ მიმწოდებლების საქმიანობის ცენტრალურ სისტემებში ინტეგრირებით.

ასეთი მიმწოდებლებისგან მონაცემთა ნაკადების ავტომატიზებით კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმირებული ხედვა არა მხოლოდ არსებული ქიმიური და დამაბინძურებელი ნივთიერებების შესახებ, არამედ ასევე გაწმენდის ხარჯებზე, მათ შორის, დასაწყობების ან/და გადაყრის ხარჯებზე. წმენდის სრული ხარჯის გააზრებით შესაძლებელია დავინახოთ ბიზნესის სარგებელი ალტერნატიული მასალების გამოყენებისთვის ან ადგილზე გაწმენდის მექანიზმებზე გადასვლისთვის. გარდა ამისა, მონაცემების მიმოცვლის ხელშეწყობით ანალიტიკურ ანგარიშგებაზე ინფორმაციის ხელით შეყვანის საჭიროებაც მცირდება.

როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ ჭკვიანი ტექნოლოგიები გადინების თავიდან აცილების ავტომატიზებისათვის?

KDD3

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

დამაბინძურებლების გამოყენების შესახებ შიდა მონაცემების დაწყვილება ტექნოლოგიურ პროდუქტებთან, როგორიცაა გაჟონვისგან დაცვის სისტემები, კომპანიებს საშუალებას მისცემს განსაზღვრონ გადინების შემთხვევები მაღალი სიზუსტით და გადადგან დაუყოვნებელი ნაბიჯები ზიანის შემსუბუქებისათვის.

თუ ასეთი ტექნოლოგიები ხელმიუწვდომელია ან ხარჯებთან შეუსაბამოა, ზოგადად მოგროვებული მონაცემები, როგორიცაა წყლის ხარიხის სინჯების აღების დრო ან ხელით წნევის შემოწმება, შეიძლება იყოს გამოყენებული ანომალიების განსაზღვრისათვის. რისკების შეფასება შეიძლება გამოყენებული იყოს გაფრქვევის ან გადინების შესაძლო შემთხვევების შესაფასებლად და მაღალი რისკის ადგილებში საზომი ხელსაწყოების ან სენსორების დაყენების სტრატეგიის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

[1] Air pollution, World Health Organisation

[2] Water pollution: everything you need to know, NRDC, 2018

[3] Soil Pollution: A Hidden Reality, UN Food and Agriculture Organisation (UN FAO), 2018

[4] Global Environment Outlook 6, UN Environment Programme

[5] Governing the global programme of action, UN Environment Programme

[6] Air pollution deaths cost global economy US$225 billion, The World Bank, 2016

[7] Industrial water, Centers for Disease Control and Prevention

[8] Water quality and wastewater, UN Water

[9] Global Chemicals Outlook II, UN Envirnment Programme, 2019

[10] Encourage textile manufacturers to reduce pollution, NRDC

[11] Fast Retailing Greenpeace Detox Solution Commitment, Fast Retailing

[12] Levi-Strauss & Co. and Hohenstein collaborate to bring safer chemicals to the apparel industry using ECO PASSPORT by OEKO-TEX, Levi Strauss & Co., 2019

[13] Adidas Annual Report 2019

[14] Champions of Breakfast, Union of Concerned Scientists, 2019

[15] "Europe's Tough Emissions Rules Come with $39 billion Threat," Bloomberg, 2019

[16] Use of GreenScreen in Corporate Chemicals Management, GreenScreen

[17] A planet-sized plan, Apple

[18] ZDHC Impact Report 2019

ნიშნული (BENCHMARK)

ნულოვანი ნარჩენი ნაგავსაყრელზე და ინსინერაციის პროცესში

SDG გავლენა 6, 9, 11, 13, 14, 15

ვადა 2030

სფერო ■ ოპერაციები ☐ პროდუქტი და მომსახურება ☐ ღირებულებათა ჯაჭვი

ინფორმაცია ნიშნულზე (BENCHMARK)

ნულოვანი ნარჩენების ნიშნული ეხმარება ორგანიზაციებს შეაფასონ და ოპტიმიზება გაუკეთონ მასალების ნაკადებს და ამოიღონ ყველა მყარი ნარჩენი ოპერაციებიდან. მართალია, ეს ნიშნული უმეტესად წარმოების კონტექსტშია ყველაზე მნიშვნელოვანი, სადაც მასალების გამოყენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, თუმცა იგი თანაბრად მიემართება ყველა ბიზნესს, რომელთაც აქვთ ფიზიკური ობიექტები და ოპერაციები. შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტოს (EPA) პროგნოზის თანახმად, ნაგავსაყრელებზე განსათავსებელი ნარჩენები 2025 წლისთვის 2.2 მილიარდ ტონას მიაღწევს.[1] მყარი ნარჩენების მოცულობა ცხადყოფს, რომ ბიზნესებმა სისტემატურად უნდა აირიდონ თავიდან ნარჩენების წარმოქმნა და გარემოში განთავსება. ინდუსტრიულ ნარჩენებთან ერთად, ორგანული მასალები, როგორიცაა საჭმლის ნარჩენები, ასევე საგრძნობ გავლენას ახდენს გარემოზე, რაც ასევე მოცულია ამ ნიშნულით: ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენების დაშლის პროცესი გლობალური მეთანის გაფრქვევების 12%-ს შეადგენს, მეთანი კი ნახშირორჟანგზე 21-ჯერ ძლიერი სათბურული აირია. ამ ნიშნულის მისაღწევად განსაზღვრული პერიოდი ემთხვევა მდგრადი განვითარების დღის წესრიგით განსაზღვრულ ვადას - 2030 წელს.

ბიზნეს გავლენა მავნე დამაბინძურებლებზე

კერძო სექტორი გლობალური მყარი ნარჩენების ნაკადების ძირითადი წარმომქმნელია. გაანგარიშებების თანახმად, მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 7.6 მილიარდი ტონა ინდუსტრიული ნარჩენი იქმნება.[2] ბიზნესებს შეუძლიათ მოიძიონ საუკეთესო პრაქტიკა ნულოვანი ნარჩენების საერთაშორისო ალიანსის (Zero Waste International Alliance) მეშვეობით, რომელიც ნარჩენებთან დაკავშირებული სტანდარტების გლობალურად აღიარებული წყაროა.

ნარჩენების ნაკადის
35% გადამუშავებადია.[3]

ყოველწლიურად იკარგება
1.3 მილიარდი ტონა, დაახლოებით
750 მილიარდი აშშ დოლარის საკვები.[4]

ყოველდღიურად წარმოიქმნება
5.7 მილიარდი კგ ნარჩენი.[5]

მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ნარჩენების
22% ინსინერაციას გადის.[6]

ინდუსტრიის საილუსტრაციო გავლენა

მშენებლობა: სამშენებლო და სადემონტაჟო პროექტების მასალების 30% ნაგავსაყრელებზე თავსდება. მოქნილი სტრუქტურების აგება, რომლებიც არსებითი ნგრევის გარეშე შეიძლება გადაკეთდეს, ასევე ნარჩენების დაბალ-წარმადობის ან ბიოდეგრადირებად სამშენებლო მასალებზე გადასვლა საგრძნობლად შეამცირებს ინდუსტრიის წვლილს გლობალურ ნარჩენებში.

საკვები და სასმელი: საკვები გლობალური ნაგავსაყრელების ნარჩენების მესამედს შეადგენს. ეს რიცხვი კიდევ უფრო შოკისმომგვრელია იმის გათვალისწინებით, რომ ეს დანაკარგი 2 მილიარდი ადამიანის გამოსაკვებად საკმარისი იქნებოდა. შიმშილის პრევენციის კოალიციებს შეუძლია ამ მასალის ღირებულების გამოყენება, თუ დაეხმარება შესაბამის საწარმოებს მოსავლის აღების და გაყიდვების წერტილებში საკვების გადამისამართებით.

საცალო ვაჭრობა: ყოველწლიურად ამერიკის შეერთებული შტატების ნაგავსაყრელებზე თავსდება 2.2 მილიარდი კგ დაბრუნებული საქონელი - მთლიანი დაბრუნებული ნივთების ნახევარი. დაბრუნების მინიმიზაცია და მისი გარემოზე გავლენის შემცირება შესაძლებელია პროდუქტის შესახებ მეტი დეტალის გაზიარებით და ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორიცაა ვირტუალური მოსინჯვა.

კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ

MARKS & SPENCER

კომპანია მიზნად ისახავს 2025 წლისთვის იყოს ნულოვანი ნარჩენების მქონე ბიზნესი, როდესაც ექნება ნულოვანი საოპერაციო ნარჩენი. Oxfam-თან და Woodland Trust-თან თანამშრომლობით, კომპანია აპირებს დაეხმაროს მომხმარებლებს ყველა შეძენილი პროდუქციის ნაგავსაყრელზე განთავსება აირიდოს თავიდან.[10]

OLAM

Olam იღებს ვალდებულებას, ნაგავსაყრელებზე არ განათავსოს არც ერთი ნარჩენი და მიაღწიოს თანმდევი პროდუქტების 100%-იან უტილიზაციას 2024 წლისთვის. კომპანია იყენებს ნარჩენების თანმდევ პროდუქციას, როგორიცაა ქოქოსის გარსი, ბოილერების საწვავად, იგი ფუნქციას აძლევს მოსავლის აღების შემდგომ მიღებულ თანმდევ პროდუქციას ნარგავების დანაკარგის შესამცირებლად, და აფასებს პროდუქციის შეფუთვას. 2019 წლისთვის Olam-ის მიერ გამომუშავებული ენერგიის 19% მომდინარეობდა განახლებადი ენერგიიდან ან ბიომასისგან.[11]

NATURA

Natura მუშაობს საწარმოებსა და დისტრიბუციის სქემაში ნარჩენების განულებაზე, სადაც ნარჩენები წარმოიქმნება, ისინი წარმოებაში ხელახლა გამოიყენება ან იქცევა სხვა ინდუსტრიული / ბუნებრივი ციკლის შენატანად. კომპანიის სტრატეგია ასევე მოიცავს უკუ-ლოჯისტიკის სისტემას, რომელიც 2050 წლისთვის მოაგროვებს და რეციკლირებას გაუკეთებს უფრო მეტ მოხმარებულ ნარჩენ მასალას, ვიდრე პროდუქციის შეფუთვით წარმოქმნილია.[12]

შეფასება ნიშნულთან მიმართებით

ნიშნულის - ნულოვანი ნარჩენი ნაგავსაყრელზე და ინსინერაციის პროცესში, - შესრულება შეიძლება შეფასდეს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP), მსოფლიო ბანკის და გაეროს გარემოს დაცვის სააგენტოს (EPA) სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. ინდუსტრიებს არაერთი ნარჩენის შემცირების ამოცანა აქვთ სხვადასხვა საბაზისო მონაცემების მიხედვით, რომლებიც მათ მიერ სპეციფიურად წარმოქმნილი ნარჩენების მიხედვით განისაზღვრება. ბიზნესები, რომლებიც არ მიიღებენ ზომებს საკუთარი ინდუსტრიის კონტექსტის შესაბამისად ნარჩენების ნაგავსაყრელებზე განთავსების ან წვის თავიდან ასაცილებლად 2030 წლამდე, ამ ნიშნულს ვერ მიუახლოვდებიან.

ღირებულება ბიზნესისთვის

ნულოვანი ნარჩენის მიღწევას სათბურის აირების (GHG) გაფრქვევაზე და კომპანიების გატანის და წმენდის ხარჯების დაზოგვაში მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. ზოგიერთი ინდუსტრია, როგორიცაა სამშენებლო, შეძლებდა დაეზოგა 40%-მდე ხარჯები ნარჩენების შემცირების შედეგად.[13] ავტომობილების მწარმოებელი ერთ-ერთი კომპანიის ნარჩენების ინიციატივამ მხოლოდ ერთ ქარხანაში დაუზოგა მას 1-2 მილიონი აშშ დოლარი წლიურად.[14] ნარჩენების რეციკლირების ბაზარზე გადატანას ასევე შეუძლია შემოსავლის შესაძლებლობის შექმნა. აპარატურის გლობალურმა მწარმოებელმა ჯართი იატაკის მასალად გარდაქმნა, რომელიც დღეს გლობალურად უძრავი ქონების 10,000-ზე მეტ პროექტში გამოიყენება.[15] ნარჩენების ნაგავსაყრელებიდან და წვის პროცესიდან გადამისამართება დადასტურებული შესაძლებლობაა ბიზნესებისთვის მდგრადობის იმიჯის გასაძლიერებლად, ამავდროულად კი წარმოქმნის პირდაპირ ბიზნეს სარგებელსაც.

წინასწარი მოქმედებები

არსებული ნარჩენების ნაკადების შეფასება: განსაზღვრეთ წარმოქმნილი ნარჩენების წყარო, სახე და ოდენობა, რათა დაინახოთ საბაზისო მაჩვენებელი და განსაზღვროთ გაუმჯობესების შესაძლებლობები. დაახარისხეთ ნარჩენების ნაკადები მასალის მიხედვით, როგორიცაა თხევადი, მყარი, ორგანული, გადამუშავებადი, ან სახიფათო ნარჩენები, რათა განსაზღვროთ მათი წმენდის და გატანის გზები.

ეკოსისტემის იდენტიფიცირებისათვის პარტნიორობა: განსაზღვრეთ მთავარი პარტნიორები, როგორიცაა ნარჩენების მართვის და გატანის კომპანიები, რომელთაც შეუძლიათ თქვენ მიერ ნულოვანი ნარჩენების დასახულ მიზანში პარტნიორობა გაგიწიონ.

ძირითადი რესურსები

- » World Bank: What a Waste
- » FAO State of Food & Agriculture
- » Zero Waste International Alliance
- » WHO
- » WRAP

ინტეგრირების სირთულე*

ინტეგრაციის გაგება

რაც უფრო ძლიერია ბიზნესის ოპერაციების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გააზრება, - რა არის ეს, საიდან მოდის, სად განთავსდება ბოლოს, - მით უკეთესია აღმოფხვრის სტრატეგიები. თუმცა, ამ დონის ხილვადობა ჯერ ისევ მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბევრი კომპანიისთვის, ნარჩენების ნაკადების შესახებ სანდო, სტანდარტიზებული მონაცემების ნაკლებობის გამო. ახალი ციფრულ ტექნოლოგიები, როგორიცაა ჭკვიანი ურნები ან ნარჩენების პირდაპირი განსაზღვრა (live mapping) საშუალებას იძლევა რეალურ დროში დავინახოთ დეტალური მონაცემები, რომლებიც ბიზნესს გაუხსნის შესაძლებლობებს მანამდე უგულვებელყოფილი მასალა შეამციროს, ხელახლა გამოიყენოს ან რეციკლირება გაუკეთოს მას.

ინტეგრირების მაგალითები

ნარჩენების ანალიზი

ხელოვნური ინტელექტის (AI) ან ნივთების ინტერნეტის (IoT) მსგავს ტექნოლოგიებზე დამყარებული ციფრული მექანიზმების გაერთიანება ცენტრალურ სისტემებში დააჩქარებს ნარჩენების შემცირებას და ხარჯების დაზოგვას. მაგალითად, IKEA UK-იმ დაიქირავა AI-ზე დამყარებული ნარჩენების ანალიზის ინსტრუმენტი Winnow Solutions-ისგან, რათა დაკვირვებოდა საკვების ნარჩენებს მაღაზიების სამზარეულოებში. ამან IKEA-ს საშუალება მისცა 50%-ით შეემცირებინა ნარჩენები და დიდი ბრიტანეთის 23 მაღაზიაში 1.4 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაეზოგა.[16]

პარტნიორობის ინტეგრირება

როგორც კი კომპანია გაიაზრებს საკუთარი ნარჩენების ნაკადებს, შემდეგი ნაბიჯია გადამისამართებისთვის საჭირო მექანიზმების განსაზღვრა. ღრუბელური და AI-ზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფა ამ პროცესს ხელს უწყობს, რადგან გადამუშავების მიმწოდებლების შერჩევის ავტომატიზებას ახერხებს სპეციფიური მასალის და რეგიონის მიხედვით. Rubicon არის პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია, რომლის მისიაა, გამოიყენოს ღრუბელურ ინფრასტრუქტურაში არსებული დიდი მონაცემების პლატფორმა, რათა დაეხმაროს კომპანიებს გაანულონ ნარჩენები და მიაღწიონ ეკონომიკურ ღირებულებას ნარჩენების ნაკადებისგან. პლატფორმა აკავშირებს ყველა ზომის ბიზნესებს ნარჩენების მართვის და გადამუშავების კომპანიებთან, შედეგად კი ნაგავსაყრელებიდან გადამისამართების მაღალ მაჩვენებელს, ნარჩენი მასალების კრეატიულ ხელახალ გამოყენებას და ნარჩენების მონაცემებზე გაძლიერებულ ხედვას ვიღებთ.[17]

აღმასრულებელი რგოლის (C-SUITE) კუთვნილება

ოპერაციების მთავარი ოფიცერი

გზა ინტეგრაციისკენ

კომპანიებმა უნდა შეაფასონ ნარჩენების შესახებ მონაცემების შეგროვების არსებული პროცესები, ისევე, როგორც საკუთარი უნარი, გამოიყენონ ციფრული ტექნოლოგიები ნარჩენების მართვისთვის. ნარჩენების ამოღებისთვის ტექნოლოგიური პარტნიორების ჩართვით, კომპანიებს შეუძლიათ ჰქონდეთ მისწრაფება მიაღწიონ შემდეგ ამოცანებს:

მასალების მაღალი დონის ძირითადი მონაცემები

ნარჩენების წარმოქმნის წერტილების, მასალებთან კავშირის და ნარჩენების გატანის არსებული პროცესების სრული ხილვადობა ნულოვანი ნარჩენების სტრატეგიის და მოქმედების ჩამოსაყალიბებლად.

ინოვაციური პროდუქტი ნულოვანი ნარჩენების მიმართულებით

შესაძლებლობების განსაზღვრა როგორც პროდუქციის წარმოებიდან ნარჩენების ამოღების, ასევე ახალი შემოსავლის წყაროების შესაქმნელად, თანმდევ პროდუქტთან ინოვაციური მიდგომების მეშვეობით.

ეკოსისტემის ჩართვის ერთიანი პროცესი

ინტელექტუალური სისტემების ჩართვა და საზიარო პლატფორმების გამოყენება, რათა მარტივი კავშირი იქონიოთ ნარჩენების მართვის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან და მეორეული მასალების ბაზართან.

18X

გლობალურად, ინდუსტრიული ნარჩენების წარმოქმნა მუნიციპალურად წარმოქმნილ ნარჩენებზე თითქმის 18-ჯერ მეტია.[18]

SDG AMBITION-ის მიდგომა

ამბიციის გაზრდა

განსაზღვრეთ შესაბამისი ნიშნული პრიორიტეტების მიხედვით

ნიშნულის ამბიციის დონესთან შესაბამისი ახალი მიზანი

გზები

ნარჩენის შემცირება

გამოიყენეთ ნარჩენების პრევენციის მიდგომები წყაროსთან ნარჩენების წარმოქმნის აღმოსაფხვრელად

ხელახლა გამოყენება და გადამუშავება

ახალი, სხვა საჭიროების და სარგებლის მიზნით გამოიყენეთ ნარჩენები, როგორც ახალი შიდა შენატანი (input) ან ახალ პროდუქტის სხვა მიზნით გარდასაქმნელად

მოქმედების გზა

ნარჩენების ნაკადი ძირეულად განსაზღვრეთ (mapping), გაანალიზეთ მასალების ნაკადები და მიმართულებები, რათა შეაფასოთ ნარჩენების გაჟონვის შესაძლო არეალები და წარმართოთ სტრატეგიები

დანერგეთ ნარჩენების პრევენციის მიდგომები, რათა შეამციროთ მასალების მოხმარება და მოიშოროთ პროცესუალური არაეფექტური პრაქტიკები, როგორიცაა არასაჭირო შეფუთვები, საწყობის ოპტიმიზება და პროდუქციის ინოვაციური წარმოება, რათა შემცირდეს ნარჩენი

გადაამისამართეთ წარმოების ნარჩენი და თანმდევი პროდუქტი სხვა გამოყენებისთვის იმავე წარმოებაში (მაგ. ენერგიის წყარო, ბიოგაზი) და დააკვირდით ნაგავსაყრელებიდან გადამისამართების პროცესს

ახალი ღირებულება შესძინეთ გადამუშავებულ ნარჩენს და თანმდევ პროდუქტს სხვა ბაზარზე ან სექტორებზე გაყიდვებით (მაგ. მოპოვებითი ინდუსტრიის ნარჩენი ცემენტის პირველად მასალად; სასოფლო-სამეურნეო ნარჩენი ინოვაციური ტექსტილისთვის) ან ახალი პროდუქტების ინოვაციები თქვენივე პორტფელში (მაგ. თანმდევი მასალის ბიზნეს ერთეულით)

ქვემიზნები

ნარჩენების წარმოების შემცირება

ნარჩენების გადამუშავების გაზრდილი მაჩვენებელი

ნარჩენების ხელახალი ღირებულებიდან შემოსავალი

საზომი*

ფუნდამენტური: ნარჩენების თითოეული ნაკადის აგრეგირებული მოცულობა; წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენის ოდენობა; ადგილები, რომლებიც გამოიყო ნულოვანი ნარჩენის ან წვის მიზნისთვის

სასურველი: ნარჩენის ოდენობა მასალის ნაკადის მიხედვით (მაგ. პოლიმერი); პროდუქტის ტიპის მიხედვით წარმოების ნარჩენი; განთავსების ადგილის მიხედვით ნარჩენი (მაგ. ნაგავსაყრელი, ინსინერაციის ცენტრი)

ფუნდამენტური: ხელახლა გამოყენებული ან გადამუშავებული ჯამური ნარჩენი

სასურველი: მასალის მიხედვით აღდგენილი ჯამური ნარჩენი; საბოლოო გამოყენების მიხედვით აღდგენილი ნარჩენი

ფუნდამენტური: თანმდევი პროდუქტის ინოვაციით წარმოებული ინოვაციური ნარჩენი; მიღებული შემოსავალი

სასურველი: დაკარგული მასალის შეძენის ღირებულება; გადამუშავებით აღდგენილი ღირებულება

ბიზნეს პროცესი

წარმოება და ოპერაციები	ნარჩენების მართვა	გარემო მართვა	გაყიდვები და დისტრიბუცია	კვლევა და განვითარება	მიწოდების ჯაჭვი და შესყიდვები

სისტემური შესაძლებლობები

ნარჩენების ნაკადების გაზრდილი ხილვადობა

განავითარეთ პროცესები და ინსტრუმენტები ნარჩენების ნაკადების ძირეული ანალიზისთვის, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა წარმოებული მასალის იდენტიფიცირებას და მათი დაკვირვების მართვის ძირითად სისტემებთან გაერთიანებას.

გარე მომსახურების მიმწოდებლის ინტეგრირება მონიტორინგის და გაუმჯობესებული გადამუშავებისათვის

გარე ნარჩენების მართვის და გადამუშავების კომპანიების ინტეგრირება, რათა გაიაზროთ მასალების ნაკადები, ფასები და შესაძლებლობები მათი აღდგენის / გადამისამართებისთვის, წარმოების და პროდუქტის დიზაინის შესახებ ინფორმაციაზე დამყარებული გადაწყვეტილებებისთვის.

თანმდევი ნარჩენის ჩართვა მასალების წყაროების დაგეგმარებისა და პროდუქტის ინოვაციის პროცესში

მასალის მართვის მექანიზმების გამოყენება ნარჩენის, როგორც გამოსაყენებელი და მოსახმარი პროდუქციის შენატანის, ხელახლა ასათვისებლად.

მთავარი გადაწყვეტილებები (KDD)

KDD1

როგორ შეიძლება განსაზღვროთ სპეციფიური ნარჩენის მახასიათებლები ნარჩენების ნაკადების უფრო დეტალური შეფასებისთვის?

ნარჩენის წარმოქმნის წერტილების, ადგილების და მასალის მახასიათებლების განსაზღვრა საშუალებას მოგცემთ, მეტი ხილვადობა გქონდეთ ნარჩენების წარმოქმნაზე. სპეციფიური მახასიათებლებით შეძლებთ წარმართოთ ნარჩენების გატანის პროცესი ობიექტებზე და გაზარდოთ გადამისამართება ნაგავსაყრელებიდან ან წვის პროცესებიდან.

KDD2

როგორ შეიძლება უზრუნველყოთ მონაცემთა შეგროვების და ნარჩენების რეციკლირების მართვის ჯაჭვის ავტომატიზება?

მაღალი დონის ტექნოლოგიების კომბინაციით, როგორიცაა, მაგალითად, შტრიხკოდები, ჭკვიანი ურნების სენსორები და ანალიტიკის მექანიზმები, შეგიძლიათ ნარჩენების ციფრული მონიტორინგის და მონაცემების შეგროვების ავტომატიზება.

KDD3

როგორ შეგიძლიათ გაამარტივოთ წარმოებული ნარჩენის გამოყენებად ან გასაყიდ მასალად ქცევა თქვენ ტექნოლოგიის სისტემებში?

წარმოებული ნარჩენი ან თანმდევი პროდუქტი ცენტრალური მასალების და წყაროების მართვის სისტემებში უნდა ჩანდეს, რათა მისი გამოყენება როგორც შიდა მასალა ან გარეთ გასაყიდი პროდუქტი შესაძლებელი გახდეს.

ბიზნესში ინტეგრაცია

* აქ მოცემული ყველა ძირითადი ინდიკატორი (KPI) და საზომი მითითებითია და გამომდინარეობს არსებული ანგარიშგების სტანდარტებიდან. ყველა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს მიზნის შესამუშავებელი მექანიზმები საკუთარი ანგარიშგების მეთოდოლოგიის და ბიზნეს კონტექსტის შესაბამისად.

ბიზნეს სისტემების დიზაინი

როგორ შეიძლება განსაზღვროთ სპეციფიური ნარჩენის მახასიათებლები ნარჩენების ნაკადების უფრო დეტალური შეფასებისთვის?

KDD1

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

რეციკლირებად და გატანილ ნარჩენის მოცულობაზე დაკვირვება იძლევა საშუალებას, გავიაზროთ, რამდენად კარგად მუშაობს ნარჩენების მართვის პროგრამა, ამავდროულად კი ვიღებთ წარმოქმნილი მასალის და გადამუშავების მაჩვენებლის შესახებ საზომ მონაცემს. თუმცა, გაუმჯობესებისთვის საჭირო ხედვის მოსაპოვებლად კრიტიკულია ნარჩენების შეფასება, რათა ჩამოყალიბდეს თქვენი ნარჩენების პროფილის უფრო ძლიერი გაგება. ნარჩენების შეფასება მოგცემთ ძირითად მონაცემთა მაჩვენებლებს, მაგალითად, პოლიმერის ტიპის პლასტმასის ნარჩენში, რათა აღმოაჩინოთ ნარჩენის შემცირების შესაძლებლობები.

ნარჩენების შეფასება საბაზისო მიდგომაა, თითოეული ტიპის ნარჩენები შეიძლება სათითაოდ შეფასდეს მაჩვენებლების მიხედვით, რათა შეფასდეს, რა შეიძლება გაკეთდეს არსებული ინსტრუმენტების მეშვეობით. ამ გზით, ნარჩენის პროფილები შეიძლება გაუმჯობესდეს, რათა ლიდერებმა გაიგონ, როგორ შეიძლება თითოეული ტიპის ნარჩენი გადამისამართდეს ნაგავსაყრელიდან და ინსინერაციის პროცესიდან.

როგორ შეგიძლიათ გაამარტივოთ წარმოებული ნარჩენის გამოყენებად ან გასაყიდ მასალად ქცევა თქვენი ტექნოლოგიის სისტემებში?

KDD3

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

ყოველდღიური ოპერაციები ნარჩენების წარმოქმნას იწვევს, თუმცა არის შესაძლებლობები, რომლებიც ამ თანმდევი პროდუქტების შიგნითვე გამოყენების (მაგალითად, რეციკლირებული ბოჭკოები პროდუქციის ხაზში შესატანად (input) გამოდგება) ან საწარმოს გარეთ გაყიდვის (მაგალითად, ორგანული ნარჩენი დამატებული ღირებულების კომპოსტად გაიყიდოს) საშუალებას იძლევა. ამის მისაღწევად, სისტემები მოქნილი უნდა იყოს, რათა პროდუქტების და თანმდევი პროდუქტების სახით ათვისება შესაძლებელი გახდეს. ამ გზით პირველადი მოხმარების ან გამოყენების შემდეგ, დარჩენილი მასალა სისტემაში ხელმისაწვდომი ხდება შიდა გამოყენების ან გაყიდვისთვის.

ტექნოლოგიები, როგორიცაა დისტანციური მონიტორინგის სენსორები, საშუალებას იძლევა ასეთი მონაცემები ავტომატურად მოგროვდეს და კონკრეტულ მასალას ნარჩენის ნაკადში მიმართულება მიეცეს. პროდუქტის და ნარჩენების ნაკადის დისტანციური მონიტორინგის სისტემის შესაძლებლობის შემოწმება ციფრული მართვის პროცესის პილოტირების საშუალებას მოგცემთ.

როგორ შეიძლება უზრუნველყოთ მონაცემთა შეგროვების და ნარჩენების რეციკლირების მართვის ჯაჭვის ავტომატიზება?

KDD2

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

ნარჩენების შეგროვების და გატანის მონიტორინგი რთული ამოცანაა. მისი გამარტივებისთვის შეიძლება ცალკეული ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა უკუ-შესყიდვის მანქანა (RVM), ჭკვიანი ურნები, შტრიხკოდები, რაც პროცესის ავტომატიზებას უზრუნველყოფს. არსებითია, პარტნიორი ნარჩენების მართვის ან რეციკლირების სერვისის მიმწოდებლებისგან მიღებული მონაცემები გაერთიანდეს ბიზნეს სისტემებში. ეს საშუალებას მოგცემთ გაიაზროთ მასალების ნაკადები, ღირებულებები და შესაძლებლობები, რათა დანერგოთ წყაროების აღდგენა/გადამისამართება და წარმოების ან პროდუქტის დიზაინის შესახებ გადაწყვეტილებები ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღოთ.

ცალკეული საწყისი პარამეტრების გააზრება, როგორიცაა შეგროვების ან გატანის ცენტრების რაოდენობა და მათი დღიური მოცულობა, ასევე შეგროვებული და გატანილი ნარჩენების ტიპი და მოცულობა, საშუალებას მოგცემთ უკეთესი ხედვა გქონდეთ გატანის შესაძლებლობების შესაფასებლად და ნარჩენების მართვის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

[1] National Overview: Materials, Wastes and Recycling, US Environmental Protection Agency

[2] Guide for Industrial Waste Management, US EPA

[3] What a Waste 2.0, World Bank, 2018

[4] The Guardian

[5] What a Waste 2.0, World Bank, 2018

[6] Ibid

[7] Waste: A Handbook for Management, 2011

[8] Technical Platform on the Measurement and Reduction of Food Loss and Waste, UN Food and Agriculture Organisation

[9] "Free returns come with an environmental cost," The Verge, 2019

[10] Waste & Circular Economy, Marks & Spencer's

[11] Olam Annual Report 2019

[12] Natura

[13] Assessing the costs and benefits of reducing waste in construction, WRAP

[14] "The Zero Waste Factory," Scientific American, 2017

[15] 25 Years of Nike Grind, Nike

[16] IKEA and Winnow are building the kitchen of the future, Winnow

[17] The smartest way to manage waste, Rubicon

[18] What a Waste 2.0, World Bank, 2018

United Nations Global Compact 20 years

In partnership with: accenture SAP 3M

ნიშნული (BENCHMARK)

მეცნიერებაზე დაფუძნებული ემისიების შემცირება 1.5°C ნიშნულამდე

SDG გავლენა
3, 9, 12, 14, 15

ვადა
5-15 წელი

სფერო ■ ოპერაციები ■ პროდუქტი და მომსახურება ■ ღირებულებათა ჯაჭვი

ინფორმაცია ნიშნულზე (BENCHMARK)

ამ ნიშნულის მიღება ეხმარება ბიზნესს შეაფასოს თავისი ოპერაციები კლიმატის შესახებ მეცნიერების უახლესი მიღწევების, დედამიწის კლიმატის სისტემების სტრუქტურებისა და დინამიკის სწავლებების, UNFCCC პარიზის შეთანხმებისა[1] და სამეცნიერო მიზნების ინიციატივის (SBTi) მიზნების შესაბამისად.[2] SDG Ambition-ის ნიშნული, მეცნიერებაზე დაფუძნებული ემისიების შემცირება 1.5°C ნიშნულის გზაზე, უზრუნველყოფს ბიზნესს კრიტიკულად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცოდნით კლიმატის შესახებ მეცნიერებაზე დაფუძნებული ამოცანის დასახვისა და ტექნიკური ნოუ-ჰაუს ჩამოსაყალიბებლად, და ასევე თუ რა როლს ასრულებს სისტემები პროგრესისა და შესრულების გაზომვაში. SBTi-მ დაადგინა მთელი რიგი კრიტერიუმები, რათა უზრუნველყოს სამეცნიერო კონსენსუსი, თუ რა არის საჭირო გლობალური დათბობის 1.5°C ტემპერატურაზე შესაჩერებლად. მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული მიზანი მოიცავს სფერო 1-სა და სფერო 2-ს სათბურის აირების (GHG) ემისიებთან დაკავშირებით, მასში მოცემული მე-3 სფერო კი დამოკიდებულია ინდუსტრიასა და ბიზნესის მოდელზე. საშუალოვადიანი (5–15 წლიანი) პერიოდი და გრძელვადიანი ამოცანები - 2050 წლამდე - დაგეხმარებათ გრძელვადიანი რისკების და შესაძლებლობების მართვაში.[3]

შეფასება ნიშნულთან მიმართებით

ნიშნულის - ემისიების შემცირება 1.5°C ნიშნულამდე- შესრულება შეიძლება შეფასდეს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) დახმარებით, რომლითაც გლობალური ემისიები ყოველწლიურად 7,6%-ით უნდა მცირდებოდეს 2030 წლამდე. ამასთან, დღეს კომპანიების უმეტესობა აყალიბებს საკუთარ მიზნებს თავისი სტრატეგიისა და ოპერაციების შესაბამისად საბაზისო მაჩვენებლების შემცირების მიზნით. მიზნები განსხვავდება კომპანიის მიხედვით და უნდა დადასტურდეს SBTi-ს მიერ 1.5°C მაჩვენებლის შესაბამისად. ბიზნესები, რომლებიც არ დაისახავენ გამონაბოლქვების შემცირების ამოცანებს 1.5°C ნიშნულის გზაზე, SDG Ambition-ის ნიშნულს მიღმა მოხვდებიან.

ბიზნეს გავლენა კლიმატის ცვლილებებზე

კლიმატის მეცნიერების თანახმად კერძო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ემისიების შემცირებაში, რამდენადაც სათბურის აირების 73% მხოლოდ ენერგოსექტორის მიერ არის წარმოებული, რაც მოიცავს წარმოებას, ტრანსპორტირებას, გენერაციასა და გაქცეულ გაფრქვევებს (ემისიებს).[4] 2020 წლის UNGC-ის საიუბილეო ანგარიშის თანახმად, კომპანიების ნახევარზე ნაკლები (44%) ამჟამად აწარმოებს ანგარიშგებას სათბურის აირების გაფრქვევაზე და კლიმატის ცვლილების სხვა სტრატეგიულ მონაცემთა შესახებ.[5]

გლობალური ემისიების
35% მოდის მხოლოდ 20 კომპანიაზე[6]

ამ გაფრქვევების
90% მიეკუთვნება წიაღისეული
საწვავის გამოყენებას[7]

მრავალეროვანი კომპანიებისთვის განახლებადი
ენერგიის წყაროების გამოყენების
20%-იანი ზრდა 1 მილიარდი ტონით
შეამცირებს სათბურის აირების ემისიებს[8]

5.5-ჯერ მეტი გაფრქვევა ხდება მიწოდების ჯაჭვის
ოპერაციებიდან, ვიდრე უშუალოდ საწარმოსგან[9]

ინდუსტრიის საილუსტრაციო გავლენა

ენერგია: ენერგეტიკის სექტორის დეკარბონიზაცია აუცილებელია ენერგიასთან დაკავშირებული ნახშირბადის ემისიის შესამცირებლად.[10] ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ გლობალური ემისიების 71% შეიძლება დაკავშირებული იყოს 100 ენერგოკომპანიასთან.[11] გაზრდილი ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერგიის წყაროების დამკვიდრება, ნახშირბადზე ფასის დადგენა და ნახშირბადის შეკავება არის მრავალ გზათაგან რამდენიმე, რომლითაც კომპანიებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ დაბალი ნახშირბადის ენერგიაზე გადასვლაში.[12]

სამრეწველო საქონელი: სამრეწველო პროცესებთან დაკავშირებული სათბურის აირების ემისიები გლობალური გამონაბოლქვების დაახლოებით 5,5%-ს შეადგენს, რაც 1990-2020 წლებში 174%-ით გაიზარდა, პირველ რიგში, სამაცივრე და ჰიდროფლორბალბადების (HFC) წარმოების გამო.[13] სამრეწველო პროგრამებში გამოყენებისათვის დაბალი ნახშირბადის ალტერნატივებზე გადასვლამ შეიძლება შეაფერხოს ზრდის ეს ტენდენცია.

კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ

2015 წლიდან მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივა (CDP, გაეროს გლობალური შეთანხმება, WRI და WWF) ხელს უწყობს კლიმატის დაცვის მიზნით ამბიციური კორპორაციული ქმედებების განხორციელებას. 2020 წლის სექტემბრის მონაცემებით, 1000-მდე კომპანია დგამს ნაბიჯებს კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ საბრძოლველად პარიზის შეთანხმების შესაბამისად, საიდანაც 400-ზე მეტ კომპანიას დამტკიცებული აქვს მეცნიერებაზე დაფუძნებული ამოცანები. ბიზნეს ამბიცია 1.5°C (Business Ambition for 1.5°C) კამპანია მოუწოდებს ყველაზე შორსმჭვრეტელ ლიდერს, დაუსახონ თავიანთ კომპანიებს მეცნიერებაზე დამყარებული ამოცანები, რომლებიც 1.5°C ნიშნულთან თანხვედრაშია, გაეროს კლიმატის ცვლილების 26-ე კონფერენციამდე (COP 26). დღემდე, 300-მა კომპანიამ აიღო ვალდებულება, ხოლო 100-ზე მეტმა დაამტკიცა 1.5°C ამოცანები.

ØRSTED

ØRSTED-მა დაისახა მეცნიერებაზე დაფუძნებული ამოცანა, 2023 წლისთვის შეამციროს სათბურის აირების ემისიის ინტენსივობა 96%-ით. მათი მიდგომა ფოკუსირებულია საზღვაო ქარის ელექტროსადგურების მშენებლობაზე და მათი ელექტროსადგურების ბიომასად გადაქცევაზე. კომპანიამ 2006 წლიდან შეამცირა ნახშირის მოხმარება 82%-ით, ხოლო მათი ელექტროსადგურები 2023 წლისთვის სრულად თავისუფალი იქნება ნახშირისგან. [14]

SALESFORCE

SALESFORCE-მა დაისახა სამეცნიერო ამოცანები, შეამციროს 1, 2 და 3 სფეროს ემისია 50%-ით 2030 წლისთვის 2018 წლის საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით. მათი ეკოლოგიური პოლიტიკა ორიენტირებულია ოპერაციებისთვის 100%-იანი განახლებადი ენერგიის მოპოვებაზე და გამყიდველებთან თანამშრომლობაზე, რათა განსაზღვრონ საკუთარი სამეცნიერო მიზნები და გახდნენ GHG-ის ნულოვანი გაფრქვევის კომპანია.[15]

ღირებულება ბიზნესისთვის

ემისიების შემცირებით, განახლებად ენერგიაზე გადასვლით და ენერგიის მენეჯმენტის გაუმჯობესებით, კომპანიებს შეუძლიათ შეამცირონ საოპერაციო ხარჯები, რადგან წიაღისეული საწვავის ალტერნატივების ფასები კვლავ იკლებს.[16] აღმასრულებელი დირექტორების 29%, აცხადებს, რომ დაისახეს მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნები, რითიც გაუმჯობესდა საერთო დანაზოგები.[17] უფრო მეტიც, დაბალი ნახშირბადის პროდუქტებსა და მომსახურებებში ინვესტიციების ჩადებით, კომპანიებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ საქმიანობის ზრდას და მოახერხონ ახალი პროდუქტების კატეგორიების იდენტიფიცირება: აღმასრულებელი დირექტორების 63% აცხადებს, რომ დაადგინეს მეცნიერებაზე დაფუძნებული ამოცანები, რაც მათ კომპანიაში ინოვაციების დანერგვას უწყობს ხელს.[18]

ძირითადი რესურსები

- » IPCC
- » Business Ambition for 1.5˚C
- » Science Based Target initiative
- » GHG Protocol
- » The Climate Group

წინასწარი მოქმედებები

გაიაზრეთ თქვენი სათბურის აირების მდგომარეობა: სათბურის აირების ინვენტარიზაციის ჩატარება დაგეხმარებათ მოცემული ბიზნეს პროცესით გამოწვეული ემისიების დადგენაში. გამონაბოლქვის რაოდენობრივი შეფასების ყველაზე ხშირად გამოყენებული საერთაშორისო ინსტრუმენტი არის სათბურის აირების პროტოკოლი.

გამოაქვეყნეთ თქვენი ემისიები: ინფორმაციის გამჟღავნება ყოველწლიურ ანგარიშებში ან ინდუსტრიის ფარგლებში მოქმედ ანგარიშგების ორგანიზაციებში, როგორიცაა CDP, უზრუნველყოფს კომპანიებისა და ინდუსტრიების ანგარიშვალდებულებას კლიმატის მეცნიერების წინაშე.

დაბალი ნახშირბადის პოლიტიკის მხარდაჭერა: ნახშირბადის ნულოვანი გამონაბოლქვის პოლიტიკის წახალისებისთვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დაბალი ნახშირბადის ტექნოლოგიების განვითარება და წიაღისეული საწვავის მოპოვების სუბსიდირების შეწყვეტა. ამ ძალისხმევის ჩართვა თქვენი ადვოკატირების საქმიანობაში ხაზს უსვამს მეცნიერებაზე დაფუძნებული ამოცანების ერთგულებას და ხელს შეუწყობს მათ განხორციელებას.

ინტეგრირების სირთულე*

ინტეგრაციის გაგება

სათბურის გაზის (GHG) ემისიების შესახებ გათვითცნობიერება ღირებულების ჯაჭვში მნიშვნელოვანია ნახშირბადის ბიზნეს მოდელების ინფორმირებისა და პროდუქტის ინოვაციისთვის. ციფრული ტექნოლოგიების, როგორიცაა ნივთების ინტერნეტი (IoT) და ხელოვნური ინტელექტი (AI), გამოყენებით, კომპანიებს შეუძლიათ გადავიდნენ მონაცემთა ხელით ასახვიდან, რეალურ დროში მონიტორინგსა და ემისიების წყაროების მენეჯმენტზე. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებით, IoT, სხვა ტექნოლოგიებთან ერთად, როგორიცაა 5G და AI, საშუალებას იძლევა 15%-ით შემცირდეს გლობალური გაფრქვევები.

SBTi იძლევა რეკომენდაციებსა და კრიტერიუმებს 1.5°C ნიშნულთან თანმხვედრი ამოცანების დასახვისთვის, აგრეთვე აღმოუჩენს მხარდაჭერას ბიზნესს, დანერგონ თავიანთი ამოცანები და აწარმოონ შესაბამისი ანგარიშგება. SDG Ambition-ი ცდილობს შეავსოს ეს სახელმძღვანელო მითითებები ბიზნეს სისტემების დიზაინზე ფოკუსირებით, რათა პროგრესის გაზომვა და მართვა 1.5°C ნიშნულის შესაბამისი იყოს.

ინტეგრირების მაგალითები

წარმოება

აღჭურვილობის ენერგიის მოხმარების მონიტორინგი IoT-ის და სენსორების გამოყენებით გამოავლენს არაეფექტურობას, რაც საშუალებას იძლევა წარმოების პროცესში შემცირდეს ენერგიის ინტენსივობა. მაგალითად, 2030 წლისთვის ჭკვიანი წარმოებით მიღებული დანაზოგი 11.9 მილიარდ დოლარს მიაღწევს.[19]

პროდუქტის გამოყენება

მოხმარების ეტაპზე სათბურის აირების ემისიების უფრო ღრმა გაგება საშუალებას გაძლევთ შექმნათ ინოვაციური პროდუქტები, რათა შეამციროთ გამონაბოლქვები მთელი საციცოცხლო ციკლის განმავლობაში. Unilever-მა, მას შემდეგ, რაც დაადგინა, რომ სარეცხი ფხვნილების ემისიების 60% ხდება გამოყენების ფაზაში, გამოუშვა ახალი პროდუქტები, რომლებიც ადამიანებს საშუალებას აძლევს გარეცხონ ტანსაცმელი დაბალ ტემპერატურაზე, რაც თითოეულ ჩატვირთვაზე სათბურის აირების ემისიას ამცირებს 50%-მდე.[20]

აღმასრულებელი რგოლის (C-SUITE) კუთვნილება

აღმასრულებელი დირექტორი (CEO)

გზა ინტეგრაციისკენ

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო გადაწყვეტილებების ბაზრის ზრდას, რაც უფრო მეტ ინფორმაციას აწვდის კომპანიას სათბურის აირების ემისიების თაობაზე. კომპანიებს შეუძლიათ იმუშაონ თავიანთ ტექნოლოგიურ პარტნიორებთან ერთად ისეთი შედეგების მისაღწევად, როგორიცაა:

ნახშირბადის ავტომატური ანგარიში და მოქმედება რეალურ დროში

ციფრული ინსტრუმენტების, მოწინავე ხელსაწყოებისა და ალგორითმების გამოყენება წარმოების პროცესში ენერგიის რეალურ დროში მოხმარების გასაზომად და ამ მონაცემების ნახშირბადის დათვლის ანგარიშგებაში ასახვისათვის. SAP პირველი პროგრამული გადაწყვეტა Climate 21 პროგრამის ფარგლებში, Product Carbon Footprint Analytics, ეხმარება მომხმარებლებს გაიაზრონ საკუთარი ნახშირბადის ნაკვალევი და უზრუნველყოფს სათბურის აირების ემისიების ანალიზისა და ოპტიმიზაციის ჩარჩოს.**

ურთიერთობა მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან და მათზე გავლენა

სათბურის აირების ემისიების შემცირების მკაფიო გაერთიანება მასალების მენეჯმენტსა და პროდუქტის ინოვაციებში.

რეალურ დროში ნახშირბადის ანალიზი

ანალიტიკური ინსტრუმენტების შექმნა ბიზნესის მიერ ნახშირბადის გავლენის გზის ჭკვიანურად და ეფექტიანად გასაზომად, რათა დადგინდეს ცვალებადი ინვესტიციების მოთხოვნები და ნახშირბადის შემცირების პოტენციური შესაძლებლობები.

<25%

კომპანიების <25% აცხადებს, რომ კლიმატის პოლიტიკა ინტეგრირებულია კომპანიის საერთო სტრატეგიაში [21]

67%

კომპანიების 67% ატყობინებს CDP-ს, რომ აქვთ ემისიების შემცირების ამოცანებისთვის გამოქვეყნებული საკმარისი მონაცემები. [22]

** ეს ტექნოლოგია მოცემულია, როგორც მაგალითი და არ არის აღიარებული SBTi-ის მიერ.

SDG AMBITION-ის მიდგომა

ამბიციის გაზრდა

განსაზღვრეთ შესაბამისი ნიშნული პრიორიტეტების მიხედვით

ნიშნულის ამბიციის დონესთან შესაბამისი ახალი მიზანი

ზემოქმედების მაბალიდან — მიმმედების — ზეგავლენა — სტანდარტ* — ბიზნეს პროცესი — სისტემური შესაძლებლობები — მეთვალყურეობა (KPI)

სათბურის აირების შემცირება

შეამცირეთ სათბურის აირების ემისიები, რომლებიც წარმოიქმნება ბიზნესის საქმიანობით, ღირებულების მთელს ჯაჭვში

- განსაზღვრეთ ბიზნესის მიერ გაფრქვევის ფინანსური ღირებულება, შემცირების სტიმულირებისათვის, მაგ. ნახშირბადის შიდა ფასი (ICP)
- განსაზღვრეთ და მიზანში ამოიღეთ ენერგიის მოხმარების დაზოგვა და ეფექტიანობის შესაძლებლობები მთელს ღირებულებათა ჯაჭვში
- დანერგეთ და თვალყური ადევნეთ მომწოდებელთა სათბურის აირების შემცირების სტრატეგიებს
- გაზარდეთ დაბალი ნახშირბადის და განახლებადი ენერგიის წილი
- გამოავლინეთ სათბურის აირების შემცირების შესაძლებლობები პროდუქტებითა და მომსახურებებით და ინოვაციური დაბალი ნახშირბადის შეთავაზებებით

სათბურის აირების კომპენსაცია

ნახშირბადის მოცილება ატმოსფეროდან სათბურის აირებისა და ბუნებრივი ამოღებით და ტექნოლოგიებით, რომლებიც კომერციული გამონაბოლქვის კომპენსაციას ახდენს (საპირისპირო მოქმედებების გარდა)

- სავალდებულო გახადეთ ინვესტიციები და სტრატეგიები ბუნებრივი გზებით ნახშირჟანგის მასშტაბური ამოღებისათვის (მაგ. ტყეების გაშენება, ტყეების აღდგენა, ნიადაგის ნახშირბადის სეკვესტრირება)
- სავალდებულო გახადეთ ინვესტიციები და სტრატეგიები ნახშირბადის გამოჭერისა და სეკვესტრის ტექნოლოგიების გაფართოების მიზნით და ნახშირბადის ამოღებულ, შენახულ და / ან რეციკლირებულ რაოდენობაზე დასაკვირვებლად

ემისიების შემცირება სფერო 1-ში	ემისიების შემცირება სფერო 2-ში	ემისიების შემცირება სფერო 3-ში	სათბურის აირების ამოღების ზრდა	ნახშირბადის წმინდა გავლენა
ფუნდამენტური: ენერგიის მოხმარება (საწვავის ტიპის მიხედვით, ემისიების ტიპის მიხედვით) **სასურველი:** ენერგიის მოხმარება ერთეულების მიხედვით; პროდუქტის მიხედვით; აქტივობის მიხედვით	**ფუნდამენტური:** ბაზარზე დაფუძნებული და ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული ემისიები **სასურველი**: ელექტროენერგია ერთეულების; პროდუქტის; საქმიანობის; საბაზრო ინსტრუმენტის მიხედვით	**ფუნდამენტური:** სავარაუდო წინასწარი და მოპოვების შემდგომი გამონაბოლქვი **სასურველი:** კლასიფიცირებულია მე-3 სფეროს აქტივობების მიხედვით (მაგ. თანამშრომლების მოგზაურობები)	**ფუნდამენტური:** სათბურის აირების ამოღება მოცილების ტექნოლოგიის მიხედვით; ამოღებული ტონა სათბურის აირების ღირებულება **სასურველი:** ამოღების სერტიფიკატი	**ფუნდამენტური:** ნახშირბადის წლიური გამონაბოლქვი vs წლიური ამოღება **სასურველი:** ნახშირბადის ისტორიული გაფრქვევა და ისტორიული წმინდა გავლენა

წარმოების ოპერაციები და უსაფრთხოება	შესყიდვები და მიწოდების ჯაჭვი	ლოჯისტიკა, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია	ნარჩენების მართვა	გაყიდვები და დისტრიბუციის მენეჯმენტი	გარემოსდაცვითი მენეჯმენტი

პირდაპირ ემისიებზე თვალყურის დევნება

ბიზნეს სისტემები შეიძლება სრულად ავტომატიზირდეს, რათა გამოიანგარიშოს პირდაპირი ემისიები რეალურ დროში, ვიდრე დაეყრდნოს მონაცემთა ხელით შეტანას.

KDD1

როგორ შეგიძლიათ ემისიის გამოთვლებისათვის საჭირო მონაცემების მოგროვების ავტომატიზება?

არსებული მრიცხველები და მონაცემები, რომლებიც ხელმისაწვდომია მონაცემთა არქივში, შეიძლება გამოიყენებოდეს ემისიების გამოთვლების შეყვანის ავტომატიზებისთვის. აღნიშნული მონაცემები ასევე მოგაწვდით ინფორმაციას, თუ როგორ უნდა დაბუსტოთ ემისიების გამოთვლები.

მიმწოდებლის მუშაობის მენეჯმენტი

უფრო მეტი ჩართულობა და გამჭვირვალობა მომწოდებლებთან მიწოდების ჯაჭვის მართვის საშუალებებისა და ტექნოლოგიების საშუალებით.

KDD2

როგორ შეგიძლიათ მომწოდებლებთან ინტეგრაცია ხილვადობის და ემისიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად?

განსაზღვრეთ პროცესები მიმწოდებლის ემისიების მონაცემების ხილვადობისთვის, ავტომატიზაციაზე გადასვლით. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მესამე პირის ინტეგრაციით (მაგალითად, სარეიტინგო სააგენტოებით) ან მომწოდებლებთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით.

არსებული მონაცემების და პროცესების გამოყენება სფერო 3-ისთვის

გამოიყენეთ არსებული მონაცემები (მაგ., პროდუქტის გამოყენების ჟურნალი) მე-3 სფეროს ემისიების შესაფასებლად და ნახშირბადის ინტენსივობის მონაცემთა დიზაინში ასახვისთვის.

KDD3

როგორ შეგიძლიათ ზუსტად გაზომოთ ემისიები მე-3 სფეროში?

მე-3 სფეროს ემისიის სრულყოფილად გასაგებად, მნიშვნელოვანია გვესმოდეს ისეთი მასალების ენერგიის ინტენსივობა, რომლებიც გამოიყენება პროდუქტის დიზაინში, სამომხმარებლო გამოყენებაში და საკუთარ შიდა ოპერაციებში (როგორიცაა თანამშრომლების მივლინება).

პროგნოზირება და სიტუაციის მოდელირება ამოღების სტრატეგიებისთვის

ისეთი ტექნოლოგიის გამოყენება, როგორიცაა პროგნოზირებადი ანალიტიკა არსებული მიმართულების დასადგენად, მოცილების სტრატეგიებისა და პერიოდების ინფორმირებისთვის.

KDD4

როგორ შეგიძლიათ ემისიების ეფექტიანად პროგნოზირება ამოღების ინვესტიციის ოპტიმიზაციისთვის?

გაფრქვევების პროგნოზირებისათვის მუდმივი მოდელის შექმნა რეალურ დროში ხელს უწყობს 1.5°C ნიშნულის მიღწევის პროცესში ხარვეზების გამოვლენას. ასეთი ხედვა დაგეხმარებათ სათბურის აირების საჭირო კომპენსაციისთვის ამოღების სტრატეგიის დანერგვაში.

ბიზნესში ინტეგრაცია

* აქ მოცემული ყველა ძირითადი ინდიკატორი (KPI) და საზომი მითითებითია და გამომდინარეობს არსებული ანგარიშგების სტანდარტებიდან. ყველა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს მიზნის შესამუშავებელი მექანიზმები საკუთარი ანგარიშგების მეთოდოლოგიის და ბიზნეს კონტექსტის შესაბამისად. შენიშვნა: მიდგომა შეარჩიეთ SBTi-სთან კონსულტაციით, სწორების უზრუნველსაყოფად

ბიზნეს სისტემების დიზაინი

როგორ შეგიძლიათ ემისიის გამოთვლებისათვის საჭირო მონაცემების მოგროვების ავტომატიზება?

KDD1

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

ტექნოლოგიები, როგორიცაა IoT და სენსორები, შეიძლება გამოყენებული იყოს სათბურის აირების ემისიების უფრო ეფექტიანი და ქმედითი მონიტორინგისთვის, ოფისში ენერგიის გამოყენებიდან დაწყებული, დამთავრებული ჭკვიანი წარმოებით. Ericsson მიისწრაფვის წარმოების ეფექტიანობის გაზრდისკენ მის საწარმოო ტერიტორიაზე ტალინში, რისთვისაც დანერგა IoT, 5G და გაფართოებული რეალობა (augmented reality - AR) სამუშაო გარემოს და აღჭურვილობის მონიტორინგისთვის. აღნიშნულმა არამარტო ობიექტის სტაბილურობაზე გავლენის დეტალური ანალიზის საშუალება მისცა, არამედ ასევე შექმნა შესაძლებლობა ეფექტიანობის 25%-ანი ზრდისთვის.[23]

შესაძლებელია შუალედური ნაბიჯების გადადგმა ემისიების კონტროლის ოპტიმიზაციისთვის, მაგალითად, ფინანსური სისტემის შემუშავება ენერგიის მოხმარების ინვოისების დასადგენად და ჭკვიანი ენერგიის მრიცხველებზე გადასვლა.

როგორ შეგიძლიათ ზუსტად გაზომოთ ემისიები მე-3 სფეროში (ღირებულებათა ჯაჭვი)?

KDD3

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

ნახშირბადის არაპირდაპირი გამოყოფის გაანგარიშება, როგორიცაა პროდუქტის გამოყენება და სიცოცხლის ბოლოს გადამუშავება, კვლავ გამოწვევაა კომპანიებისთვის. პირველი ნაბიჯი მოიცავს გამონაბოლქვის შეფასების გაანგარიშების მეთოდის განსაზღვრას, მაგალითად, გაყიდვების მონაცემებისა და მომხმარებლის ქცევის შესახებ გამოკითხვის მონაცემების გამოყენებით.

კომპანიები უნდა ისწრაფოდნენ უფრო ინტელექტუალური მონაცემთა შეგროვებისა და გაანგარიშებისაკენ მონაცემთა ნაკადის გაზრდით ბიზნესებს, პროდუქტებს და მომხმარებლებს შორის. მაგალითად, ერთ-ერთი ტექნოლოგიური კომპანია იყენებს IoT-სთან დაკავშირებულ პრინტერებს მოხმარებაზე თვალყურის დევნებით და მელნის ამოწურვის შემთხვევაში ავტომატურად მიწოდების მიზნით, რაც მომხმარებლებთან სიღრმისეული ურთიერთობის პოტენციალის დემონსტრირებას ახდენს.

როგორ შეგიძლიათ მომწოდებლებთან ინტეგრაცია ხილვადობის და ემისიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად?

KDD2

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

მომწოდებლის მართვის წამყვანი პროგრამული ინსტრუმენტები მხარს უჭერს მომწოდებლების ემისიების შესაბამისობის შემოწმებას და შეუძლია მესამე პირის ინსტრუმენტებთან ინტეგრირება მიმწოდებლის მდგრადი მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და მართვის მიზნით. Walmart მუშაობს მიწოდების ჯაჭვში ერთი გიგატონი სათბურის აირების შემცირებაზე 2030 წლისთვის, ხელს უწყობს მომწოდებლებს, მონაწილეობა მიიღონ THESIS-ში, მესამე პირის პროგრამაში, რომელიც აწარმოებს მომწოდებლების შეფასებას, მუშაობის მონიტორინგს და განსაზღვრავს გაუმჯობესების შესაძლებლობებს. [24]

ყველა ზომის კომპანიას შეუძლია შეიტანოს მოთხოვნები შესყიდვების პროცესში, რომლის მიზანია ნახშირბადის გაფრქვევაზე პასუხისმგებლობა, სადაც თქვენ მიერ შეძენილი მასალების მიწოდება ხდება ნახშირბადის გაფრქვევებთან შესაბამისობის მონაცემებით, რომელიც შემდეგ შესაძლებელია მიეწოდოთ კლიენტებს. პერსპექტივაში, დიდი ორგანიზაციები ცდილობენ გამოიყენონ ბლოკჩეინის ან ღრუბლოვანი ტექნოლოგიები ამ პროცესის ავტომატიზებისათვის.

როგორ ჩამოაყალიბებთ ერთიან სურათს ადგილობრივი წყლის გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ?

KDD4

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

კომპანიებს დღეისათვის უკვე შეუძლიათ დაიანგარიშონ სათბურის აირების ემისიები2030 წლამდე Excel-ზე დაფუძნებული ინსტრუმენტების საშუალებით, რომლებიც მოწოდებულია SBTi-ს მიერ (მაგალითად, ამოცანის დასახვის ინსტრუმენტი). შემცირების დონის გაზრდა, რომელიც საჭიროა 2030 წლისთვის 1.5°C ნიშნულთან სწორებისთვის, კრიტიკული მნიშვნელობისაა სტრატეგიული დაგეგმვისა და ნიშნულის მისაღწევად. მაგალითად, ანალიზი საშუალებას აძლევს კომპანიებს გააცნობიერონ სათბურის აირების ემისიის შემცირების სხვადასხვა სცენართან დაკავშირებული რისკები და შეამოწმონ საკუთარი საინვესტიციო შესაძლებლობები ამ სცენარების შესაბამისად და კაპიტალის განაწილების პრიორიტეტების დასადგენად.[25]

ეს ინსტრუმენტები ხშირად ეყრდნობა მონაცემთა ხელით შეყვანას. კომპანიებმა უნდა ჩართონ თავიანთი ტექნოლოგიური პარტნიორები სცენარის ანალიზის ოპტიმიზაციასა და ავტომატიზებაში, ანალიტიკური მოწინავე ინსტრუმენტების გამოყენებით, რეალურ დროში პროგნოზების მისაღებად და შესაძლებლობების დასადგენად.

[1] The United Nations Framework Convention on Climate Change, Paris Agreement (2016)
[2] Science Based Targets, SBTi
[3] Science-Based Target Setting Manual, SBTi
[4] Global Emissions, Center for Climate and Energy Solutions
[5] 2020 UNGC Anniversary Report
[6] Carbon majors, Climate Accountability Institute, 2019
[7] Global Carbon Budget 2019, Global Carbon Project
[8] Supply chains hold the key to one gigaton of emissions savings, finds new report, CDP, 2019
[9] Ibid
[10] WRI
[11] CDP Carbon Majors Report 2017
[12] Energy transition, IRENA
[13] Ibid
[14] Case study: Orsted, SBTi
[15] Global Environmental Policy, Salesforce
[16] Renewable Power Generation Costs in 2018, International Renewable Power Agency (IRENA)
[17] SBTi
[18] Six benefits of setting sciencebased targets, SBTi
[19] ICT solutions for 21st Century Challenges, Global e-Sustainability Initiative
[20] Our greenhouse gas footprint, Unilever
[21] UN Global Compact 2019 Progress Report
[22] Global Climate Analysis 2018, CDP
[23] Future Smart Mining, AngloAmerican
[24] Walmart Sustainability Index, The Sustainability Consortium
[25] The Use of Scenario Analysis in Disclosure of Climate-Related Risks and Opportunities, The Task Force on Climate-Related Financial Disclosures (TCFD)

United Nations Global Compact 20 years

In partnership with: accenture SAP 3M

ნიშნული (BENCHMARK)

რესურსების 100%-ით აღდგენა, ყველა მასალის და პროდუქტის აღდგენით და მოხმარების შემდეგ გადამუშავებით ან ხელახლა გამოყენებით

SDG გავლენა
6, 9, 11, 12, 13
15, 17

ვადა
2030

სფერო ☐ ოპერაციები ☒ პროდუქტი და მომსახურება ☒ ღირებულებათა ჯაჭვი

ინფორმაცია ნიშნულზე (BENCHMARK)

ეს ნიშნული მოითხოვს მასალებსა და პროდუქციაზე პასუხისმგებლობის გაფართოებას წარმოების შემდეგ ღირებულებათა ჯაჭვში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი დაბრუნება და გადამუშავება ან ხელახლა გამოყენება პრაქტიკაში. კომპანიებს შეუძლიათ პროდუქციის და მასალის აღდგენა წაახალისონ ახალი ცირკულარული ბიზნეს მოდელების და მომხმარებელთა წახალისების მექანიზმების შემოღებით (მათ შორის, პროდუქცია, როგორც სერვისი და უკან ჩაბარება), ინდუსტრიის ეკოსისტემის ჩამოყალიბებით, უკუ-ლოჯისტიკის და მეორეული ბაზრებისთვის, და ახალ შესაძლებლობებში ინვესტირებით, როგორიცაა აქტივებზე თვალყურის დევნება და მასალების გადამუშავება. ეს ნიშნული ეხება კომპანიის პროდუქტებსა და მომსახურებებს, ისევე, როგორც ღირებულებათა ჯაჭვს. 100%-იანი რესურსების აღდგენის ვადა ემთხვევა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის 2030 წლის ვადას.

ბიზნეს გავლენა წყალზე

დღეისათვის მასალების და პროდუქციის უმრავლესობის აღდგენა, ხელახლა გამოყენება ან გადამუშავება არ ხდება; ამის ნაცვლად მათ ყრიან. გლობალურად, მაგალითად, პლასტმასის 14% გროვდება გადამუშავებისთვის და მხოლოდ 2% შედის დახურული გადამუშავების ნაკადებში. შესაფუთი მასალების დიდი მოცულობა ოკეანეში ხვდება; თუ გადაუდებელ ნაბიჯებს არ გადავდგამთ, 250 მილიონ ტონაზე მეტი პლასტმასი აღმოჩნდება საზღვაო სისტემებში 2025 წლისთვის.

მასალის გაფართოებული მოხმარებისა და აღდგენის მოდელები იძლევა ბიზნესის გაუმჯობესების შესაძლებლობებსაც. ზოგიერთი გამოთვლით, ხელახლა გამოყენება, როგორც ნედლეულის აღდგენის გზა, შეიძლება იძლეოდეს 25-დან 50%-მდე დანაზოგს. ელენ მაკარტურის ფონდი (EMF) აერთიანებს ბიზნესის წარმომადგენლებს, ინოვატორებს, ქალაქებსა და მთავრობებს, უნივერსიტეტებსა და ლიდერებს ცირკულარული ეკონომიკის საკითხების ირგვლივ. იგი მოიცავს 130-ზე მეტ წევრ კომპანიას.

შეფასება ნიშნულთან მიმართებით

ნიშნულის - მდგრადი შენატანების წილი 2030 წლისთვის, - შესრულება შეიძლება შეფასდეს SDG 12 და 14-ის ამოცანების, ოკეანის კონსერვირების Plastics Policy Playbook-ის[1] და გლობალური Plastics Pact Initiative-ის[2] მიხედვით. ამ ნიშნულზე ვალდებულების აღება ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების არაერთ მიზანს, მათ შორის მე-14 მიზანს: „წყალქვეშა სიცოცხლე“. ბიზნესები, რომელთაც არ ექნებათ მიზნები 2030 წლისთვის 100%-იანი მდგრადი შენატანების მისაღწევად, ჩამორჩება SDG Ambition-ის ნიშნულს.

ელექტრონული ნარჩენის
20% გამოიყენება ხელახლა ან შესაბამისად გადამუშავდება[5]

ტანსაცმლის
1% გადამუშავდება კვლავ ტანსაცმლად, 73% კი ნაგავსაყრელებზე გადის[6]

უკუ-ლოჯისტიკის ბაზრის მოსალოდნელი ზომა
$600 მილიარდია[7]

ინდუსტრიის საილუსტრაციო გავლენა

ტექნოლოგია და ტელეკომუნიკაციები: ყოველწლიურად წარმოიქმნება 50 მილიონი ტონა ელექტრონული ნარჩენი (E-Waste), რაც 60 მილიარდ აშშ დოლარზე მეტადაა შეფასებული.[3] ინდუსტრიულ ინიციატივებს შეუძლიათ საკმაოდ დიდი ღირებულების შესაძლებლობის გამოყენება ეფექტიანი უკუ-ლოჯისტიკის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებით, რათა ხელი შეეწყოს ჩაბარებას, ხელახალ გამოყენებას, შეკეთებას და გადამუშავებას.

წიაღის მოპოვება: ფოლადის 50%-ზე მეტი აშშ-ში გადამუშავებას ექვემდებარება.[4] მეტალის აღდგენა, გადამუშავება და ხელახალი გამოყენება გავლენას მოახდენს მეტალის ღირებულებათა ჯაჭვზე დამატებით, რადგან აღდგენილი მასალები სტანდარტად იქცევა. მომპოვებელ კომპანიებს შეუძლიათ გადადნობის შესაძლებლობები გამოიყენონ მეორეული მასალისთვის და უკეთესი საბაზრო და წარმოების შემდგომი თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად.

კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ

VEOLIA

Veolia ეხმარება კლიენტებს მართონ ნარჩენები და აღადგინონ ღირებულება. კომპანიის ცირკულარული ეკონომიკის შემოსავლის 60% დაკავშირებულია გადამუშავებასა და მასალის აღდგენასთან. Selfridges-თან, ბრიტანულ საოჯახო მაღაზიასთან პარტნიორობით Veolia-მ გამოყენებული ყავის ჭიქების ბოჭკოების გადამუშავებით დაამზადა ჩანთები, გადამუშავების მაჩვენებელი გაასამმაგა 15%-დან 55%-მდე და მიაღწია ნაგავსაყრელებიდან გადამისამართების 100%-ს. [8]

PHILIPS

PHILIPS იღებს ვალდებულებას შეკრას მასალების წრე დიდი სამედიცინო აპარატურის სისტემებში, და პირობას დებს, რომ უკან ჩაიბარებს და ახალი ფუნქციით გამოიყენებს ყველა დიდ სამედიცინო სისტემას, რომელსაც მომხმარებლები დაუბრუნებენ. 2019 წელს PHILIPS-მა გამოიმუშავა მთლიანი შემოსავლის 13% ცირკულარული პროდუქტით და მომსახურებებით. [9]

ARCELORMITTAL

ArcelorMittal მართავს ფოლადის ფირფიტების ფენების გაქირავების სერვისს. პროდუქტი ინარჩუნებს საწყის მახასიათებლებს რამდენიმე მოხმარებისთვის და ერთი ფირფიტის ფენა თითქმის 10-ჯერ შეიძლება იყოს გამოყენებული გადამუშავებამდე.[10]

ღირებულება ბიზნესისთვის

პროდუქტი, როგორც მომსახურების ბიზნეს მოდელი ქმნის გაზრდილი შემოსავლის შესაძლებლობას ახალი ბიზნეს მოდელებისგან, ახალ მომხმარებლებზე და ახალ ბაზრებზე გასვლით. რესურსების გადამუშავება საშუალებას აძლევს კომპანიებს, შეამცირონ მიწოდების ხარჯები დროთა განმავლობაში. ერთ-ერთმა გლობალურმა ინდუსტრიულმა კომპანიამ შეინარჩუნა 170 მილიონი ფუნტი მასალა კომპონენტების დაბრუნების და ხელახლა წარმოების ინიციატივით.[11] დედამიწის გარშემო არაერთი სახელმწიფო, მათ შორის ჩინეთი და ევროკავშირი, იწყებენ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების რეგულირებას; ასეთი პრაქტიკების დამნერგავი კომპანიები სარგებელს ნახავენ განვითარებადი მარეგულირებელი გარემოს მიერ გამოწვეული მზარდი ხარჯების რისკების შემცირებაშიც.

ძირითადი რესურსები

- **Ocean Conservancy Plastics Policy Playbook**
- **The Circular Economy Handbook**
- **Ellen MacArthur Foundation**
- **Platform for Accelerating the Circular Economy**
- **World Resources Institute**

წინასწარი მოქმედებები

განსაზღვრეთ აღდგენის შესაბამისი მეთოდები: ჩაატარეთ სასიცოცხლო ციკლის შეფასება, რათა განსაზღვროთ, როგორ შეიძლება აღდგეს მასალები და პროდუქცია და რამდენად არის ხელახლა გამოყენება ან გადამუშავება შესაბამისი.

მონაცემთა მართვა და მეორადი ბაზრები: განავითარეთ ზუსტი მონაცემების მოგროვების შესაძლებლობები პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, რათა დანერგოთ მიზანმიმართული ჩარევები, განსაზღვრეთ დამატებითი მასალები და შეარჩიეთ მეორადი ბაზრები.

დასაქმებულთა და მომხმარებელთა ჩართულობა: გააძლიერეთ ცნობიერება და ცოდნა „ჩაბარების“ პროგრამების ღირებულების შესახებ მომხმარებლებს შორის, რათა გაზარდოთ ეფექტიანობა, ასევე თანამშრომლებს შორის, რათა მათი სამუშაოს შესრულების შეფასება შესაბამისად ჩამოყალიბდეს.

ინტეგრირების სირთულე*

ინტეგრაციის გაგება

სწორხაზოვან ეკონომიკურ მოდელში კომპანიებზე მცირე ზეწოლა იყო გაყიდვის შემდგომ პროდუქციის და შეფუთვის შეფასების თაობაზე. რაც უფრო მეტად ნერგავენ კომპანიები ცირკულარულ ეკონომიკას ძირითად ბიზნეს სტრატეგიასა და კულტურაში, მით უფრო უნდა შეაფასონ მასალების ნაკადები და პროდუქტების დაბრუნების სტრატეგია, რათა მიიღონ ღირებულება. წარმოებული მასალების 100%-ის აღსადგენად ლიდერებმა ფუნდამენტურად ინოვაციური მიდგომებით უნდა განაახლონ ბიზნესი, გამოიყენონ ტექნოლოგიები მომხმარებლებთან, პარტნიორებთან და პროდუქციასთან ახალი ურთიერთობის დასამყარებლად. ციფრული ტექნოლოგიების ახალი და იმედის მომცემი გამოყენება, როგორიცაა RFID, ბლოკჩეინი და ციფრული ტვინინგი, საშუალებას აძლევს ბიზნესებს თვალყური ადევნონ მასალებს გაყიდვის შემდეგ, რაც ადრე შეუძლებელი იყო. გაზრდილი ამბიციის თანხვედრა რესურსების აღდგენასთან გაზრდილი ინოვაციით, რომლებიც ჩართულია ცენტრალურ ბიზნეს სისტემებში, მთავარი გასაღებია ახალი მოდელების და მომხმარებელთა შეთავაზებებისთვის მონაცემთა ნაკადის წარმოებისთვის.

ინტეგრირების მაგალითები

მიწოდების ჯაჭვის დახურული წრე

ისეთი სისტემების ჩამოყალიბებით, რომელიც ხელს უწყობს შეგროვების პროგრამებს და უკუ-ლოჯისტიკის პროცესებს, კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი პროდუქტიდან ისევ მიწოდების ჯაჭვში მასალების ხელახალი შეტანის (re-input) შესაძლებლობები, რაც ზოგავს როგორც მასალას, ასევე ხარჯებს. Apple იყენებს საერთაშორისო Trade-In პროგრამას, რათა iPhone-ებს ახალი სიცოცხლე მისცეს. მასალების აღდგენის მაღალი მაჩვენებლების მიღწევით Apple-მა განავითარა რობოტები Liam, Daisy და ახლა Dave, რომლებიც შლიან მოწყობილობებს, რათა ძვირფასი მეტალები აღადგინონ, რაც ახალი მოწყობილობების წარმოებისთვის გამოიყენება.[12]

ციფრული მიკვლევა

ზოგიერთი ინდუსტრია თვალყურის დევნების ტექნოლოგიების ინოვაციურ გამოყენებას პოულობს, რათა მიაკვლიოს მასალებს მოხმარების შემდეგ. სტარტაპი EON, მაგალითად, მუშაობს წამყვანი მოდის ბრენდებთან ერთად CircularID პროტოკოლზე, რომელიც ყველა პროდუქციას უნიკალურ ციფრულ პროფილს მიანიჭებს და შესაძლებელს გახდის კომპანიებისთვის პროდუქცია და მასალები დაიბრუნოს და ხელახლა გამოიყენოს. [13]

აღმასრულებელი რგოლის (C-SUITE) კუთვნილება

ინოვაციების აღმასრულებელი ოფიცერი

გზა ინტეგრაციისკენ

კომპანიებს შეუძლიათ ტექნოლოგიური პარტნიორების ჩართულობით ჩამოაყალიბონ ბიზნეს სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მონაცემთა მიმოცვლას მასალებზე გაყიდვის შემდეგ. ამით კომპანიებს შეუძლიათ მიაღწიონ ისეთ შედეგებს, როგორიცაა:

გადამუშავების დიზაინი

პროდუქციაში გამოყენებული მასალების გადამუშავებისთვის საჭირო სპეციფიური მოთხოვნების გააზრებას შეუძლია პროდუქტის დიზაინის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ინფორმირება და რესურსების აღდგენის გაზრდა.

მომხმარებლის ახალი შეთავაზებები

პროდუქტი, როგორც მომსახურება (product-as-a-service) და პროდუქციის სიცოცხლის გახანგრძლივების (product-life-extension) მოდელები ეყრდნობა მომხმარებელთან ახალ ურთიერთობას, რომელიც დამოკიდებულია პროდუქტის გამოყენების შეფასების და მართვის ინოვაციურ სისტემებზე.

უკუ-ლოჯისტიკა

ისეთი სისტემების ჩამოყალიბება, რომლებიც ეყრდნობა პარტნიორების ჭკვიანურ ქსელებს, რათა შეგროვდეს პროდუქცია სიცოცხლის ბოლოს და დაბრუნდეს საწარმოში მასალების აღდგენისთვის.

80-90%

ნედლეული მასალის 80-90%-მდე შემცირებაა შესაძლებელი სამ ინდუსტრიულ სექტორში პროდუქტის სიცოცხლის გახანგრძლივებით აშშ-ში, ჩინეთში, ბრაზილიასა და გერმანიაში [14]

2%

ამჟამინდელი ხელახალი წარმოების წილი შეერთებული შტატების წარმოების 2%-ია, ევროპაში კი მხოლოდ 1.9% [15]

SDG AMBITION-ის მიდგომა

ამბიციის გაზრდა

განსაზღვრეთ შესაბამისი ნიშნული პრიორიტეტების მიხედვით

ნიშნულის ამბიციის დონესთან შესაბამისი ახალი მიზანი

გზები

პროდუქტის შეფასება
პროდუქტის და მომსახურების დიზაინში მოხმარების შემდგომი აღდგენის, გადამუშავების და ხელახლა გამოყენების გათვალისწინება

ახალი ბიზნეს მოდელები
ახალი შეთავაზებების განვითარება, რომლებიც ზრდიან პროდუქტის და შეფუთვის აღდგენის კონტროლს

შეგროვება და გადამუშავება
ხელახლა გამოყენებადი მასალების კვლავ მოპოვება გადამუშავების და მიწოდების ჯაჭვში ხელახლა ჩაშვებისათვის

მოქმედების მაგალითები

პროდუქტის შეფასება:

შექმენით პროდუქტის დიზაინის კრიტერიუმები, რომლებიც მოითხოვს გადამუშავებადი და განახლებადი მასალის გამოყენებას

სავალდებულო გახადეთ გადამუშავების შეფასება პროდუქტებში / სერვისებში, რათა შეამოწმოთ სიცოცხლის ბოლოს გადარჩევის, დამუშავების და აღდგენის შესაძლებლობა

ახალი ბიზნეს მოდელები:

განავითარეთ პროდუქტის, როგორც მომსახურების (PaaS) შეთავაზებები, როგორიცაა იჯარით ან გაქირავებით მომსახურება, ნაცვლად ერთჯერადი გაყიდვისა, რათა გაამარტივოთ დაბრუნება და გადამუშავება

განავითარეთ პროდუქტის და მომსახურების შეთავაზებები ხელახლა წარმოებისა და შეკეთებისათვის, პროდუქტის კუთვნილების, გამოყენების და სასიცოცხლო ციკლის მიკვლევით

შეგროვება და გადამუშავება:

განავითარეთ უკუ მიწოდების ჯაჭვის შესაძლებლობა, მაგ. დიდი მონაცემების და დადგენის ტექნოლოგიებით მასალების დაბრუნების ხელშეწყობისათვის

დანერგეთ გაყიდვების და მომხმარებელთა წახალისების მექანიზმები მოხმარების შემდეგ პროდუქციის დაბრუნების გასაზრდელად

განავითარეთ გადამუშავების ინფრასტრუქტურა დაბრუნებული მასალის შეგროვების და დახარისხებისთვის

შედეგები

- განახლებადი და გადამუშავებული მასალის შეტანის ზრდა პროდუქციის მიხედვით
- ცირკულარული მოდელების შემოსავლების ზრდა
- პროდუქციის შეგროვების და გადამუშავების ზრდა

საზომი*

ფუნდამენტური: მასალები, რომლებიც გამოიყენება წარმოების ან შეფუთვისთვის; ჯამური განახლებადი მასალები პროდუქტის მიხედვით

სასურველი: პროდუქტის გადამუშავების შეფასება; პროდუქტის მასალის შენატანი, რომლებიც არაა აღდგენადი

ფუნდამენტური: ბიზნეს მოდელის მიხედვით გამომუშავებული შემოსავალი; პროდუქციის აღდგენა ბიზნეს მოდელის მიხედვით; პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი პროდუქტის ტიპის მიხედვით

სასურველი: მომხმარებელთა გადასვლა ახალ შეთავაზებაზე; მომხმარებელთა წუხილი შეთავაზების ტიპის მიხედვით

ფუნდამენტური: ჯამურად შეგროვებული და გადამუშავებული მასალა; შეგროვების ადგილები და პროგრამები ტიპების მიხედვით; გადამუშავების დახურული წრე

სასურველი: მასალების აღდგენა დაყოფილი შემდგომი გამოყენების მიხედვით; წმინდა ენერგია გადამუშავებისგან; გადამუშავების წმინდა ფასი

ბიზნეს ფუნქცია

პროდუქტის დიზაინი	შესყიდვები და მიწოდების ჯაჭვი	ნარჩენების მართვა	დაბრუნების მართვა	გაყიდვები და მარკეტინგი	გარემოსდაცვითი მენეჯმენტი

სისტემური შესაძლებლობები

შეფუთვის და პროდუქტის დიზაინი
განსაზღვრეთ ახალი შესაძლებლობები პროდუქციის და შეფუთვის გადამუშავებადობის გასაგებად, ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა დაშლის სიმარტივე, არსებული გადამუშავების ინფრასტრუქტურა და მასალების შენარევები.

მომხმარებლებთან ახალი ურთიერთობა
გააღრმავეთ მომხმარებლებთან ურთიერთობა, რათა გაიაზროთ პროდუქტის მოხმარების და მასალების ნაკადები და ჩამოაყალიბოთ შემოსავლის ახალი წყაროები.

დაბრუნების, დამუშავების და გადამუშავების ქსელი
საცალო გაყიდვების და სერვისის მიმწოდებლების ინტეგრირება უკუ-ლოჯისტიკაში ან გადამუშავებაში, რაც საშუალებას იძლევა წარმოებიდან მოხმარებამდე მოხმარების შემდგომ დაბრუნებისათვის

მთავარი გადაწყვეტილებები (KDD)

KDD1

როგორ შეგიძლიათ გადამუშავებადობის პრიორიტეტიზაცია პროდუქციის და შეფუთვის დიზაინსა და მასალების შერჩევაში?

პროდუქტების და შეფუთვის გადამუშავებადობის შეფასება პრაქტიკაში ანალიტიკური მექანიზმებით ხსნის ბევრად დიდ შესაძლებლობებს მონიშნოთ მახასიათებლები მასალების მართვის სისტემაში და დაადგინოთ გადამუშავების კრიტერიუმი კვლევებსა და განვითარებაში და პროდუქტის დიზაინში.

KDD2

როგორ შეიძლება რესურსების აღდგენა მომხმარებელთა შეთავაზებებში გაერთიანდეს?

პროდუქტის შესახებ გაზრდილ ხილვადობას შეუძლია გახსნას შემოსავლების ახალი წყაროები ბიზნესებისთვის, რომლებიც ფოკუსირდებიან გამოყენებულ მასალებზე, როგორიცაა პროდუქციის სიცოცხლის გაზრდის მოდელები შეკეთებით და ხელახლა წარმოებით და პროდუქტის, როგორც მომსახურების მოდელებით, რაც გაქირავებას და საკუთრების შენარჩუნებას ემყარება.

KDD3

როგორ შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ ღირებულების საუკეთესო გამოყენებას მასალების აღდგენიდან და გადამუშავებიდან ?

მაღალი ღირებულების ხელახლა გამოჭერის და პროდუქტის მოხმარების შემდგომ გადამუშავების დახურული წრის უზრუნველყოფა ეყრდნობა პროდუქტის დაბრუნების საწყისიდან ბოლო წერტილამდე სისტემებს, მასალების დახარისხებას და დამუშავებას და გაუმჯობესებულ გადამუშავებას. ბიზნეს სისტემებს შეუძლიათ მრავალი პარტნიორის და მასალის ნაკადებზე დამყარებული მონაცემების ინტეგრირება.

ბიზნესში ინტეგრაცია

* აქ მოცემული ყველა ძირითადი ინდიკატორი (KPI) და საზომი მითითებითია და გამომდინარეობს არსებული ანგარიშგების სტანდარტებიდან. ყველა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს მიზნის შესამუშავებელი მექანიზმები საკუთარი ანგარიშგების მეთოდოლოგიის და ბიზნეს კონტექსტის შესაბამისად. შენიშვნა: მიდგომა შეარჩიეთ SBTi-სთან კონსულტაციით, სწორების უზრუნველსაყოფად

ბიზნეს სისტემების დიზაინი

როგორ შეგიძლიათ გადამუშავებადობის პრიორიტეტიზაცია პროდუქციის და შეფუთვის დიზაინსა და მასალების შერჩევაში?

KDD1

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

პროდუქტის აღდგენის შესაძლებლობაზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, როგორიცაა მასალის შენატანი, დაშლის სიმარტივე და არსებული გადამუშავების ინფრასტრუქტურა. პროდუქტის და შეფუთვის შეფასება იმ გავლენის თვალსაზრისით, რაც რესურსების აღდგენაზე აქვს, საჭიროებს კომპანიის კუთვნილი მასალების შესახებ მონაცემების და გარე მონაცემთა გაერთიანებას შიდა კორპორაციული მასალების მონაცემთა ბაზაში. არსებობს ახალი, განვითარებადი ინსტრუმენტები, რომლებიც ამ ყველაფერს ხელს უწყობს, როგორიცაა მასალების ცირკულარობის ინდიკატორი (MCI), ელენ მაკარტურის ფონდის და გრანტა დიზაინის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტი.

ბიზნესებმა ისე უნდა ჩამოაყალიბონ ძირითადი ბიზნეს სისტემები - როგორიცაა, მასალების მართვის და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, - რომ ეს მონაცემები გაითვალისწინონ, მასალის და პროდუქციის მახასიათებლების ცირკულარულობის მიხედვით მონიშვნით. ამ გზით შესაძლებელი ხდება ცალკეული მასალების და დიზაინის პრიორიტეტულობის განსაზღვრა, ისევე, როგორც რესურსების აღდგენის ამოცანების და კრიტერიუმების დადგენა.

როგორ შეიძლება რესურსების აღდგენა მომხმარებელთა შეთავაზებებში გაერთიანდეს?

KDD2

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

რესურსების აღდგენა დამოკიდებულია ბიზნეს მოდელებზე, რომლებიც საშუალებას იძლევა მიღებული ნაწარმი დაუბრუნდეს კომპანიას ხელახლა გამოყენებისათვის. კომპანიებს შეუძლიათ მიისწარფოდნენ ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურებების შეთავაზებისკენ, ისეთი ტექნოლოგიების ინკორპორირებით, რომლებიც ფოკუსირებულია გაყიდვის შემდეგ მასალის გამოყენების ხილვადობაზე. ახალი შესაძლებლობები, რომლებიც ხელს უწყობს მონაცემთა ცვლას მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის, ინოვაციების გზით, როგორიცაა დაკავშირებული მოწყობილობები, ეხმარება კომპანიებს მასალების დაბრუნების ან პროდუქტის სიცოცხლის ციკლის გაზრდაში.

Caterpillar-მა, მაგალითად, განავითარა შეკეთების ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, დააკვირდეს აპარატურის მდგომარეობას და მუშაობის ხარისხს. ტექნოლოგია ავტომატურად აღმოაჩენს პოტენციურ პრობლემებს და მომხმარებელს აკავშირებს ადგილობრივ მიმწოდებლებთან შეკეთებისთვის. ეს, შეკეთების და ხელახლა წარმოების სხვა შეთავაზებებთან ერთად, საშუალებას იძლევა გახანგრძლივდეს პროდუქტის საციცოცხლო ციკლი, ამცირებს მომხმარებლის ხარჯებს და ხსნის შემოსავლის ახალ წყაროებს. [16]

როგორ შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ ღირებულების საუკეთესო გამოყენებას მასალების აღდგენიდან და რეციკლირებიდან?

KDD3

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

რესურსების აღდგენა ბევრი მასალისთვის რომ იყოს შესაძლებელი, კომპანიებმა უნდა ჩამოაყალიბონ ღირებულებათა ჯაჭვში ქსელი, რომელიც ხელს შეუწყობს მასალის უკუ-ნაკადებს, ისევე, როგორც რეციკლირებისთვის დახარისხებას და გადამუშავებას. ზოგიერთ კომპანიას შეუძლია არსებული პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენოს ამისათვის. მაგალითად, დაბრუნებების მართვის კომპანია ZigZag-მა დაამატა “Take Back” ფუნქცია პლატფორმას, რომელიც მოდის საცალო მოვაჭრეებს სთავაზობს დაბრუნებული ნივთების გადამუშავებას და ხელახლა გაყიდვას.[17]

მომხმარებელთა მიერ დაბრუნების გარდა, რესურსების აღდგენის მნიშვნელოვანი ბარიერები არსებობს გადასამუშავებელი მასალების დახარისხების და გადამუშავების სისტემებში. Jaguar Land Rover ინვესტირებას აკეთებს ცირკულარულ ეკონომიკაში Reality პროექტით, რომელიც Axiom-თან პარტნიორობით აერთიანებს მაღალი დონის სენსორულ ტექნოლოგიას დახურული წრის პროცესში, რათა ჯართში ჩაბარებული სატრანსპორტო საშუალების ალუმინი პროდუქციის წარმოებაში ხელახლა ჩაერთოს.[18] კომპანიები უნდა ცდილობდნენ ისეთი სისტემების ჩამოყალიბებას, რომლებიც ასეთ პარტნიორობებს და ახალ პროცესებს მართავს მასალების აღსადგენად, იძლევიან აღდგენილი რესურსების უკეთეს გააზრებას და ღირებულებათა ჯაჭვში მათი ხელახლა ჩაბრუნების ოპტიმიზების შესაძლებლობებს სთავაზობს კომპანიებს.

[1] Plastics Policy Playbook, Ocean Conservancy, 2019

[2] Plastics Pact, Ellen MacArthur Foundation

[3] No Time to E-Waste, Accenture, 2020

[4] Why Scrap Metal Recyclers Need to Know Their Steels, ThermoFisher Scientific, 2016

[5] New Plastics Economy, Ellen Macarthur Foundation, 2016

[6] The Future of Circular Fashion, Accenture and Fashion for Good, 2019

[7] Reverse Logistics: Reverse Logistics Market, Allied Market Research, 2017

[8] Helping Selfridges realise their ambition to treat waste as a resource, Veolia

[9] https://www.philips.com/a-w/about/sustainability/sustainable-planet/circular-economy.html

[10] Circular Economy, ArcelorMittal

[11] “Moving mountains for Earth’s sake at Caterpillar,” Greenbiz, 2013

[12] A planet-size plan, Apple

[13] CircularID Protocol, Eon

[14] Re-defining Value - The Manufacturing Revolution, UNEP International Resource Panel

[15] Ibid

[16] https://www.macallister.com/technology-and-equipmentmaintenance/

[17] https://www.zigzag.global/aboutus/sustainability/

[18] https://media.jaguarlandrover.com/news/2020/08/jaguar-land-roverup-cycles-aluminium-cut-carbonemissions-quarter

United Nations Global Compact 20 years

In partnership with: accenture SAP 3M

ნიშნული (BENCHMARK)

დეგრადაციისგან ნეიტრალური მიწა ტყის საფარის ნულოვანი კარგვის ჩათვლით

SDG გავლენა
3, 6, 9, 12, 13

ვადა
2030

სფერო ▣ ოპერაციები ▣ პროდუქტი და მომსახურება ▣ ღირებულებათა ჯაჭვი

ინფორმაცია ნიშნულზე (BENCHMARK)

ეს ნიშნული - დეგრადაციისგან ნეიტრალური მიწა, ტყის საფარის ნულოვანი კარგვის ჩათვლით - ხელს უწყობს მიწის კონსერვაციის პრაქტიკებს ბიზნეს აქტივობებით გამოწვეული ზემოქმედების საწინააღმდეგოდ. დეგრადაციისგან ნეიტრალური მიწა (LDN) განისაზღვრება, როგორც „მდგომარეობა, რომელშიც მიწის რესურსების რაოდენობა და ხარისხი, რომლებიც საჭიროა ეკოსისტემის ფუნქციების და მომსახურებების დასახმარებლად და სურსათის უვნებლობის გასაუმჯობესებლად, სტაბილური რჩება ან იზრდება კონკრეტული დროებითი და სივრცული მასშტაბებისა და ეკოსისტემების მიმართ“.[1] ნულოვანი ტყის საფარის კარგვის პრინციპები საშუალებას იძლევა ტყეები გადანაწილდეს თანაბარ ადგილებში. ნიშნული ეხმარება ბიზნესებს, შეინარჩუნონ ან გაზარდონ მიწის ბუნებრივი კაპიტალი და მასთან დაკავშირებული ეკოსისტემის მომსახურება.

ტყის საფარის დაკარგვა საფრთხეს უქმნის ხმელეთის ფლორისა და ფაუნის 80%-ზე მეტის გადარჩენას და მასზე ასევე მოდის გლობალური CO2-ის ემისიების 15%.[2] ნიშნული ხელს უწყობს ბიზნესს, განსაზღვროს თავისი ზემოქმედება მიწაზე და გამოიყენოს ინოვაციური მეთოდები მიწისა და ჰაბიტატების დაკარგვის შეკავების, როგორც საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული ბიზნესის საქმიანობის პირდაპირი შედეგი, ასევე ღირებულებათა ჯაჭვში. დეგრადაციისგან ნეიტრალური მიწის მიღწევის ვადებს, ტყის საფარის ნულოვანი კარგვის ჩათვლით, განსაზღვრავს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი.

ინდუსტრიის საილუსტრაციო გავლენა

სოფლის მეურნეობა: სოფლის მეურნეობის წარმოებაზე მოდის ტროპიკული და სუბტროპიკული ტყეების კარგვის 80%.[7] არსებული ტყეების დასაცავად კომპანიებმა უნდა განავითარონ სოფლის მეურნეობის წარმოების ალტერნატიული საშუალებები, გაზარდონ ეფექტიანობა და შეასრულონ შესაბამისობის პროგრამები მიწოდების ჯაჭვებში, რომელშიც ჩართული არიან მცირე მწარმოებლები, ადგილობრივი თემები და დაინტერესებული მხარეები.

წიაღისეულის მოპოვება: წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული ტყეების დაკარგვამ 2005-დან 2015 წლამდე ამაზონის ტყის საფარის დაკარგვის დაახლოებით 10% შეადგინა, ტყეების გაჩეხვა ხშირად ხდებოდა უბნის გარეთ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ადეკვატური ინფრასტრუქტურის აშენება.[8] სატყეო რეგიონებში მოქმედმა წიაღისეულის მომპოვებელმა კომპანიებმა თავისი საქმიანობის გავლენის შესამცირებლად ვალდებულება უნდა აიღონ ტყის საფარის კარგვის აღმოფხვრასა და ისეთი ტექნიკის ადაპტირებაზე, როგორიცაა ტყის ლანდშაფტის აღდგენა.

ბიზნეს გავლენა ტყის საფარის კარგვაზე

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი მიზეზები, როგორიცაა ხანძარი და მცირე მასშტაბით შეშის შეგროვება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს დანაკარგებში, ბიზნეს საქმიანობა ტყის საფარის და მიწის ჰაბიტატების კარგვის ძირითადი წყაროა. ტყის საფარის კარგვა მრავალ რეგიონში იზრდება ჩქარი ტემპებით. არაერთი ინიციატივა მუშაობს კერძო სექტორთან პარტნიორობით მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ. მდგრადი პალმის ზეთის მრგვალ მაგიდას (RSPO) 4000-ზე მეტი წევრი ჰყავს, რომლებიც პალმის ზეთის კულტივაციის გლობალური სტანდარტების შემუშავებაზე მუშაობენ; ამ სექტორმა მხოლოდ ინდონეზიაში 2016 წელს 31 მილიონი ჰექტარი ტყის დაკარგვა გამოიწვია.[3] ანალოგიურად, სატყეო მეურნეობაზე ცენტრალიზებულმა 12 კომპანიამ, მდგრადი განვითარების მსოფლიო ბიზნეს საბჭოსთან (WBCSD) ერთად წამოიწყო ტყის სექტორის ღირებულების ჯაჭვის გლობალური პლატფორმა Forest Solutions Group.

ყოველ წამში იკარგება
7a^2 ხის საფარი, ყოველწლიურად თითქმის
25 მილიონი ჰექტარი.[4]

გლობალური ემისიების
8% ამჟამად მოდის ტროპიკულ ტყეებში ხეების საფარის დაკარგვაზე; ამავე ტყეებს შეუძლიათ უზრუნველყონ კლიმატის ცვლილების შემსუბუქება 23%-ით, რისი მიღწევაც 2030 წლისთვისაა საჭირო.[5]

ყოველწლიურად სახნავ-სათესი მიწებიდან
75 მილიარდი ტონა ნიადაგი იკარგება და სოფლის მეურნეობის სავარაუდო დანაკარგი 400 მილიარდ დოლარს შეადგენს.[6]

კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ

NATURA

Natura გეგმავს მთლიანი ნედლეულის 30%-ის მდგრად მოპოვებას ამაზონის ტროპიკული ტყეებიდან 2020 წლისთვის. 2020 წლის ბოლოსთვის იგი ასევე ცდილობს ერთი მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალის გენერირებას რეგიონში. Natura-მ შეიმუშავა ინკლუზიური ბიზნეს მოდელი მთელი რიგი პროდუქტებისთვის, რომლებიც იყენებს ტრადიციულ საზოგადოებრივ ცოდნას ბიომრავალფეროვნების აქტივების გაანგარიშების პრაქტიკაში მისაღებად, ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებით. [9]

L'ORÉAL

L'Oréal-მა დაისახა ტყის საფარის ნულოვანი კარგვის ამოცანა 2014 წელს, რომლის მიზანი იყო სოიოს და პალმის ზეთის 100%-ის ტყის საფარის დაკარგვისგან თავისუფალი მოპოვება 2020 წლის ბოლოსთვის. L'Oreal აქვეყნებს პროგრესის რეგულარულ ანგარიშებს შესაბამისი ეტაპებით, მან შეიმუშავა საკუთარი მექანიზმი გადამამუშავებელი საწარმოების შესაფასებლად. [10]

TESCO

Tesco-მ აიღო ვალდებულება, 2025 წლისთვის მიაღწიოს სამეურნეო ნედლეულის მოპოვების პროცესში ტყის საფარის ნულოვან კარგვას. მათ განახორციელეს ტყის გაჩეხვის ნულოვანი გეგმა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სოიოს მარცვლებმა, რომლებიც ცხოველების საკვებად გამოიყენება დიდი ბრიტანეთის მიწოდების ჯაჭვში, დააკმაყოფილოს ტყის საფარის ნულოვანი კარგვის კრიტერიუმები.[11]

შეფასება ნიშნულთან მიმართებით

ნიშნულის - დეგრადაციისგან ნეიტრალური მიწის მიღწევა 2030 წლისთვის ტყის საფარის ნულოვანი დაკარგვის ჩათვლით - შესრულება შეიძლება შეფასდეს გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის (UNCCD) სახელმძღვანელოს შესაბამისად, რომელიც ერთადერთი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც უკავშირდება გარემოსა და მიწის მდგრადი მართვის გაუმჯობესებას.[12] დღეს რამდენიმე ბიზნესმა - მხოლოდ 21%-მა - მიანიჭა პრიორიტეტი SDG 15-ს, „სიცოცხლე ხმელეთზე" თავის მდგრადობის სტრატეგიაში,[13] მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი სატყეო მენეჯმენტი და ნიადაგის სიჯანსაღე ან რეგენერაციული მართვის პრაქტიკა ბიზნესისთვის კრიტიკულია. ბიზნესი, რომელიც ამჟამად არ არის 2030 წლისთვის დეგრადაციისგან ნეიტრალური მიწის, მათ შორის, ტყის საფარის ნულოვანი დაკარგვის გზაზე, მოექცევა SDG Ambition-ის ნიშნულის ქვემოთ.

ღირებულება ბიზნესისთვის

ინიციატივებში, როგორიცაა ტყის საფარის კარგვის ნულოვანი ნიშნულის ზონები, მონაწილეობამ შეიძლება შეამციროს მონიტორინგის ხარჯები და უზრუნველყოს პრემიუმ ფასები მიწოდების ჯაჭვში ჩაბმული კომპანიებისათვის.[14] 2018 წელს სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთმა ქვეყანამ დააგროვა 29 მილიონი დოლარი ჯარიმა ტყის საფარის კარგვასთან დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაულისთვის.[15] გარდა ამისა, CDP-ის თანახმად, ტყის საფარის კარგვის გამო ყოველწლიურად 906 მილიარდ აშშ დოლარამდე კორპორაციული ბრუნვა დგება საფრთხის ქვეშ.[16]

წინასწარი მოქმედებები

ბიზნეს საქმიანობის განსაზღვრა და ტყის საფარის დაკარგვისა და მიწის დეგრადაციის მონიტორინგი: განსაზღვრეთ თქვენი ოპერაციების დროს გამოყენებული საქონელი და მათი გავლენის მასშტაბი ტყის საფარის კარგვაზე მთელი მიწოდების ჯაჭვისთვის. იდენტიფიცირება გაუკეთეთ და დააკლასიფიცირეთ ის ადგილები, სადაც ხდება ტყის საფარის კარგვა, მაგალითად, მაღალი ან დაბალი რისკის მქონე რეგიონებად.

გამოიყენეთ სერტიფიკატები ჩარჩოებად: განსაზღვრეთ სხვადასხვა იურიდიული და სხვა სერტიფიკატი, როგორიცაა FSC და PEFC, რომლითაც კომპანია ისარგებლებს და გამოიყენეთ ამ სერტიფიკატების მაჩვენებლები, როგორც ჩარჩოები, თქვენი მიზნის შესაქმნელად. კომპანიებს შეუძლიათ ტყის საფარის ნულოვანი კარგვის მიზნების დაკავშირება კომპანიის საერთო კლიმატის მიზნებთან.

ძირითადი რესურსები

- » **WWF**
- » **WRI Global Forest Watch**
- » **Forest Stewardship Council**
- » **FAO**

ინტეგრირების სირთულე*

ინტეგრაციის გაგება

წამყვანი კომპანიების მხრიდან მიწის და ტყეზე ზემოქმედების მიმართ ყურადღების ზრდის მიუხედავად, ამ ვალდებულებების ინტეგრაცია სისტემებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიზღუდა ორი ძირითადი ფაქტორის გამო.[17] პირველ რიგში, რთული და გაუმჭვირვალე გლობალური მიწოდების ჯაჭვები ნიშნავს, რომ კომპანიებმა ვერ შეძლეს გავლენა მოახდინონ მიმწოდებლებზე. OECD-მ დაადგინა, რომ მომწოდებელთა 63%-ს არ აქვს ტყის საფარის კარგვასთან დაკავშირებული პოლიტიკა, ხოლო კომპანიებში, რომლებიც მიწას აკონტროლებენ, აღნიშნული მაჩვენებელი 83%-მდე იზრდება. ამის შედეგია ღირებულებათა ჯაჭვში მიწაზე ზემოქმედების ხილვადობის არარსებობა, რადგან ორგანიზაციებმა არ იციან ფერმერების შესახებ, რომელთაგანაც ისინი მარაგდებიან და კიდევ უფრო ნაკლები იციან მიწაზე მათი ქმედებების გავლენის შესახებ. ეს ქმნის მეორე გამოწვევას: ბიზნესი არ ითვალისწინებს ფინანსურ რისკებს მიწის დეგრადაციასთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილებების მიღებაში. მიწის დეგრადაცია, როგორც წესი, არ განიხილება კომერციულ პრიორიტეტად, თუმცა 2018 წელს CDP-ის ტყის შესახებ გამჟღავნების რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციით, კომპანიის შემოსავლის 15% დამოკიდებულია ტყისთვის რისკის მქონე საქონელზე, როგორიცაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, პალმის ზეთი და სოიო. [18]

ამიტომ კომპანიები უნდა ისწრაფოდნენ საკუთარ მიწაზე ზემოქმედების უკეთ გათვალისწინებისკენ, რათა განსაზღვრონ რისკები და შესაძლებლობები. ტექნოლოგიები, მათ შორის დისტანციური ზონდირების საშუალებები, გთავაზობთ ახალ შესაძლებლობებს მიწაზე ზემოქმედების უკეთესად მონიტორინგისა და მართვის მიზნით. ბიზნესს შეუძლია შექმნას მათი ძირითადი სისტემები ამ ინსტრუმენტების ინტეგრირების მიზნით, რათა მიწაზე ზემოქმედება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთი ფაქტორი იყოს.

აღმასრულებელი რგოლის (C-SUITE) კუთვნილება

ოპერაციების მთავარი ოფიცერი / შესყიდვების მთავარი ოფიცერი

გზა ინტეგრაციისკენ

ტექნოლოგიური პარტნიორების ჩართვით ბიზნესს შეუძლია ამ ტექნოლოგიების ინტეგრირება მიწაზე ზემოქმედების ზუსტად გაზომვის მიზნით, რაც საშუალებას მისცემს მიაღწიოს შემდეგ ამოცანებს:

მიმწოდებლის გაუმჯობესება

მიმწოდებლის რისკების განსაზღვრა გეო სივრცითი საშუალებებით გამოკვეთს რისკის სფეროებს და მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებას.

გრძელვადიანი ხარჯების ანალიზი

მიწაზე ზემოქმედების მონაცემები საშუალებას იძლევა რისკისა და ხარჯების ანალიზი ინტეგრირდეს პროდუქტის გადაწყვეტილებებში.

დადებითი გავლენის გაზომვა

ბიზნესის მიწაზე ზემოქმედების ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასების და შემდგომი ცვლილებების გაღრმავებული შესაძლებლობა, თავიდან აცილების, პრევენციის ან აღდგენის ინიციატივების საშუალებით.

1500 კომპანიიდან

77%,

რომლებიც აქტიურად საქმიანობენ ისეთ ნედლეულზე, როგორიცაა მერქანი, პალმის ზეთი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და სოიო, არ ასაჯაროებს მათ გავლენას გლობალური ტყის საფარის კარგვაზე. [21]

ინტეგრირების მაგალითები

მიწოდების ქსელის მიკვლევადობა

სატელიტური და გეო-სივრცითი რუკების შედგენა, რომელიც ემყარება მანქანურ სწავლებას და ანალიზს, უფრო მეტად გამოიყენება მომწოდებლებისა და საქმიანობის სფეროების დასადგენად, რაც შორეულ ადგილებში მიწის მონაცემების შეგროვების საშუალებას იძლევა. საჯაროდ ხელმისაწვდომი პლატფორმები, როგორიცაა Trends.Earth; Farm-trace და Global Forest Watch იყენებენ ამ ტექნოლოგიებს, რათა კომპანიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მთავრობებს მიაწოდონ მონაცემები მიწაზე ზემოქმედების შესახებ, მიმწოდებლების ჩართულობის სტრატეგიების ინფორმირებისთვის. პარტნიორობა, როგორიცაა SUSTAIN კონსორციუმი, იყენებს განაწილებულ სააღრიცხვო ტექნოლოგიებს საქონლის მიწოდების ჯაჭვის გამოწვევების მოსაგვარებლად.[19]

აღდგენის გაზომვა

აღდგენის ეფექტიანი სტრატეგიები მოითხოვს ზუსტ და განახლებულ ინფორმაციას მიწის სიჯანსაღესა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში პროგრესთან დაკავშირებით. წიაღის მომპოვებელი კომპანია Anglo American პარტნიორობას უწევს Emapper-ს, ტექნოლოგიურ კომპანიას, რომელიც იყენებს დრონებს მიწის ფოტოგადაღებისთვის და ხელოვნურ ინტელექტს გარემო პირობების გასაანალიზებლად. ამან მათ საშუალება მისცა, უფრო უსაფრთხოდ, იაფად და სწრაფად ჩაატარონ ეროზიის, სარეველების შეჭრისა და მცენარეების დაფარვის ლანდშაფტური მასშტაბის შეფასება, რის შედეგადაც შემუშავდა დეტალური სარეაბილიტაციო გეგმები მათი მაღაროებისთვის.[20]

SDG AMBITION-ის მიდგომა

ამბიციის გაზრდა

განსაზღვრეთ შესაბამისი ნიშნული პრიორიტეტების მიხედვით

ნიშნულის ამბიციის დონესთან შესაბამისი ახალი მიზანი

გზები

თავიდან აცილება
ტყის საფარის კარგვის და მიწის ცვლილებისა და დეგრადაციის აღმოფხვრა

შემცირება
მიწის ცვლილებაზე ან ჰაბიტატებზე ნეგატიური გავლენის შემცირება ან შერბილება

აღდგენა
საწარმოო საქმიანობით დაზიანებული მიწის ფართობის რეკულტივაცია და გარემოს აღდგენა

მოქმედების მაგალითები

თავიდან აცილება

- ტყის საფარის ნულოვანი კარგვის პოლიტიკის დანერგვა
- ისეთი აქტივობების შეზღუდვა, რომელიც უშუალო ოპერაციებსა და მიწოდების ჯაჭვში იწვევს მიწის დეგრადაციას (მაგ., მოპოვების კრიტერიუმები)
- გამოიყენეთ გადაწყვეტები პროგნოზირებადი მიწათსარგებლობის დაგეგმვისთვის, მიწაზე ზემოქმედების თვალყურის დევნებისათვის (მაგ., შესაძლო სცენარის მოდელები)

შემცირება

- შეაფასეთ პროდუქტის ფიზიკური, ბიოლოგიური და ეკონომიკური გავლენა ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე
- ჩამოაყალიბეთ მართვის პრაქტიკა მიწის დეგრადაციის გავლენის შესამცირებლად
- მიწის დეგრადაციის შედეგების აღმოფხვრისა ან შერბილებისთვის მიმწოდებლების წახალისება და სტიმულირება

აღდგენა

- ჩამოაყალიბეთ მიწის შემდეგი გამოყენების გეგმები (მაგ. მიწის გამოყენება მოპოვების შეწყვეტის შემდეგ)
- მიწის აღდგენის კონტროლი (მაგ. ნიადაგის სიჯანსაღე, ნაყოფიერება, ბიომრავალფეროვნება)
- გამოიყენეთ უახლესი ტექნოლოგია (მაგ. დიდი მონაცემები, დისტანციური მონიტორინგი, დრონის ფოტოები მიწის და ბუნებრივი კაპიტალის შესაფასებლად)

ქვემიზნები

- **გამოყენებული ან დაზიანებული მიწის შემცირება**
- **მიწათსარგებლობის პოზიტიური პრაქტიკის გამოყენებით მიწის გაზრდა**
- **აღდგენილი მიწის ფართობის ზრდა დეგრადირებულთან შედარებით**

საზომი*

თავიდან აცილება

ფუნდამენტური: მიწის მართვა ჰექტრებში; ტყის საფარის კარგვის მაჩვენებელი დაცულ ტერიტორიებზე;

სასურველი: მიწის ნაყოფიერების, კვების და პესტიციდების პროფილები; ბიომრავალფეროვნების კაპიტალი (ფლორა და ფაუნა)

შემცირება

ფუნდამენტური: მიწის პოზიტიური პრაქტიკა და მიწათსარგებლობა; მომწოდებლების პროცენტი, რომლებიც იყენებენ მიწის მართვას

სასურველი: ნიადაგის სიჯანსაღე მთელს ღირებულებათა ჯაჭვში

აღდგენა

ფუნდამენტური: აღდგენილი ჰაბიტატების ზომა / ადგილმდებარეობა; აღდგენილი მიწით დარღვეული პროპორცია; აღდგენა მესამე მხარის თანხმობით

სასურველი: ბიომრავალფეროვნების გავლენა; მწვანე საფარის წმინდა ზემოქმედება; საზოგადოებრივი გავლენის შეფასება გამოყენებულ მიწაზე

ბიზნეს პროცესი

წარმოება და უსაფრთხოება	შესყიდვები და მიწოდების ჯაჭვი	ლოჯისტიკა, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია	ნარჩენების მართვა	გაყიდვებისა და დისტრიბუციის მენეჯმენტი	გარემოსდაცვითი მენეჯმენტი

სისტემური შესაძლებლობები

მიწაზე ზემოქმედების დეტალური ანალიზი
პროგრამული ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები (მაგ. მიწის ინფორმაციული სისტემები, გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემები) ხელს უწყობენ გარემოს ანალიზს.

მიწის გავლენის ძირითადი წყაროების იდენტიფიცირება პროდუქტებსა და წარმოების პროცესში
პროდუქტის შეფასების საშუალებებს (მაგალითად, LCA) შეუძლიათ გარემოზე ზემოქმედების ანალიზი წარმოების პროცესისა და მასალების საფუძველზე.

მიმწოდებლის ინტეგრაცია და მიკვლევადობა
ისეთი მიწათსარგებლობის მონაცემთა ეფექტიანი ნაკადების მიწოდება მიმწოდებლებთან, რომლებიც უკავშირდება მათ პროდუქციას. მესამე პირების ინსტრუმენტები და მიწის განსაზღვრის ტექნოლოგიები, ხელს უწყობს მიკვლევადობასა და აუდიტს.

მიწაზე გავლენის პროგნოზირება და აღდგენითი საქმიანობის გავლენის მონიტორინგი
ახალი ტერიტორიებისა და ობიექტების დაგეგმვის პროცესში აღდგენის ჩართვა, საქმიანობის გავლენის პროგნოზირებით.

მთავარი გადაწყვეტილებები (KDD)

KDD1

როგორ შეგიძლიათ მოწინავე ტექნოლოგიების და მესამე პირთა მონაცემთა ნაკრებების გაერთიანება მიწაზე ზემოქმედების გასაგებად და მონიტორინგისთვის?

მონაცემები შეიძლება შეტანილი იყოს მესამე მხარის წყაროებიდან (მაგალითად, GIS ფენები და მონაცემები), რათა უზრუნველყოფილ იქნეს უფრო საიმედო სურათის ასპექტები, როგორიცაა ნიადაგის სიჯანსაღე ბიზნესის საქმიანობის არეალებში.

KDD2

როგორ შეგიძლიათ მიწაზე ზემოქმედების საკითხების ბიზნესის ყველა ასპექტში ინტეგრირება?

მიწაზე ზემოქმედების შეფასებები და ატრიბუტები უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა მოპოვებულ მასალასთან მიმართებით, რათა ისეთი გადაწყვეტილების მიღება წახალისდეს, რითაც შემცირდება მიწაზე ზემოქმედება, პროდუქტის შემადგენლობისა და მასალების შენატანების მიხედვით.

KDD3

როგორ შეგიძლიათ მიმწოდებლებთან და მესამე მხარეებთან ინტეგრირება, რათა უზრუნველყოთ მიწაზე ზემოქმედებების მიკვლევადობა თქვენი მიწოდების ჯაჭვში?

განსაზღვრეთ მიმწოდებლისთვის მიწის ზემოქმედების შესახებ მონაცემების მიწოდება და ინდივიდუალურ მომწოდებლებთან ერთად იმსჯელეთ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს პრაქტიკის გამჭვირვალობა (მაგ. მიმწოდებლის გაუმჯობესების პროგრამები).

KDD4

როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ აღდგენის შესაძლებლობები და გამოიყენოთ მოწინავე ტექნოლოგიები პროგრესის მონიტორინგისთვის?

ინსტრუმენტების გამოყენება, მაგალითად, სატელიტის ან დრონით გადაღება, შეიძლება გამოყენებული იყოს აღდგენის / რეაბილიტაციის პროგრესის მონიტორინგისა და თვალყურის დევნების მიზნით, განსაკუთრებით მოშორებულ ადგილებში.

ბიზნესში ინტეგრაცია

* აქ მოცემული ყველა ძირითადი ინდიკატორი (KPI) და საზომი მითითებითია და გამომდინარეობს არსებული ანგარიშგების სტანდარტებიდან. ყველა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს მიზნის შესამუშავებელი მექანიზმები საკუთარი ანგარიშგების მეთოდოლოგიის და ბიზნეს კონტექსტის შესაბამისად.

ბიზნეს სისტემების დიზაინი

როგორ შეგიძლიათ მოწინავე ტექნოლოგიების და მესამე პირთა მონაცემთა ნაკრებების გაერთიანება მიწაზე ზემოქმედების გასაგებად და მონიტორინგისთვის?

KDD1

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

ისტორიულ მონაცემებსა და გამოსახულებებზე დაფუძნებული სისტემები, როგორიცაა გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემა (GIS) და დისტანციური ზონდირება (RS), ხელს შეუწყობს მიწის დეგრადაციის გაზომვას დროის სხვადასხვა პერიოდში, ისეთ ინდიკატორებზე თვალყურის დევნებით, როგორიცაა ნიადაგის სიჯანსაღე. აღნიშნული გთავაზობთ მიწის მახასიათებლების ღრმა გააზრებას და დროთა განმავლობაში ბიზნეს საქმიანობის სფეროებში ცვლილებებს.

იმის გააზრებით, თუ მიწის რა მონაცემები არსებობს საჯარო სფეროში, ასევე კერძო სექტორში რა მიდგომებია, კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები, თუ როგორ უნდა მოიზიდონ და შეადგინონ ნაკლული მონაცემების საჭიროებები. ამ ტექნოლოგიების გააზრება ასევე სასარგებლოა მონაცემთა შეგროვების წყობის განსაზღვრისას, რომელიც ორიენტირებულია კომპანიის საკუთარ მიწათსარგებლობაზე; საჯარო მონაცემთან შიდა ინფორმაციის დაკავშირების შესაძლებლობა ხელს შეუწყობს კომპანიის გავლენის გააზრების შემდგომ მცდელობებს.

როგორ შეგიძლიათ მიმწოდებლებთან და მესამე მხარეებთან ინტეგრირება, რათა უზრუნველყოთ მიწაზე ზემოქმედებების მიკვლევადობა თქვენი მიწოდების ჯაჭვში?

KDD3

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

თქვენი მიმწოდებლების მიწაზე ზემოქმედების გაცნობიერება და გაუმჯობესება გადამწყვეტია ამ ნიშნულის მისაღწევად. მიმწოდებლებისთვის შესაძლებელია განისაზღვროს შიდა პროცესების შესახებ მონაცემების მიწოდების ვალდებულება. რამდენადაც, მომწოდებლების მხრიდან ინფორმაციის მიწოდების გაზრდაზე გადაწყობამ შეიძლება დიდი დრო მოითხოვოს, საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც საწყისი წერტილი ან სანაცვლო მონაცემი.

მესამე პირთა, როგორიცაა მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი (WRI) და მსოფლიო ველური ბუნების ფონდი (WWF), ციფრული საშუალებები ხელს შეუწყობს კომპანიებს მიწოდების ჯაჭვებში მიწაზე ზემოქმედების რისკის შეფასებაში, კომპანიებისთვის გაფრთხილებების გაცემით. შემდეგ კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ GIS და RS სისტემები და მათი ინტეგრირება უზრუნველყონ, ციფრული აუდიტის ჩასატარებლად, რათა მიმწოდებლების პასუხისმგებლობის საკითხი დააყენონ და, შექმნან რაც შეიძლება სრული სურათი მათი მიწაზე გავლენის შესახებ.

როგორ შეგიძლიათ მიწაზე ზემოქმედების საკითხების ბიზნესის ყველა ასპექტში ინტეგრირება?

KDD2

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

მიწაზე ზემოქმედების შეფასება ბიზნესისთვის არის გზა უფრო მდგრადი გადაწყვეტილებების მიღებისკენ. სასიცოცხლო ციკლის შეფასება (LCAs) და მასალის ნაკადის ანალიზი წარმოადგენს მიწაზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიის ორ მაგალითს, რომლის მიზანია ნეგატიური ზემოქმედების აღმოფხვრა დაგეგმვის პროცესებში მიწის ფაქტორების გათვალისწინებით.

ანალიტიკის საშუალებით უზრუნველყოფილი პროგრამული ინსტრუმენტები აადვილებს ამ შეფასებებს და აძლევს მათ შესაძლებლობას, გამოიყენონ მონაცემთა დიდი ნაკრები. მათი ინტეგრირება ძირითად სისტემებში საშუალებას იძლევა, ეს ატრიბუტები ბიზნესში სხვა წარმატებულ ღონისძიებებთან ერთად იყოს გათვალისწინებული. აღნიშნული საშუალებას აძლევს ლიდერებს, გააცნობიერონ ხარჯები და სარგებელი პროცესის ნაკლებად ინტენსიურისკენ გადასვლის დროს, ან განსაზღვრონ მიწასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მანამდე განუხილველი დადებითი გავლენა.

როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ აღდგენის შესაძლებლობები და გამოიყენოთ მოწინავე ტექნოლოგიები პროგრესის მონიტორინგისთვის?

KDD4

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

დეგრადაციისგან ნეიტრალური მიწის მისაღწევად საჭიროა გამოყენებული მიწის შენარჩუნება ან გაუმჯობესება. ამასთან, ბიზნეს საქმიანობით უკვე დაზიანებული მიწის აღდგენის შესაძლებლობები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მრავალი ინდუსტრიისთვის, მათ შორის ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და წიაღის მოპოვებისთვის.

თქვენი ამჟამინდელი მდგომარეობის ყოვლისმომცველი სურათის შექმნა საშუალებას მოგცემთ სტრატეგიულად დაგეგმოთ აღდგენა, ეს ასევე ქმნის პლატფორმას, რომ საკვანძო აღდგენითი პროგრამების შემდგომი პროგრესი გააკონტროლოთ. GIS-ის ან აერო-გადაღების შესაძლებლობები შეფასებისა და მიკვლევადობის მიზნით, შეიძლება გამოყენებული იყოს პროგრესის მიმდინარე მონიტორინგის მიზნით.

[1] UN Convention to Combat Desertification

[2] Deforestation and Forest Degradation, World Wildlife Fund

[3] Cutting Deforestation Out of Palm Oil: Company Scorecard, Greenpeace, 2016

[4] Tree Loss, Bloomberg, 2019

[5] By the Numbers: The Value of Tropical Forests in the Climate Change Equation, World Resources Institute, 2018

[6] Global Soil Partnership, FAO

[7] Yale University Global Forest Atlas

[8] New Amazon threat? Deforestation from mining, Gund Institute for Environment

[9] Natura

[10] Achieving zero deforestation , L'Oreal

[11] Tesco announces its plan for zero deforestation soy, Consumer Goods Forum, 2018

[12] UN Convention to Combat Desertification

[13] Deforestation: A business-critical issue for the world's biggest buyers, CDP, 2017

[14] Zero Deforestation Zones, Journal of Sustainable Forestry, 2015

[15] "$29 million deforestation fines: game changer for Brazilian soy trade?" Mongabay, 2018

[16] Deforestation: A business-critical issue for the world's biggest buyers, CDP, 2017

[17] Nearly 450 companies pledged to end deforestation by 2020

[18] The Money Trees: The role of corporate action in the fight against deforestation, CDP, 2019

[19] Sustainability Assurance & Innovation Alliance

[20] Anglo American Sustainability Report 2019

[21] The Money Trees, CDP, 2019

ნიშნული (BENCHMARK)

მექრთამეობის არცერთი შემთხვევა

SDG გავლენა
გადამკვეთი

ვადა
2030

სფერო ▣ ოპერაციები ▣ პროდუქტი და მომსახურება ▣ ღირებულებათა ჯაჭვი

ინფორმაცია ნიშნულზე (BENCHMARK)

ნიშნული, ქრთამის არცერთი შემთხვევა, ეხმარება ორგანიზაციებს კორუფციის და ქრთამის, მათ შორის, პირადი გამორჩენისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნებისმიერი ქცევის, შემთხვევების აღმოფხვრასა და პრევენციაში. ნიშნული საშუალებას იძლევა, შესაბამისობის და რეპუტაციული რისკის წარმომჩენ ისეთ პრაქტიკაზე მოქმედებისათვის, რაც მომხმარებლის საერთო ნდობას ამცირებს და მოქმედებს ქცევის მისაღებ ზღვარზე.[1] მკაცრ პოლიტიკებთან და პროცედურებთან ერთად, მართვის სისტემები, რომლებიც მომართულია კორუფციის იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისათვის, ზოგადად საგრძნობლად ამცირებს ქრთამის შემთხვევებს. კომპანიებმა, სულ მცირე, უნდა დაისახონ ამოცანები, შეძლებისდაგვარად მცირე დროში საკუთარ ოპერაციებში ქრთამის შემთხვევების აღმოსაფხვრელად, გრძელვადიანი მიზნებით კი 2030 წლისთვის მექრთამეობის შემთხვევებზე იმოქმედონ მთელს ღირებულებათა ჯაჭვში.

კორუფცია მოიცავს მოქმედებათა ფართო სპექტრს, მათ შორის, მექრთამეობას, როგორც მნიშვნელოვან ქვეჯგუფს. ეკონომიკური განვითარების შეფერხებასა და საბაზრო კონკურენციის შეზღუდვასთან ერთად, მექრთამეობას არაპროპორციული გავლენა აქვს ღარიბ საზოგადოებებზე, რომლებიც, მსოფლიო ბანკის გამოთვლების თანახმად, საკუთარი შემოსავლის 13%-ს იხდიან ქრთამის სახით.[2]

ინდუსტრიის საილუსტრაციო გავლენა

ინფრასტრუქტურა და მშენებლობა: ინფრასტრუქტურისა და უძრავი ქონების ინდუსტრიამ შესაძლოა დაკარგოს 6 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი 2020-2030 წლებში კორუფციის, მათ შორის, მექრთამეობის შემთხვევების გამო.[3] გლობალური სამშენებლო წარმადობა შესაძლოა წლიურად დაახლოებით 17.5 ტრილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდოს 2030 წლისთვის, რაც მიუთითებს, რომ კორუფციით გამოწვეული დანაკარგი ჯამში ამ დროისათვის 34%-მდე იქნება.

საფინანსო სერვისები: ფინანსური კრიზისის შემდგომ ათწლეულში ბანკებმა 300 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი გადაიხადეს ჯარიმების, მარეგულირებელი მორიგებების და დაკავშირებული სამართლებრივი ხარჯების სახით: „წაგებამდე“ გამომუშავებული შემოსავლის 40%-ზე მეტი. მართალია ბევრი ინსტიტუცია ფოკუსირდება უფრო მკაცრად კონტროლირებულ შესაბამისობის კულტურაზე, თუმცა კომპანიებმა მეტი უნდა ჩადონ ეთიკური და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების მიღების წარმმართველ პროცესებში სამომავლო ეთიკური ხარვეზების თავიდან ასაცილებლად.

ბიზნეს გავლენა მექრთამეობაზე

გაეროს გლობალურ შეთანხმებას ერთობლივი ანტიკორუფციული მოქმედების ათწლიანი გამოცდილება აქვს. გაეროს გლობალური შეთანხმების მეათე პრინციპი ავალდებულებს ბიზნესს, იმოქმედოს კორუფციის ყველა ფორმის, მათ შორის, გამოძალვის და მექრთამეობის წინააღმდეგ. კომპანიები უნდა შეუერთდნენ მთავრობებს, გაეროს, სამოქალაქო საზოგადოებას და სხვა მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეს, რათა ერთობლივი მოქმედებით მიაღწიონ ქრთამისგან თავისუფალ და უფრო გამჭვირვალე გლობალურ ეკონომიკას. 2019 წელს სიმენსის პატიოსნების ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერით, გაეროს გლობალურმა შეთანხმებამ გლობალური შეთანხმების ადგილობრივ ქსელებში წამოიწყო ოთხწლიანი პროექტი ანტიკორუფციული ერთობლივი მოქმედების გასააქტიურებლად, რათა ხელი შეუწყოს ერთობლივ მოქმედებებს ადგილობრივ ქსელებში და წახალისდეს საჯარო-კერძო თანამშრომლობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

$3.6 ტრილიონი იკარგება ქრთამებსა და მოპარულ თანხებში ყოველწლიურად.[4]

გაეროს გლობალური შეთანხმების წევრების -12% მოქმედებდა კორუფციის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობით 2019 წელს 2018 წელთან შედარებით და წევრების 51%-ს ჰქონდა ასეთი პოლიტიკა.[5]

კორუფციის აღქმის ინდექსში 180 ქვეყნის საშუალო ქულაა 43/100[6]

კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ

კომპანიებს, რომელთაც სურთ იმოქმედონ მექრთამეობის წინააღმდეგ, შეუძლიათ ეს გააკეთონ მკაფიო პოლიტიკის დანერგვით, განხორციელებით და აღსრულებით. პოლიტიკის შემუშავება კომპანიებს მექრთამეობასთან პროაქტიულად ბრძოლაში ეხმარება.

MICROSOFT

Microsoft-მა ინვესტირება მოახდინა კომპანიის ბაზაზე ღრუბელურ ინტერფეისზე დაფუძნებულ მონაცემთა ანალიზის გადაწყვეტაზე, რომელიც იყენებს მაღალი დონის სტატისტიკას და ხელოვნურ ინტელექტს კორუფციის რისკების ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემისათვის. მისი მიზანია, განსაზღვროს და შეაფასოს გაყიდვების ტრანზაქციები და მესამე პირები, რაც ქმნის მექრთამეობის და კორუფციის მაღალ რისკს და, უზრუნველყოს დამატებითი ზედამხედველობა ამ ტრანზაქციებსა და წარმომადგენლებზე.[7]

3M

3M კრძალავს მექრთამეობასა და კორუფციას მთელს ოპერაციებში. მათი მექრთამეობის საწინააღმდეგო პრინციპი შეესაბამება ყველა გლობალურ კანონმდებლობას და მოქმედებს კომპანიის დასაქმებულებზე, ისევე, როგორც მესამე პირების მიერ დაქირავებულ პირებზე, რომლებიც კომპანიის სახელით მოქმედებენ. როგორც გაეროს გლობალური შეთანხმების მე-10 პრინციპის სამუშაო ჯგუფის[8] წევრი, 3M-მა ნებაყოფლობით გაასაჯაროვა შიდა გამოძიებები, რომლებიც მათი ანტი-კორუფციული შესაბამისობის პროგრამის შესაძლო დარღვევებს ეხებოდა.[9]

შეფასება ნიშნულთან მიმართებით

ნიშნულის - მექრთამეობის არც ერთი შემთხვევა - შესრულება შეიძლება შეფასდეს გაეროს კონვენციის კორუფციის წინააღმდეგ (2005), გაეროს გლობალური შეთანხმების მე-10 პრინციპის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონვენციის საერთაშორისო ბიზნეს-ტრანზაქციებში ჩართული უცხოელი საჯარო მოხელეების მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ შესაბამისად. გაეროს გლობალური შეთანხმების კვლევა უჩვენებს, რომ დღეისათვის კომპანიების მხოლოდ 25% აწარმოებს ანტი-კორუფციულ შეფასებებს.[10] ექსპერტიზის მონაცემთა ანალიზს შეუძლია ხელი შეუწყოს მექრთამეობის შემთხვევების აღმოჩენისა და გამოძიების გაუმჯობესებას, ისევე, როგორც შიდა კონტროლის ხარვეზების აღმოჩენას. ბიზნესები, რომელთაც არ აქვთ ჩამოყალიბებული მამხილებლის დაცვის ცხადი წესები, დამოუკიდებელი სათანადო ზრუნვის (due diligence) მექანიზმები, ხელშეკრულების დადების გამჭვირვალე პროცედურები ან განსაზღვრული სისტემები მექრთამეობასთან ბრძოლისათვის, 2030 წლისთვის SDG Ambition-ის ნიშნულს ვერ მიაღწევენ.

ღირებულება ბიზნესისთვის

გარდა მწვავე სოციალური უთანასწორობისა, მექრთამეობის შემთხვევები ჩრდილს აყენებს ბრენდის იმიჯს. 25,000 გლობალური მომხმარებლის კვლევამ წარმოაჩინა, რომ იმ მომხმარებლების 46%-მა, რომელთაც უკანასკნელი წლის მანძილზე შეცვალეს რჩეული კომპანიები, ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ კომპანიისადმი ნდობა დაკარგეს.[11] ეთიკურ ქცევას ასევე შეუძლია დაზოგოს მორიგებების და ჯარიმების ხარჯები: 2019 წელს საცალო ვაჭრობის გლობალურმა კომპანიამ 300 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა ჯარიმების სახით ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგან იგი მხილებული იყო შვილობილი კომპანიებისთვის ისეთი შუამავალი მესამე პირების დაქირავების შესაძლებლობის მიცემაში, რომლებიც ქრთამს იხდიდნენ.[12]

წინასწარი მოქმედებები

აჩვენეთ თქვენი მზაობა ძლიერი პოლიტიკის დამკვიდრებით: დანერგეთ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა მანიპულაციის, უკანონო ქმედებების (მაგ. მექრთამეობა, ინფორმაციის არასწორი წარდგენა) წინააღმდეგ და ჩამოაყალიბეთ გამოსასწორებელი პროცედურები ასეთი ქმედებებისათვის, რათა უჩვენოთ დამსაქმებლებს, მიმწოდებლებს და მომხმარებლებს, რომ თქვენ გაქვთ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა. სავალდებულოა დამსაქმებლების და ბიზნეს პარტნიორების გადამზადება ამ პოლიტიკის შესაბამისად.

ჩამოაყალიბეთ მექრთამეობის საწინააღმდეგო სისტემები: განავითარეთ სათანადოდ დოკუმენტირებული მექრთამეობის რისკების შეფასებაზე დამყარებული ძლიერი სისტემები, რომლებიც რეგულარულად გადაიხედება და იმგვარად იქნება ჩამოყალიბებული, რომ აღმოაჩინოს და თავიდან აიცილოს მექრთამეობის რისკები კომპანიაში.

შექმენით სტანდარტიზებული და ავტომატიზებული პროცედურები: ჩამოაყალიბეთ დასაქმებულთა წარსულის შემოწმების ავტომატური მიდგომა, რაც მოიცავს იმიგრაციისა და ვიზის სტატუსის და წარსული სისხლის სამართლებრივი ისტორიის შემოწმებას. განავითარეთ სტანდარტიზებული მოდელები ან გაიდლაინები (მაგ. ლიცენზიებისა და კონტრაქტების პირობები).

ძირითადი რესურსები

- » UNGC Anti-corruption
- » UNGC Anti-corruption risk assessment
- » OECD Anti-corruption and Integrity Hub

ინტეგრირების სირთულე*

ინტეგრაციის გაგება

მექრთამეობის შემთხვევების აღმოფხვრის ამბიციური ნიშნულის მისაღწევად კომპანიებმა მკაცრად უნდა მართონ მექრთამეობის რისკები და შემთხვევები ყველა თანამშრომელსა თუ პარტნიორის ქმედებებში. რეალურ დროში მონიტორინგსა და მექრთამეობის რისკების შეტყობინების სისტემაზე გადასვლით, კომპანიებს შეუძლიათ გააძლიერონ მართვის და პრევენციის მცდელობები ნულოვანი შემთხვევების მიზნის მისაღწევად. ტექნოლოგიები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი და ანალიტიკა, ხელს უწყობს ასეთი დარღვევების იდენტიფიცირებას, პროგნოზირებას და პრევენციას, რისთვისაც კომპანიის ტრანზაქციებთან, რეგიონთან, ფასწარმოქმნის მახასიათებლებთან და მიმწოდებელთა სანდოობასთან დაკავშირებულ დიდი მოცულობის მონაცემთა ხელმისაწვდომობას და ანალიზს ზრდის. სულ უფრო მეტი კომპანია ახდენს ასეთ ტექნოლოგიებში კაპიტალიზებას, AlixPartners-ის 2019 წლის ანტიკორუფციული გამოკითხვის რესპონდენტთა 84%-მა განაცხადა, რომ ისინი რეალურ დროში მონიტორინგს უწევენ საეჭვო ქცევებს, რაც წინა წლის მონაცემზე თითქმის 15%-ით მეტია.[14]

ინტეგრირების მაგალითები

რეალურ დროში მონიტორინგი

მონიტორინგისა და თვალყურის დევნების ანალიტიკური ინსტრუმენტები ხელს უწყობს მექრთამეობის რეალურ დროში მართვას. ასეთი კვლევითი მექანიზმები სცდება შესაბამისობის დარღვევის აღმოჩენას (როგორიცაა რისკების ანგარიშები და აუდიტების კვლების დაჯგუფება) და ახერხებს ისტორიულ და სამომავლო ტრანზაქციებში ანომალიების დროულ აღმოჩენას. მესამე პირების შემუშავებული მექანიზმები, როგორიცაა კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI), ხელს უწყობს ამ შეფასებას, რამდენადაც იძლევა ქულებს მექრთამეობის მაღალი რისკის რეგიონებზე.[15] პლატფორმის ტიპის გადაწყვეტებს, როგორიცაა SAP ARIBA, შეუძლია დაეხმაროს ბიზნესებს ისეთი მიმწოდებლების პრიორიტეტიზაციაში, რომლებიც ეთიკური ვაჭრობის სტანდარტებს მიჰყვებიან, მათ შორის, მექრთამეობის საწინააღმდეგო რეგულაციებით. [16]

ადაპტირებადი სწავლება და გაუმჯობესებული მგრძნობელობა

როდესაც საქმე ეხება მექრთამეობას, სუსტი ტრენინგის შედეგები სავალალოა. ფორბსის გათვლებით, კორპორაციული ტრენინგების მხოლოდ 10%-ია ეფექტური.[17] კომპანიებს შეუძლიათ გააუმჯობესონ დასაქმებულთა შორის სწავლება ინტელექტუალური სწავლების სისტემების გამოყენებით, რომლებიც ახალისებს ტრენინგებში ჩართულობას და იძლევა სიღრმისეულ ინფორმაციას დასაქმებულთა შორის გააზრების არსებული დონის შესახებ.

აღმასრულებელი რგოლის (C-SUITE) კუთვნილება

შესაბამისობის აღმასრულებელი ოფიცერი

გზა ინტეგრაციისკენ

ტექნოლოგიური გადაწყვეტების განვითარებამ კორუფციის და მექრთამეობის კონტროლისთვის გააძლიერა კომპანიების შესაძლებლობა, შემთხვევების პროგნოზირება გაეკეთებინა და რეალურ დროში თვალყური ედევნებინა, ნაცვლად უბრალოდ რეტროსპექტულად დარღვევების აღმოჩენისა. ტექნოლოგიურ პარტნიორებთან თანამშრომლობით, კომპანიებს შეუძლიათ გააძლიერონ:

რისკების მონიტორინგის და პროგნოზირების ავტომატიზება

რისკების ანალიზი შეიძლება ავტომატიზებული იყოს, რათა გამოავლინოს ტრანზაქციების ტიპები, როგორიცაა საჯარო მოხელეებისათვის ან მიმწოდებლებისთვის გადახდები, მაღალი რისკის რეგიონში სიხშირის ტენდენციის შემჩნევით და მანქანური სწავლების შესაძლებლობებით რისკის გააზრების გაძლიერებით.

დასაქმებულთა ჩართულობა

ცენტრალური სწავლების სისტემებს შეუძლიათ დააკვირდნენ და წაახალისონ დასაქმებულთა ჩართულობა მექრთამეობის წინააღმდეგ მიმართულ სატრენინგო პროგრამაში, ამავდროულად კი მათთან ინტერაქციით სიღრმისეული ხედვების ჩამოყალიბება სამომავლო მოდულების ჩამოყალიბებასაც შეუწყობს ხელს.

განგრძობადი სწავლება

ანტი-კორუფციული და მექრთამეობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის, დისციპლინური პროცედურების და მამხილებელთა დაცვის გარდაქმნის შესაძლებლობა მონაცემებზე დამყარებული ხედვების მიხედვით, რაც გამომდინარეობს ციფრული მონიტორინგისა და სამუშაო ძალის ეთიკის შეფასებებიდან.

90%

მექრთამეობის შესაძლო შემთხვევების 90% აშშ-ში დაკავშირებულია მესამე პირის საშუამავლო საქმიანობის გამოყენებასთან. [18]

SDG AMBITION-ის მიდგომა

ამბიციის გაზრდა

განსაზღვრეთ შესაბამისი ნიშნული პრიორიტეტების მიხედვით

ნიშნულის ამბიციის დონესთან შესაბამისი ახალი მიზანი

ბიზნეს პროცესი	**რისკების შეფასება**	**მგრძნობელობის გაზრდა**	**აღსრულება და შესაბამისობა**
ბიზნეს პროცესი	**მიწოდების ჯაჭვი და შესყიდვები**	**რისკების მენეჯმენტი**	**სწავლების მართვა**	**ადამიანური რესურსები (ადმინისტრაცია)**
ბიზნეს პროცესი	**ქვეპროცესები**	**მექრთამეობის რისკების შემსუბუქება**	**გადამზადებული დასაქმებულები და ბიზნეს პარტნიორები**	**დადასტურებული შემთხვევების შემცირება**
ბიზნეს პროცესი	**საზომი***	**ფუნდამენტური:** ოპერაციები შეფასებულია რისკებზე; ჯამური რისკები იდენტიფიცირებულია; შემსუბუქებულია **სასურველი:** ტრანზაქციის დასრულებამდე ჯამური იდენტიფიცირებული რისკები	**ფუნდამენტური:** დაინტერესებული მხარეები გადამზადებულია მექრთამეობის საწინააღმდეგო საკითხებზე ჯგუფების მიხედვით (მაგ. საბჭო; დასაქმებულები; ბიზნეს პარტნიორები) **სასურველი:** თანამშრომელთა და მიმწოდებელთა ჯამი, რომელთაც გააზრებული აქვთ პოლიტიკა	**ფუნდამენტური:** შემთხვევები შედეგების მიხედვით (მაგ. გათავისუფლება) და პასუხისმგებელი პირის (მაგ. მიმწოდებელი, დასაქმებული) მიხედვით; დარღვევების საერთო ღირებულება **სასურველი:** მამხილებლის მიერ შეტყობინებულ ფაქტებზე მოქმედებების საერთო რაოდენობა
ბიზნეს პროცესი	**ინსტრუმენტი**	**გამოიყენეთ თქვენი რისკების კატალოგი ადრეული აღმოჩენის ავტომატიზებისათვის** განავითარეთ მკაფიო რისკების კატალოგი და პროფილი მექრთამეობის შესახებ, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს ორგანიზაციაში მონიტორინგის ავტომატიზებისათვის.	**მექრთამეობის საწინააღმდეგო ტრენინგის განაწილება და თვალყურის დევნება** მექრთამეობის საწინააღმდეგო ტრენინგების განაწილება ავტომატიზებული გახადეთ და გამოყავით ტრენინგი „ეთიკა და შესაბამისობა“ სხვა სფეროებიდან	**გამოიყენეთ მანქანური სწავლება მუდმივი გაუმჯობესებისათვის** ინსტრუმენტები, როგორიცაა მანქანური სწავლება, შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთი მონაცემების შეფასებისთვის, როგორიცაა მექრთამეობის შემთხვევების მონაცემები, რათა გამოიკვეთოს მანამდე უცნობი ტენდენციები ან ერთგვაროვნებები
ბიზნეს პროცესი	**შესაძლებლობები**	**KDD1**	**KDD2**	**KDD3**
ბიზნეს პროცესი	**მთავარი გადაწყვეტილებები (KDD)**	**როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ შესაბამისობის რისკების მონაცემები პოტენციური მექრთამეობის შემთხვევების წარმოჩენის და განვითარების ავტომატიზებისათვის?** შესაბამისობის რისკების მონაცემები შეიძლება გამოყენებული იყოს პოტენციური შესაბამისობის პრობლემების კატეგორიზების და წარმოჩენისთვის და ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია მექრთამეობის და შეუსაბამობების შესაძლო შემთხვევებზე ტრანზაქციების ან ხარჯების მონიტორინგი და ანალიზი.	**როგორ შეგიძლიათ სწავლების მართვის სისტემის ავტომატიზება მექრთამეობის საწინააღმდეგო ტრენინგის განაწილებისა და დასრულების შემოწმებისთვის?** ისეთი მექანიზმებით, რომელიც ავტომატურად განსაზღვრავს მექრთამეობის საწინააღმდეგო ტრენინგის მიმღებ პირებს ორგანიზაციის ყველა დონეზე, ასევე ხელახლა გასავლელი კურსების მიმღებ პირებს შესაბამის შუალედებში.	**როგორ შეიძლება გამოიყენოთ მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია დაფიქსირებულ მექრთამეობის ინცინდენტებთან, რათა ახალი შემთხვევები უკეთ აიცილოთ თავიდან?** ინფორმაცია და მონაცემები, რომლებიც ფიქსირდება მექრთამეობის ინცინდენტების დროს, შეიძლება დაგეხმაროთ დამატებითი ფაქტორების აღმოჩენაში, რომლებსაც მივყავართ მექრთამეობის შემთხვევებამდე.

ბიზნესში ინტეგრაცია

* აქ მოცემული ყველა ძირითადი ინდიკატორი (KPI) და საზომი მითითებითია და გამომდინარეობს არსებული ანგარიშგების სტანდარტებიდან. ყველა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს მიზნის შესამუშავებელი მექანიზმები საკუთარი ანგარიშგების მეთოდოლოგიის და ბიზნეს კონტექსტის შესაბამისად.

ბიზნეს სისტემების დიზაინი

როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ შესაბამისობის რისკების მონაცემები პოტენციური მექრთამეობის შემთხვევების წარმოჩენის და განვითარების ავტომატიზებისათვის?

KDD1

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

როდესაც კომპანია ოპერირებს გლობალურ გარემოში და დღიური ტრანზაქციების დიდი მოცულობით, შესაბამისობის მონიტორინგის ავტომატიზებას შეუძლია შეამსუბუქოს მანუალური შემოწმებების ტვირთი, რაც თქვენ ბიზნესს საშუალებას მისცემს, ტრანზაქციებზე, პარტნიორობებზე ან შეთანხმებებზე, რომლებიც მაღალ რისკად არის მონიშნული, სათანადო ზრუნვა (due diligence) პროაქტიულად განახორციელოს. ეს ავტომატიზებული მონიტორინგი აღჭურვავს თქვენს მექრთამეობასთან მებრძოლ გუნდს საჭირო მონაცემთა ელემენტებით, რაც დაეხმარება მათ შესაძლო მექრთამეობის შემთხვევების გამოძიებაში. განგრძობადი მონიტორინგის გადაწყვეტებს შეუძლიათ დიდი მოცულობის ხარჯების და გადასახდელი ანგარიშების დამუშავება, რა დროსაც მონიშნავს ისეთ ტრანზაქციებს, სადაც მეორე მხარე შეიძლება იყოს სანქცირებულ სიაში ან ტრანზაქციები სრულდებოდეს მაღალი რისკის ქვეყანაში.

იმ შემთხვევებში, როდესაც ორგანიზაციას არ აქვს შესაძლებლობა ჩამოაყალიბოს, მართოს და გამოიყენოს მექრთამეობის საწინააღმდეგო რისკების საკუთარი კატალოგი, მესამე პირთა გადაწყვეტების გამოყენებაა შესაძლებელი, რომლებიც სხვადასხვა ხარისხის ანალიზს და მონიტორინგს გვთავაზობს, ორგანიზაციის სპეციალური საჭიროებების მიხედვით.

როგორ შეგიძლიათ სწავლების მართვის სისტემის ავტომატიზება მექრთამეობის საწინააღმდეგო ტრენინგის განაწილებისა და დასრულების შემოწმებისთვის?

KDD2

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

ანტი-კორუფციული პროგრამის კრიტიკული კომპონენტია სათანადო კომუნიკაცია და ორგანიზაციის ყველა წევრის, მათ შორის, მმართველი საბჭოს წევრების, ტრენინგი. მექრთამეობის საწინააღმდეგო ამ ტრენინგებს უნდა ჰქონდეს შესრულების ვადა და ანგარიშგების მექანიზმები უნდა არსებობდეს, რათა რეალურ დროში შეძლოთ დაინახოთ ტრენინგების შედეგის შესრულება თანამშრომლების მხრიდან.

როდესაც მექრთამეობის საწინააღმდეგო ტრენინგების აგება და მართვა შიდა რესურსებით შეუძლებელია, არაერთი გარე მიმწოდებელი არსებობს, რომელიც თანამედროვე ინტერაქტიულ სატრენინგო მოდულს შემოგთავაზებთ თვითშეფასების და თვითდეკლარირების ინსტრუმენტებით. ასეთი მიმწოდებლების შინაარსი შეიძლება მიიღოთ „პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც მომსახურება“ (software-as-a-service) მექანიზმით, ასევე შესაძლებელია ისინი ჩაშენდეს ორგანიზაციის სწავლების მართვის არსებულ სისტემაში.

როგორ შეიძლება გამოიყენოთ მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია დაფიქსირებულ მექრთამეობის ინცინდენტებთან, რათა ახალი შემთხვევები უკეთ აიცილოთ თავიდან?

KDD3

ინტეგრირების სირთულე

ადამიანები

პროცესი

ტექნოლოგია

როდესაც ორგანიზაცია აკვირდება და იძიებს მექრთამეობის შესაძლო შემთხვევებს, ინფორმაციული უკუკავშირის წრე უნდა შეიკრას ძირითად სისტემებთან. როდესაც მექრთამეობის ან შეუსაბამობის შემთხვევა ფიქსირდება, მანქანური სწავლება შეიძლება იყოს გამოყენებული ტენდენციების და ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის, რომელიც შემდეგ შეიძლება გამოიყენოთ რისკების კატალოგის გასაძლიერებლად, ან დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისთვის, ტრენინგებსა და მგრძნობელობის თვალსაზრისით. ამ გზით, ორგანიზაციას შეუძლია ჩამოაყალიბოს განგრძობადი განვითარება და უკეთ გააძლიეროს მონიტორინგის შესაძლებლობები მექრთამეობის შემთხვევების პროაქტიული გამოვლენის და აღმოფხვრისთვის.

[1] The Bottom Line on Trust, Accenture, 2018

[2] Combatting Corruption, World Bank, 2018

[3] Corruption in construction, IGC, 2016

[4] Corruption is costing the global economy $3.6 trillion dollars every year, World Economic Forum, 2018

[5] 2019 UNGC Progress Report, UN Global Compact

[6] Corruption Perceptions Index 2019, Transparency International

[7] Our commitment to anti-corruption, Microsoft

[8] Working together to prevent corruption, 3M, 2020

[9] "3M Probes Potential FCPA Violations in China," The Wall Street Journal, 2019

[10] UN Global Compact Anniversary Report, 2020

[11] The Bottom Line on Trust, Accenture, 2018

[12] "Walmart to pay $283 mn fine in US over bribery charges in India, other countries," Mint, 2019

[13] Four ways to use data analytics to identify corruption red flags, Tableau, 2019

[14] 2019 Global Anticorruption Survey, Alix Partners

[15] 2019 Corruption Perceptions Index, Transparency International

[16] Supplier management: Made Simple with Software and Solutions, SAP

[17] Companies waste billions of dollars on ineffective corporate training," Forbes, 2016 18 Foreign Corrupt Practices Act Clearinghouse, Stanford Law School

[18] Foreign Corrupt Practices Act Clearinghouse, Stanford Law School